საქართველოს განათლების ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მომზადებული
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2020 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება....1
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება....2
კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება....4
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება....5

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:

1. ზოგადი ინფორმაცია....6
2. ჯგუფის საოპერაციო გარემო....8
3. მომზადებისა და შეფასების საფუძველი....8
4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები....10
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას 22
6. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები....25
7. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან....31
8. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან და შემოსავალი....32
9. თანამშრომელთა სარგებლის ხარჯები....34
10. სხვა ზარალი....34
11. ძირითადი საშუალებები....35
12. ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსები....36
13. გუდვილი....36
14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები....37
15. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები....39
16. საწესდებო კაპიტალი და არამაკონტროლებელი წილი....40
17. ნასესხები სახსრები....41
18. სავაჭრო და სხვა ვალდებულება....41
19. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება....42
20. დარიცხვები და სხვა ვალდებულებები....43
21. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები....44
22. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები....44
23. ფინანსური რისკის მართვა....45
24. კაპიტალის მართვა....50
25. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები....50
26. ინფორმაცია სეგმენტის შესახებ....50

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ათასი ლარი	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან და შემოსავალი	8	**25,794**	**11,470**
საოპერაციო დანახარჯები			
დაქირავებულ თანამშრომელთა სარგებლის დანახარჯები	9	(13,741)	(5,768)
იურიდიული და სხვა პროფესიონალური მომსახურება		(442)	(359)
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა		(389)	(106)
საკვები მოსწავლეთათვის		(380)	(510)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი		(317)	(111)
რემონტისა და მოვლა-შენახვის დანახარჯები		(227)	(121)
კომუნალურები		(222)	(117)
საგანმანათლებლო მასალები		(209)	(169)
ტრანსპორტირება		(180)	(218)
სასკოლო ფორმები		(180)	(157)
საკანცელარიო მასალები		(174)	(166)
საგანმანათლებლო პორტალების გამოწერის საფასური		(155)	(108)
საგანმანათლებლო მივლინებები		(116)	(208)
ზაფხულის სკოლის დანახარჯები		(41)	(45)
სხვა ზარალი	10	(673)	(486)
მოგება ფინანსურ შემოსავლებამდე და ხარჯებამდე, მოგების გადასახადამდე, ცვეთა და ამორტიზაციამდე, სავალუტო ზარალამდე, მმართველობის ხელშეკრულების შეწყვეტამდე, საპროცენტო დანახარჯის გაუქმებამდე, სავალუტო ზარალის და ქოლ-ოფციონის რეალური ღირებულების ხელახლა შეფასებამდე		**8,348**	**2,821**
სავაჭრო ვალდებულებაზე დარიცხული სავალუტო ზარალის და საპროცენტო დანახარჯის გაუქმება		1,109	–
ცვეთა და ამორტიზაცია	11	(1,996)	(873)
სავალუტო (ზარალი)/ შემოსულობები		(3,842)	348
ფინანსური ხარჯები	19	(1,484)	(661)
ფინანსური შემოსავალი		258	36
ქოლ ოფციონის რეალური ღირებულების ხელახალი შეფასება		755	(7)
მოგება მოგების გადასახადის დანახარჯამდე		**3,148**	**1,664**
მოგების გადასახადი		–	–
წლის მოგება		**3,148**	**1,664**
რომელიც მიკუთვნებადია:			
მშობელი კომპანიის აქციონერებისადმი		1,136	357
არამაკონტროლებელი წილისადმი		2,012	1,307
წლის მოგება		**3,148**	**1,664**
სხვა სრული შემოსავალი		–	–
სულ წლის სხვა სრული შემოსავალი		**3,148**	**1,664**
რომელიც მიკუთვნებადია:			
მშობელი კომპანიის აქციონერებისადმი		1,136	357
არამაკონტროლებელი წილისადმი		2,012	1,307
სულ წლის სხვა სრული შემოსავალი		**3,148**	**1,664**

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 6-53 , წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ათასი ლარი	შენიშვნა	2020 წლის 31 დეკ.	2019 წლის 31 დეკ.
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირთადი საშუალებები	11	57,481	54,301
არამატერიალური აქტივები		56	54
ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსი	12	1,301	738
გუდვილი	13	42,900	42,900
სხვა აქტივები	21	1,225	469
სულ გრძელვადიანი აქტივები		**102,963**	**98,462**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		204	99
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	601	532
გაცემული სესხები		11	19
გადახდილი ავანსები		293	455
სხვა აქტივები		65	57
შეზღუდული ფულადი სახსრები	15	-	400
ფულადი სახსრები და მათ ეკვივალენტები	15	6,399	5,133
სულ მოკლევადიანი აქტივები		**7,573**	**6,695**
სულ აქტივები		**110,536**	**105,157**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	16	56,882	56,785
სხვა რეზერვები		(4,821)	(1,649)
გაუნაწილებელი მოგება	16	1,493	357
მშობელი კომპანიის აქციონერებისათვის მიკუთვნებადი კაპიტალი		**53,554**	**55,493**
არამაკონტროლებელი წილი	16	3,592	1,270
სულ კაპიტალი		**57,146**	**56,763**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	17	21,076	16,990
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	18	–	3,094
დარიცხვები და სხვა ვალდებულებები	20	9,654	6,455
აქტივის შეძენიდან წარმოქმნილი სახელშეკრულებო ვალდებულებები	8	339	433
სახელშეკრულებო ვალდებულებები	8	61	561
იჯარის ვალდებულება	19	720	720
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**31,850**	**28,253**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	17	3,871	2,819
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	18	2,318	1,150
დარიცხვები და სხვა ვალდებულებები	20	2,950	3,275
აქტივის შეძენიდან წარმოქმნილი სახელშეკრულებო ვალდებულებები	8	93	111
სახელშეკრულებო ვალდებულებები	8	12,220	12,734
იჯარის ვალდებულება	19	38	–
საგადასახადო ვალდებულება, ნეტო		50	52
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**21,540**	**20,141**
სულ ვალდებულებები		**53,390**	**48,394**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**110,536**	**105,157**

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 6-53, წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელი მოეწერა ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 30 ივნისს:

_____

გიორგი კეთილაძე
დირექტორი
თბილისი, საქართველო

ათასი ლარი	შენიშვნები	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები	კაპიტალი, რომელიც მიკუთვნებადია მშობელი კომპანიის აქციონერებისადმი	არამაკონტროლებელი წილი (შენიშვნა 16)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 7 ივლისის მდგომარეობით		**–**	**–**	**–**	**–**	**–**	**–**
წლის სრული შემოსავალი სულ		–	357	–	357	1,307	1,664
ზრდა საწესდებო კაპიტალში კაპიტალის რეორგანიზაციის მეშვეობით	16	42,316	–	–	42,316	2,673	44,989
შენატანები საწესდებო კაპიტალში		14,469			14,469	-	14,469
ელიმინირება ფუთ-ოფციონით		–	–	–	–	(2,710)	(2,710)
ზრდა სხვა რეზერვებში		–	–	(1,649)	(1,649)	–	(1,649)
წლის სრული შემოსავალი სულ		**56,785**	**357**	**(1,649)**	**55,493**	**1,270**	**56,763**
წლის სრული შემოსავალი სულ		–	1,136	–	1,136	2,012	3,148
ზრდა საწესდებო კაპიტალში		97	–	–	97	50	147
ელიმინირება ფუთ-ოფციონით		–	–	–	–	260	260
ზრდა სხვა რეზერვებში		–	–	(3,172)	(3,172)	–	(3,172)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს		**56,882**	**1,493**	**(4,821)**	**53,554**	**3,592**	**57,146**

ათასი ლარი	შენიშვნა	**2020**	**2019**
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
სწავლის საფასურიდან მიღებული ფულადი სახსრები		23,013	9,523
სახელმწიფო ვაუჩერებიდან მიღებული ფულადი სახსრები		633	232
ზაფხულის / ზამთრის ბანაკებისთვის მიღებული ფულადი სახსრები		68	769
სხვა მომსახურებებიდან მიღებული ფულადი სახსრები		565	317
წმინდა შემოსულობები მოსწავლეების დეპოზიტებიდან		206	209
მომსახურებებისა და საქონელისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(3,313)	(2,486)
გაცემული ხელფასები და სხვა სარგებელი		(13,589)	(5,406)
გადახდილი საოპერაციო გადასახადი		(296)	(22)
შეზღუდული ფულადი სახსრების განთავსება	22	400	-
მიღებული პროცენტი		191	30
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		**7,878**	**3,166**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვისა და მშენებლობისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(7,154)	(2,909)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობები		24	-
შვილობილი საწარმოების შეძენა, მიღებული ფულადი სახსრების გამოკლებით		-	4,757
გადახდილი სესხები		-	6
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან (საქმიანობაში გამოყენებული)		**(7,130)**	**1,854**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსულობები საწესდებო კაპიტალის ზრდიდან	16	-	967
შემოსულობები ნასესხები სახსრებიდან	17	2,753	295
ნასესხები სახსრების გადაფარვა	17	(1,521)	(918)
კაპიტალის ზრდა		201	327
გადახდილი პროცენტი	17	(1,355)	(427)
იჯარის ვალდებულებების დაფარვა	17	-	(121)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		**78**	**123**
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		**826**	**5,143**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	15	5,133	–
სავალუტო კურსის სხვაობების გავლენა ფულადი სახსრებიდან და მათი ეკვივალენტებიდან		440	(10)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	15	**6,399**	**5,133**

მნიშვნელოვანი არაფულადი ოპერაციები

2019 წელს ორი მიწის ნაკვეთი, 8,927 ათასი ლარის ღირებულების და 5,228 ათასი ლარის ღირებულების, შეტანილი იქნა კომპანიის საწესდებო კაპიტალში.

1. ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) მიხედვით, საქართველოს კანონის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ მოთხოვნების გათვალისწინებით, 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, შპს საქართველოს განათლების ჯგუფისთვის (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი საწარმოებისთვის (ერთობლივად- „ჯგუფი“).

შპს საქართველოს განათლების ჯგუფი, საიდენტიფიკაციო ნომრით 400271059, არის შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რომელიც დაარსებულია 2019 წლის 7 ივლისს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის აქციონერები იყვნენ:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სს ჯორჯია კაპიტალი	100%	100%
სულ	**100%**	**100%**

ჯგუფის უშუალო მშობელი კომპანიაა სს ჯორჯია კაპიტალი. ჯგუფის საბოლოო მფლობელი და მაკონტროლებელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია (PLC) ჯორჯია კაპიტალი (“GCAP”), კომპანია რომელიც დაარსებულია გაერთიანებულ სამეფოში და ლონდონის საფონდო ბირჟის ჩამონათვალშია.

2019 წლის ზაფხულში, სს ჯორჯია კაპიტალმა შემდგომ საწარმოებში შეიძინა წილები:

- 70% ბრიტანულ ქართულ აკადემიაში –2019 წლის 23 ივლისი;
- 80% ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა თბილისში– 2019 წლის 29 ივლისი;
- 80% თბილისის მწვანე სკოლაში –2019 წლის 22 აგვისტო.

2020 წლის 29 ივნისს სს ჯორჯია კაპიტალმა ზემოაღნიშნული სკოლების მფლობელობა გადასცა შპს საქართველოს განათლების ჯგუფის. კაპიტალის რეორგანიზაციის შედეგად სს ჯორჯია კაპიტალის ყველა ვალდებულება, ასევე სს ჯორჯია კაპიტალსა და თითოეულ შვილობილ კომპანიას შორის არსებული უფლებები გადაეცა კომპანიას საკუთრების წილებთან ერთად. კაპიტალის რეორგანიზაცია რეტროსპექტულად იქნა გამოყენებული, შესაბამისად, შესადარისი ინფორმაცია მოიცავს შვილობილი კომპანიების ფინანსურ ინფორმაციას სს ჯორჯია კაპიტალის მიერ თითოეული შვილობილი კომპანიის შეძენის დღიდან.

2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

3 მომზადებისა და შეფასების საფუძველი (გაგრძელება)

შვილობილი კომპანია	მფლობელობა %, 2020	მფლობელობა %, 2019	ქვეყანა	ინდუსტრია	კონტროლი	შეძენის/ დაარსების თარიღი
შპს ბრიტანულ ქართული აკადემია	70%	70%	საქართველო	განათლება	დიახ	2019 წლის 23 ივლისი
თბილისის საერთაშორისო ბრიტანული სკოლა, ააიპ (BIST)	n/a	n/a	საქართველო	განათლება	დიახ	2019 წლის 23 ივლისი
შპს თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლა	70%	70%	საქართველო	განათლება	დიახ	2019 წლის 5 სექტემბერი
შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისი	80%	80%	საქართველო	განათლება	დიახ	2019 წლის 23 ივლისი
შპს სახლი წყნეთში	80%	80%	საქართველო	განათლება	დიახ	2019 წლის 23 ივლისი
შპს თბილისის მწვანე სკოლა	80%	80%	საქართველო	განათლება	დიახ	2019 წლის 22 აგვისტო
შპს მწვანე სკოლა	90%	90%	საქართველო	განათლება	დიახ	2019 წლის 21 ოქტომბერი

(*) ვინაიდან ააიპ BIST წარმოადგენს არაკომერციულ ერთეულს, იურიდიულად მას არ გააჩნია სააქციო კაპიტალის წილი, ანუ არ ჰყავს აქციონერები, რომლებიც ფლობენ ააიპ BIST–ის წილებს, რაც მისცემს მათ ხმის უფლებას, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება კომერციულ სუბიექტებთან. თუმცა, როგორც ააიპ BIST -ის დამფუძნებელს, მისი წესდება ჯგუფს აძლევს უფლებას განახორციელოს ააიპ BIST -ის შესაბამისი საქმიანობა.

ძირითადი საქმიანობა. ჯგუფი აერთიანებს თბილისში მდებარე ოთხ სკოლას და მისი ძირითადი საქმიანობაა სკოლების მუშაობის ზედამხედველობა და გაფართოების ძიება განათლების სფეროში, როგორც სკოლაში, ასევე საბავშვო ბაღში.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. ჯგუფის ძირითადი საოპერაციო ოფისი მდებარეობს პეტრე მელიქიშვილის გამზირზე N8 ა / ერეკლე ტატიშვილის ქუჩა N1, თბილისი, საქართველო.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები წარდგენილია ქართულ ლარში (₾), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2. ჯგუფის საოპერაციო გარემო

ჯგუფის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის მარტში დაადასტურა ახალი კორონავირუსი ("COVID-19"), როგორც გლობალური პანდემია. გაურკვეველია გლობალური ტემპების შემცირების მასშტაბი, რაც ამ პანდემიის შედეგი იქნება და მისი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე. საქართველოს მთავრობამ გაატარა რიგი ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს COVID-19- ის გავრცელების შეზღუდვას, რასაც მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური გავლენა აქვს.

ჯგუფი ახორციელებს მის საქმიანობაზე მომხმარებლებსა და თანამშრომლებზე COVID-19- ის გავლენის მონიტორინგს და მიჰყვება საქართველოს მთავრობის მიერ გაცემულ ოფიციალურ მითითებებს მისი ხალხის დასაცავად და საქმიანობის უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით. COVID-19- ის გავრცელების შემდეგ შეცვლილ გარემოსთან ადაპტაციის მიზნით, ჯგუფმა დისტანციური სწავლება დანერგა. დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებული საოპერაციო ხარჯების შემცირების გათვალისწინებით, ჯგუფმა განახორციელა ფასდაკლების, ასევე ისეთი მომსახურებებისთვის გადახდების ვადის გაზრდის (როლოვერი) შეთავაზება, რომლის მოსწავლეთათვის მიწოდებაც მან ვერ შესძლო ამ პერიოდში. ჯგუფმა დაკარგა რამდენიმე მოსწავლე, ძირითადად იმის გამო, რომ საბავშვო ბაღის მომსახურება არ არის ადვილად ჩანაცვლებადი ონლაინ სწავლებით. 2020 წელს ჯგუფის სწავლების ამონაგებზე გავლენა იქონია ჯგუფის მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებულმა ფასდაკლებამ დისტანციური სწავლებისა და გარკვეული სერვისებისთვის გადახდების ვადის გაზრდის გამო, საოპერაციო ხარჯების შემცირების პროპორციულად.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას ჯგუფის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

3. მომზადებისა და შეფასების საფუძველი

მომზადებისა და შეფასების საფუძველი. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, პირვანდელი ღირებულების მეთოდით, როგორც ეს მოდიფიცირებულია ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებით მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფასს-ის შესაბამისად კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მოითხოვება გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენება. აგრეთვე, მოითხოვება ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება, ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის განსჯას, ან, შეფასებები და დაშვებები, რომელიც მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, განმარტებულია მე-**Error! Reference source not found.** შენიშვნაში.

3 მომზადებისა და შეფასების საფუძველი (გაგრძელება)

სს ჯორჯია კაპიტალმა ინვესტიციები ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში , ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისში, თბილისის მწვანე სკოლაში და ჯორჯია ედუქეიშენ გრუფში გადაიტანა, რომელიც წარმოადგენს სრულად ფლობილ შვილობილ კომპანიას (შენიშვნა 1). საკუთრების გადაცემა მოხდა 2020 წლის ივნისში და განიხილება როგორც კაპიტალის რეორგანიზაცია, ადრე გამოყენებული ღირებულების მეთოდის გამოყენებით. საქართველოს განათლების ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ისე, თითქოს საწარმოები გაერთიანებული იყოს სს ჯორჯია კაპიტალის მიერ ზემოაღნიშნული საწარმოების შეძენის დღიდან, ეს არის თარიღი, როდესაც გაერთიანებული საწარმოები პირველად მოექცა საერთო კონტროლის ქვეშ.

ზემოაღნიშნული შვილობილი კომპანიების აქტივები და ვალდებულებები შეესაბამება წინამორბედი საწარმოს საბალანსო ღირებულებებს. წინამორბედი საწარმოს თავდაპირველი შესყიდვების თანდაყოლილი გუდვილი ასევე აღრიცხულია წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

გადაცემული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ჩამოთვლილია ქვემოთ:

ათასი ლარი	**სულ**
ძირითადი საშუალებები	37,019
არამატერიალური აქტივები	48
ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსი	732
გუდვილი	42,900
სულ გრძელვადიანი აქტივები	**80,699**
მარაგები	121
გადახდილი ავანსები	868
სხვა აქტივები	946
მოთხოვნები	524
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4,757
სულ მოკლევადიანი აქტივები	**7,216**
სულ აქტივები	**87,915**
გრძელვადიანი სესხები	20,840
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	592
დარიცხვები და სხვა ვალდებულებები, გრძელვადიანი	4,358
შპს თბილისი მწვანე სკოლის შეძენისას დარიცხული პირობითი კომპენსაციის ვალდებულება	656
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	**26,446**
ვალდებულებები	134
მიღებული ავანსები	3,460
გადავადებული ამონაგები	2,060
სახელშეკრულებო ვალდებულება, მოკლევადიანი	11,657
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	700
საგადასახადო ვალდებულება	3,807
სულ მოკლევადიანი ვალდებულება	**21,818**
სულ ვალდებულება	**48,264**
წმინდა აქტივები	**39,651**
არამაკონტროლებელი წილი	**(1,693)**
მფლობელისადმი მიკუთვნებადი აქტივები, წმინდა	**37,958**

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. შვილობილი საწარმოებია ინვესტიციის მიმღები ის საწარმოები (სტრუქტურიზებული საწარმოების ჩათვლით), რომლებსაც ჯგუფი აკონტროლებს, რადგან ჯგუფს: (i) გააჩნია ინვესტიციის მიმღების იმ შესაფერისი საქმიანობების წარმართვის უფლებამოსილება, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტიციის მიმღების უკუგებაზე; (ii) ინვესტიციის მიმღებ საწარმოში მონაწილეობის გამო, გააჩნია მისგან ცვალებადი უკუგების მიღების უფლება; და (iii) შესწევს უნარი, გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება ინვესტიციის მიმღებზე, რათა გავლენა მოახდინოს ინვესტორის უკუგებაზე. არსებითი უფლებების არსებობის და გავლენის (მათ შორის არსებითი პოტენციური ხმის უფლების) გათვალისწინება ხდება იმის შეფასებისას, გააჩნია თუ არა ჯგუფს უფლებამოსილება სხვა საწარმოზე. უფლება რომ არსებითი იყოს, მის მფლობელს უნდა გააჩნდეს პრაქტიკული უნარი, გამოიყენოს ეს უფლება ინვესტიციის მიმღების შესაბამისი საქმიანობის წარმართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. ჯგუფს შეიძლება გავლენა ჰქონდეს ინვესტიციის მიმღებზე მაშინაც კი, როდესაც მას ინვესტიციის მიმღების ხმათა უმრავლესობაზე ნაკლები ხმის უფლება გააჩნია. მსგავს შემთხვევაში, ჯგუფი შეაფასებს თავისი ხმის უფლების ზომას, ხმის უფლების სხვა მფლობელების ზომასა და ხმის უფლებების განაწილებასთან მიმართებით, რათა დაადგინოს, გააჩნია თუ არა მას დე-ფაქტო უფლებამოსილება ინვესტიციის მიმღებზე. სხვა ინვესტორების დამცავი უფლებები, როგორიცაა, მაგალითად უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტიციის მიმღების საქმიანობების ფუნდამენტურ ცვლილებებთან, ან, რომლებიც ვრცელდება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, ვერ უზრუნველყოფს ჯგუფის მიერ ინვესტიციის მიმღების გაკონტროლების თავიდან აცილებას. შვილობილი საწარმოები კონსოლიდირებულია ჯგუფისთვის კონტროლის უფლებამოსილების გადაცემიდან (შეძენის თარიღიდან), ხოლო კონსოლიდირება წყდება კონტროლის გაუქმების თარიღიდან.

ბუღალტრული აღრიცხვის შეძენის მეთოდი გამოიყენება შვილობილი საწარმოების შეძენის აღრიცხვისათვის. შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები, რომლებიც მიიღება საწარმოთა გაერთიანებისას, ფასდება მათი რეალური ღირებულებით შეძენის თარიღისათვის, ნებისმიერი არასაკონტროლო წილის ოდენობის მიუხედავად.

შვილობილი საწარმოების შეძენა საერთო კონტროლს დაქვემდებარებული მხარეებისაგან. საერთო კონტროლს დაქვემდებარებული მხარეებისაგან შვილობილი კომპანიების შეძენა აღირიცხება წინა ღირებულებების მეთოდის გამოყენებით. ამ მეთოდის მიხედვით გაერთიანებული საწარმოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ისე ხდება, თითქოს იგი გაერთიანებული იყო წარდგენილი ყველაზე ადრინდელი პერიოდიდან, ან თუ ეს უფრო გვიან მოხდა, იმ თარიღიდან, როდესაც გაერთიანებული საწარმოები პირველად დაექვემდებარა საერთო კონტროლს. საერთო კონტროლის ფარგლებში გადაცემული შვილობილი საწარმოს აქტივები და ვალდებულებები აისახება წინამორბედი საწარმოს საბალანსო ღირებულებებით.

წინამორბედ საწარმოდ მიიჩნევა იერარქიულად უმაღლესი ანგარიშვალდებული საწარმო, რომლის ანგარიშგებაშიც განხორციელდა შვილობილი საწარმოს ფასს სტანდარტების მიხედვით მომზადებული ფინანსური ინფორმაციის კონსოლიდირება. წინამორბედი საწარმოს თავდაპირველ შეძენასთან დაკავშირებული თანდაყოლილი გუდვილიც აისახება აღნიშნულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. წმინდა აქტივების, წინამორბედი საწარმოს გუდვილის ჩათვლით, საბალანსო ღირებულებასა და შეძენისთვის გადახდილ ანაზღაურებას შორის ნებისმიერი განსხვავება აისახება აღნიშნულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში სხვა რეზერვის კორექტირების სახით.

ჯგუფი აფასებს არასაკონტროლო წილს, რაც წარმოადგენს საკუთრების ამჟამინდელ წილს და მის მფლობელს უფლებამოსილებას ანიჭებს, მიიღოს წმინდა აქტივების პროპორციული წილი, ლიკვიდაციის შემთხვევაში ოპერაციების მიხედვით, ან (ა) რეალური ღირებულებით, ან (ბ) შეძენილი საწარმოს წმინდა აქტივების არასაკონტროლო წილის პროპორციული წილის სახით. არასაკონტროლო წილი, რომელიც არ წარმოადგენს საკუთრების წილს, ფასდება რეალური ღირებულებით.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გუდვილის შეფასება ხდება შესაძენი საწარმოსთვის გადახდილი ანაზღაურებიდან შეძენილი საწარმოს წმინდა აქტივების ღირებულების, არასაკონტროლო წილის და შეძენის თარიღამდე მოცემულ საწარმოში წილის გამოკლებით. ნებისმიერი უარყოფითი თანხა („უარყოფითი გუდვილი“ ან „იაფად შეძენა“) აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, მას შემდეგ, რაც ხელმძღვანელობა ხელახლა შეაფასებს, მოხდა თუ არა ყველა შეძენილი აქტივის და მიღებული ვალდებულების და პირობითი ვალდებულების იდენტიფიცირება და განიხილავს მათი შეფასების სისწორეს.

შეძენილ საწარმოში გადახდილი ანაზღაურება ფასდება დათმობილი აქტივების, გამოშვებული სავალო ინსტრუმენტების და მიღებული ვალდებულებების რეალური ღირებულებით, პირობითი ანაზღაურების შეთანხმებების აქტივების ან ვალდებულებების რეალური ღირებულების ჩათვლით, მაგრამ არ შეიცავს შეძენასთან დაკავშირებულ ისეთ დანახარჯებს, როგორიცაა საკონსულტაციო, იურიდიულ, შეფასების და მსგავსი პროფესიული მომსახურების დანახარჯებს. სავალო ინსტრუმენტების გამოშვებისათვის გაწეული გარიგების დანახარჯები გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან; საწარმოთა გაერთიანების ფარგლებში ვალის აღებასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯები გამოიქვითება მისი საბალანსო ღირებულებიდან და შეძენასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანარჩენი დანახარჯი აისახება ხარჯებში.

საწარმოთაშორისი ოპერაციები, ნაშთები და ჯგუფის შემადგენელ კომპანიებს შორის ოპერაციებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობები ანულირდება; არარეალიზებული ზარალიც ანულირდება, თუ შეუძლებელია დანახარჯების ამოღება. ჯგუფი და ყველა მისი შვილობილი საწარმო იყენებს ერთგვაროვან სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც ჯგუფის პოლიტიკის თანმიმდევრულია.

არამაკონტროლებელი წილი წარმოადგენს შვილობილი საწარმოს წმინდა შედეგების იმ ნაწილს, რომელიც მიკუთვნებადია იმ წილზე, რომელსაც ჯგუფი არ ფლობს არც უშუალოდ და არც არაპირდაპირ. არამაკონტროლებელი წილი წარმოადგენს ჯგუფის კაპიტალის ცალკე კომპონენტს.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. საწარმოს სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც ის საქმიანობს. ჯგუფის და მისი შვილობილების სამუშაო და წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი (“₾”). კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ქართულ ლარში („₾“), რომელიც ჯგუფის წარსადგენი ვალუტაა.

ოპერაციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება საწარმოს სამუშაო ვალუტაში შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით. უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი, წარმოქმნილი ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშებიდან საქართველოს ბანკის მიერ განსაზღვრული სავალუტო კურსით, აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში, როგორც სავალუტო ზარალი. ყველა დანარჩენი სავალუტო შემოსულობა და ზარალი აისახება მოგებისა და ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში, „სხვა შემოსულობა/(ზარალი), - ნეტო“. წლის ბოლოს არსებული კურსით კონვერტაცია არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომლებიც პირვანდელი ღირებულებითაა შეფასებული. უცხოურ ვალუტაში შეფასებული არაფულადი მუხლები, მათ შორის კაპიტალ-ინვესტიციები, გადაანგარიშდება რეალური ღირებულების განსაზღვრის თარიღით არსებული სავალუტო კურსით. სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე აღირიცხება, როგორც რეალური ღირებულების შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსი იყო შემდეგი: აშშ დოლარი 1=3.2766 ლარს, 1 ევრო=4.0233 ლარს (2019 წლის 31 დეკემბერი: აშშ დოლარი 1 = 2.8677 ლარს , 1 ევრო = 3.2095 ლარს).

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები. ძირთადი საშუალებები აღირიცხება პირვანდელი ღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის ან გაუფასურების ზარალით.

ძირითადი საშუალებების მუხლის პირვანდელი ღირებულება მოიცავს (ა) მის შეძენის ღირებულებას, მათ შორის საბაჟო მოსაკრებლებს და შესყიდვის დაუბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო დისკონტებს და სხვადასხვა სახის ფასდათმობებს; (ბ) ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ მიკუთვნებადია მუხლის იმ ლოკაციამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად, რომელიც მისთვის აუცილებელია, რათა იმოქმედოს ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული წესით; (გ) მუხლის დემონტაჟის, ამოღებისა და მისი ადგილმდებარეობის აღდგენის ხარჯების საწყის შეფასებას; (დ) ვალდებულებას, რომელიც ჯგუფს ეკისრება მუხლის შეძენისას, ან როგორც იმის შედეგი, რომ მუხლის გამოყენება, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ხორციელდებოდა ამ პერიოდის განმავლობაში მარაგების წარმოების გარდა სხვა მიზნებისთვის; ხოლო კვალიფიციური აქტივებისთვის, ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზდა ჯგუფის ძირითად სააღრიცხვო პრინციპებთან შესაბამისობაში.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის ჯგუფში შემოსვლა და დანახარჯების საიმედოდ შეფასება.. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ყველა სხვა რემონტის და საექსპლუატაციო დანახარჯები აისახება მოგება-ზარალში იმ ფინანსურ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი დარიცხვა.

შემდგომში კაპიტალიზირებული ხარჯები მოიცავს მსხვილ ხარჯებს იმ გაუმჯობესებების და ჩანაცვლებებისთვის, რომელიც ზრდის აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადას ან ზრდის მათი ამონაგების წარმოქმნის შესაძლებლობას. სარემონტო და ექსპლუატაციის ხარჯები, რომელიც არ აკმაყოფილებს კაპიტალიზაციის ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს, გაწევისთანავე დაირიცხება მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში,

ცვეთა. ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება ისე, რომ ჩამოიწეროს ცვეთის თანხა აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ჯგუფის ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

ძირითადი საშუალებების კატეგორიები	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	20-50 წელი
ავტომობილები	5-10 წელი
კომპიუტერები და საოფისე აღჭურვილობა	5-10 წელი
ავეჯი და სხვა უძრავი ნივთები	2-10 წელი
ბიბლიოთეკის წიგნები	3-5 წელი
სხვა	2-10 წელი

ცვეთის თანხა წარმოადგენს ძირითადი საშუალებების მუხლის ღირებულებას მისი ნარჩენი ღირებულების გარეშე. აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც ჯგუფი ამჟამად მიიღებს აქტივის გასვლიდან, შემცირებული გასვლის დანახარჯებით, თუ აქტივი უკვე იმ ხნის არის და იმ მდგომარეობაშია, რომელსაც მოსალოდნელია, რომ მოხდებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს. აქტივის ნარჩენი ღირებულება ნულის ტოლია იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფი მოელის ამ აქტივის გამოყენებას მისი ფიზიკური სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე.

აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. წინა შეფასებების ნებისმიერი ცვლილების გავლენა პერსპექტიულად აღირიცხება, როგორც ცვლილება სააღრიცხვო შეფასებაში.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

აქტივის გასვლის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვების შემოსულობებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარებულია მოგება-ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში.

დაუმთავრებელი მშენებლობა მოიცავს ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ძირითადი საშუალებების მშენებლობასთან. დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. დაუმთავრებელი მშენებლობის ცვეთა, იგივე საფუძველზე, როგორც სხვა ძირითადი საშუალებების მუხლებს, იწყება მაშინ, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომია, ე.ი. მაშინ, როდესაც ისინი იმ ლოკაციასა და მდგომარეობაშია, რომელიც მისთვის აუცილებელია, რათა იმოქმედოს ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული წესით.

აქტივების გამოყენების უფლება: აქტივების გამოყენების უფლება ფასდება თვითღირებულებით, შემცირებული ნებისმიერი დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით, და კორექტირდება იჯარის ვალდებულებების ნებისმიერი ხელახლა შეფასებისთვის. აქტივების გამოყენების უფლების ღირებულება მოიცავს აღიარებული იჯარის ვალდებულებების ოდენობას, დარიცხულ საწყის პირდაპირ ხარჯებს და საიჯარო გადახდებს, რომლებიც განხორციელებულია დაწყების თარიღით ან მის მერე, შემცირებული ნებისმიერი მიღებული საიჯარო წამახალისებლებით. აღიარებულ აქტივების გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის საფუძველზე, სასარგებლო მომსახურების ვადასა და იჯარის ვადებს შორის უმოკლესით. იჯარის პერიოდები წლებში შემდეგია:

	იჯარის პერიოდი
მიწა	50
შენობა-ნაგებობები	50

გუდვილი. გუდვილი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი გაუფასურების ზარალით, თუ ასეთი არსებობს. გუდვილი გადანაწილებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფებზე, რომლებიც მოსალოდნელია, რომ სარგებელს იღებენ ბიზნესის გაერთიანების სინერგიისაგან. მსგავსი ერთეულები ან ერთეულების ჯგუფები წარმოადგენენ ყველაზე ქვედა დონეს, რომელზეც ჯგუფი ახორციელებს გუდვილის მონიტორინგს და ისინი არ არიან უფრო დიდი ზომის, ვიდრე რომელიმე საოპერაციო სეგმენტი.

ჯგუფი გუდვილის გაუფასურებაზე ტესტირებას ახორციელებს ყოველწლიურად და აგრეთვე მაშინ, როდესაც არის გუდვილის გაუფასურების ნიშნები. იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება, რომელიც შეიცავს გუდვილს, შეუდარდება ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც წარმოადგენს გამოყენების ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას (შემცირებული გასვლის დანახარჯებით) უდიდესს. ნებისმიერი აღიარებული გაუფასურება მაშინვე აისახება ხარჯებში და არ ხდება მისი შემდეგში ანულირება.

ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (რომელზეც გადანაწილებულია გუდვილი) გასვლისას წარმოქმნილი შემოსულობები ან ზარალი მოიცავს გასულ ოპერაციასთან დაკავშირებული გუდვილის საბალანსო ღირებულებას, რომელიც, ზოგადად, შეფასებულია გასული ოპერაციის და ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შენარჩუნებული ნაწილის ფარდობითი ღირებულებების საფუძველზე.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივებს, რომლებსაც ცვეთა ერიცხებათ, მიმოიხილავენ გაუფასურების თვალსაზრისით, როდესაც მოვლენების ან ვითარების ცვლილება მიუთითებს რომ შეიძლება საბალანსო ღირებულება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი თანხა არის აქტივის რეალურ ღირებულებას, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივებს აჯგუფებენ რაც შეიძლება უმცირეს დონეზე, რომელზეც არსებობს დამოუკიდებელი ფულადი ნაკადები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). არაფინანსური აქტივების ადრინდელი გაუფასურება ყოველი საანგარიშგებო თარიღით გადაისინჯება გაუფასურების შესაძლო ანულირების თვალსაზრისით.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები.. მათი კლასიფიკაციის მიხედვით, ფინანსური ინსტრუმენტები აისახება რეალური ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ. რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად შეფასების თარიღით ბაზრის მონაწილეებს შორის გარიგებისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიური ბაზარი გახლავთ ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

გარიგების ხარჯები გახლავთ დამატებით ხარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების ხარჯები მოიცავენ სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟისთვის (მათ შორის თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ, როგორც გაყიდვების აგენტები) გადახდილ საფასურს და საკომისიოს, და აგრეთვე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების ხარჯები არ მოიცავენ სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება ("AC") არის თანხა, რომელიც მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის საწყისი აღიარების თანხას გამოკლებული ძირითადი თანხის გადახდა, დამატებული დაგროვილი პროცენტი და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით *("ECL").* დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი, ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საფასურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება სავარაუდო მომავალი ფულადი გადახდები ან შემოსავლები (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გარეშე) ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადაზე ან საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მცოცავ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების ("POCI") შემთხვევაში თავდაპირველი აღიარებისას უნდა განისაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, მაგალითისთვის, სახელშეკრულებო გადახდების ნაცვლად, ის თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე გამოითვლება.

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, კორექტირებული გარიგების დანახარჯებით. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. საწყის აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც რეალური ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციები, ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით (AC) რაც გამოიწვევს მყისეულ საბუღალტრო ზარალს.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიაში. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს შემდეგ შეფასების კატეგორიებად აჯგუფებს: რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით, რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და ამორტიზებული ღირებულებით. სავალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია (i) დაკავშირებული აქტივების პორტფელის მართვისთვის ჯგუფის მიერ გამოყენებულ ბიზნეს-მოდელზე; და (ii) აქტივის ფულადი ნაკადის მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს-მოდელი. ბიზნეს-მოდელი ასახავს, როგორ მართავს ჯგუფი თავის აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად. ჯგუფის ერთადერთი მიზანია აქტივებიდან წარმოქმნილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება ("სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ფლობილი").

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როდესაც ბიზნეს-მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად, მაშინ ჯგუფი შეაფასებს ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას ("SPPI") წარმოადგენენ თუ არა.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. საწარმოს არ შეუცვლია თავისი ბიზნეს-მოდელი მიმდინარე და შესადარის პერიოდებში და არ განუხორციელებია რეკლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის.. ჯგუფს აქვს ფინანსური აქტივების ორი ტიპი, რომელიც ექვემდებარება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელს- სავაჭრო და სხვა ფინანსური მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.

ჯგუფი იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, რომელიც იყენებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად გამოყენებულია ინდივიდუალური შეფასების მიდგომა.

.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მე-12 შენიშვნა გვაწვდის ინფორმაციას ამოსავალი მონაცემების, დაშვებების და შეფასების ტექნიკის შესახებ, რომელიც გამოყენებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, მათ შორის იმის განმარტებას, თუ როგორ ჩართავს ჯგუფი საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელებში.

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც ჯგუფი ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. მაჩვენებლები იმისა, რომ არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი, მოიცავს: მოთხოვნების 360 დღეზე მეტ ვადაგადაცილებას, ლიკვიდაციას ან გაკოტრების სამართალწარმოებას ან აღსრულების ღონისძიებების დასრულებას. ჯგუფმა შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც ჯგუფი ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო ვადა დადგა, თუმცა, არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. ჯგუფი ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე უფლების ვადის გასვლა ან (ბ) ჯგუფმა სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო გარიგება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

ჯგუფი გადაცემულ აქტივზე კონტროლს ინარჩუნებს, თუ მიმღებ სუბიექტს არ გააჩნია გადაცემული აქტივის გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა არადაკავშირებულ მესამე მხარეზე და, აქტივის გადაცემაზე ყოველგვარი დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული („AC“),

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოეწურება).

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, (ii) დეფოლტი და (iii) გადახდისუუნარობა ან გაკოტრება.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) რადგან ისინი ფლობილია სახელშეკრულებო და იმ ფულადი ნაკადის მიღებისთვის, რომელიც მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას ("SPPI") წარმოადგენს, და (ii) მათ მინიჭებული არა აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულის კატეგორია. მახასიათებლებს, რომლებიც მხოლოდ კანონმდებლობით განისაზღვრება, როგორიცაა მაგალითად სავალო ვალდებულებების რესტრუქტურიზაციის კანონმდებლობა გარკვეულ ქვეყნებში, გავლენა არა აქვს მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდის ტესტზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის სახელშეკრულებო პირობებში აისახება, ისე რომ ის მაინც ძალაში იქნება, კანონმდებლობა რომც შეიცვალოს. 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფულადი სახსრებისა დ ამათი ეკვივალენტების ნაშთებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უმნიშვნელო იყო.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაჰენტი ასრულებს თავის მოვალეობებს, ხელშეკრულების ფარგლებში, იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზება. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული საერთო და სპეციფიკური დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნებადია აქტივის შეძენაზე, მშენებლობაზე ან შექმნაზე რასაც მნიშვნელოვანი დრო სჭირდება განზრახული მიზნით მოხმარებისათვის ან გასაყიდად მოსამზადებლად, შეადგენს ამ აქტივების თვითღირებულების ნაწილს. ყველა სხვა სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები დანახარჯებში აისახება იმ პერიოდში, როდესაც მათი გაწევა მოხდა. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს პროცენტს და სხვა ხარჯებს, რომლებიც საწარმომ უნდა გასწიოს თანხების სესხებასთან დაკავშირებით.

იჯარის ვალდებულებები. იჯარისგან გამოწვეული ვალდებულებები თავდაპირველად შეფასდება ამჟამინდელი ღირებულების საფუძველზე. საიჯარო ვალდებულებები მოიცავს შემდეგი ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების წმინდა ამჟამინდელ ღირებულებას: ფიქსირებული გადახდები (არსებითი ფიქსირებული გადასახადების ჩათვლით), საიჯარო წამახალისებელი თანხების შემცირებით.

იჯარის გადახდები განაწილდება ძირ თანხასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები დაირიცხება მოგებაში ან ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში იმისათვის, რომ იწარმოებოდეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების ნარჩენ ნაშთზე თითოეული პერიოდისთვის.

მუდმივი პერიოდული განაკვეთის დასადგენად, ჯგუფი იყენებს მესამე მხარის დაფინანსების ბოლოდროინდელ განაკვეთს, რომელიც გაცხადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

აპარატურისა და სატრანსპორტო საშუალებების მოკლევადიან იჯარასთან და დაბალღირებულებიანი აქტივების ყველა იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარებულია წრფივი მეთოდის საფუძველზე, როგორც მოგება ან ზარალის ხარჯი. მოკლევადიანი იჯარები არის იჯარები, რომლებსაც საიჯარო ვადა 12 თვე ან ნაკლები აქვთ.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა. ხელმძღვანელობა ჯგუფის გაურკვეველ საგადასახადო მდგომარეობას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის მდგომარეობისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, ვინაიდან მეტად სავარაუდოა, რომ ეს გახდება მიზეზი გამოწვევებისა და დამატებითი გადასახადების დაკისრებისა საგადასახადო ორგანოების მხრიდან. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ამჟამად ძალაშია ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და საშემოსავლოს გარდა, სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი მოგების გადასახადის პოზიციები პროცენტისა და ჯარიმების გარდა, აისახება მოგების გადასახადის ხარჯში.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გამომავალი დამატებული ღირებულების გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი ხდება მომხმარებლებისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდებისთანავე. შემავალი დღგ ჩვეულებრივ ანაზღაურდება გამომავალი დღგ-სგან დღგ-ს ინვოისის მიღებისთანავე. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, ჯგუფის შემოსავლების ძირითადი წყარო, კერძოდ საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდება, გათავისუფლებულია გამომავალი დღგ-სგან, ყველა შემავალი დღ-ს ანაზღაურების უფლების შენარჩუნების გარეშე. გაყიდვასა და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა საფუძველზე და განმარტებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ან ვალდებულებების ნაწილში. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ს წმინდა საფუძველზე ანგარიშსწორება.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი მოწოდებულია წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციაში, პერიოდის ბოლოსთვის არსებული კანონმდებლობის ან ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება ან დივიდენდების გაცემის გზით აღნიშნული მოგების განაწილება ან განაწილებულად მიჩნევა.

ფიზიკური პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა აგროსილ ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები აიგროსება შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა. გაუთვალისწინებელი საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი კვლავ გადაიხდება ხარჯებზე ან სხვა გადასახადებზე, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას, აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდებას და წარმომადგენლობით ხარჯებს, რომლებიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ საწარმოებზე გადახდილი ავანსები და ამ საწარმოებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ტრანზაქციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, აქტივებზე მოთხოვნილი ან შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებული პირებისთვის გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებული მომსახურების გარეშე, ან ფიზიკური და არარეზიდენტი პირებისთვის გაცემული სესხების ანაზღაურება აღირიცხება მუხლში 'გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა' საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში ჯგუფის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ჯგუფში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება ჯგუფის წესდების მიხედვით. ჯგუფის წესდებაში ცვლილებები (რომლებიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს, მფლობელობას და ა.შ) განხორციელდება მხოლოდ ჯგუფის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ჯგუფის სააღრიცხვო ანგარიშები წარმოადგენს მოგების განაწილებისა და სხვა ასიგნებების საფუძველს. საქართველოს კანონმდებლობა განაწილების საფუძველს განსაზღვრავს როგორც მიმდინარე წლის წმინდა მოგებას.

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები. ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადისა და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის შესასრულებლად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხების შეფასება ხდება ვალდებულების ანგარიშსწორებისათვის საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გადასახადები და ხარჯები, როგორიცაა, მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მარეგულირებლის საფასური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის; რაც განისაზღვრება კანონმდებლობით, რომელიც განაპირობებს მოცემული გადასახადის გადახდის ვალდებულებას. თუ გადასახადი მავალდებულებელი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება წინასაწარი გადახდის სახით.

როდესაც ჯგუფი მოელის ანარიცხების ანაზღაურებას, მაგალითად სამშენებლო კონტრაქტის ფარგლებში, ეს ანაზღაურება აღიარდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება ფაქტობრივად გარდუვალია.

ამონაგების აღიარება. ჯგუფი საქმიანობს მოსწავლეთათვის სწავლების მომსახურების მიწოდების ბიზნესში.

ჯგუფი აღიარებს ამონაგებს, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს იმ თანხად, რომელიც ასახავს იმ ანაზღაურებას, რომლის გადახდასაც ჯგუფი მოელის, ამ საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ.

შესრულების ვალდებულება წარმოადგენს განსხვავებულ საქონელს ან მომსახურებას (ან საქონლის ან მომსახურების პაკეტს) ან განსხვავებული საქონლის ან მომსახურებების რიგს, რომლებიც არსებითად ერთიდაიგივეა. კონტროლის გადაცემა დროთა განმავლობაში ხდება და ამონაგები დროთა განმავლობაში აღიარდება შესაბამისი შესრულების ვალდებულების სრული დაკმაყოფილებისკენ მიმავალი პროგრესის გათვალისწინებით, თუ რომელიმე შემდეგი კრიტერიუმია დაკმაყოფილებული:

- მომხმარებელი ერთდროულად იღებს და მოიხმარს ჯგუფის საქმიანობით გათვალისწინებულ სარგებელს, ჯგუფის საქმიანობის შესრულებასთან პარალელურად;
- ჯგუფის საქმიანობა ქმნის ან აძლიერებს აქტივს, რომელსაც მომხმარებელი აკონტროლებს ჯგუფის საქმიანობის შესრულებისას; ან
- ჯგუფის საქმიანობის შესრულება არ ქმნის აქტივს ჯგუფისთვის ალტერნატიული გამოყენებისთვის და ჯგუფს გააჩნია ვადაში დასრულებული საქმიანობის შედეგებისთვის გადახდის მიღების იურიდიულად გამყარებული უფლება

წინააღმდეგ შემთხვევაში, ამონაგები აღიარებულია იმ მომენტში, როდესაც მომხმარებელი მიიღებს კონტროლს განსხვავებულ საქონელზე ან მომსახურებაზე.

სახელშეკრულებო ვალდებულება წარმოადგენს ჯგუფის ვალდებულებას მომხმარებელს გადასცეს ის საქონელი ან მომსახურება, რომლისთვისაც ჯგუფმა მიიღო ანაზღაურება (ან ანაზღაურება მისაღებია) მომხმარებლისგან.

ხელშეკრულების აქტივი და ხელშეკრულების ვალდებულება, რომელიც ეხება ერთსა და იმავე ხელშეკრულებას, აღირიცხება და წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე.

შემდეგი მოსაზრებები მნიშვნელოვანია შემოსავლების კონკრეტული ნაკადებისათვის:

სწავლების ამონაგები ჯგუფის ხელშეკრულებები მომხმარებლებთან მოქმედებს სამიდან ექვს წლამდე, ხელშეკრულებებში მითითებულია წლიური გადასახადი.

ჯგუფი მოსწავლეებს სთავაზობს საგანმანათლებლო მომსახურებას განათლების ეროვნული მიზნებისა და სასწავლო გეგმით განსაზღვრული პროგრამების შესაბამისად. ჯგუფი ასევე სთავაზობს დამატებით მომსახურებებს, როგორიცაა კვების ორგანიზება და ტრანსპორტირება. სწავლების ამონაგები დროთა განმავლობაში აღიარდება წრფივი მეთოდის საფუძველზე, სასწავლო წლის განმავლობაში სკოლაში სწავლის დღეების ზუსტი რაოდენობის გამოყენებით.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

შემოსავალი სახელმწიფო გრანტიდან. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ვაუჩერებს ყველა ლიცენზირებულ სკოლას ურიგებს. წლიური თანხა 0,3 ათასი ლარია თითო მოსწავლეზე. იგი შესაბამისად ნაწილდება ყოველი თვის ბოლოს, როდესაც შესრულების ვალდებულება უკვე დაკმაყოფილებულია.

სახელშეკრულებო ვალდებულებები. მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები, იქამდე, სანამ ჯგუფი საქონელზე კონტროლს გადასცემს მომხმარებელს, აღიარებულია, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულებები. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები არის ჯგუფის ვალდებულებები გადასცეს ის საქონელი და მომსახურება მომხმარებლებს, რისთვისაც ჯგუფმა მიიღო ანაზღაურება.

თანამშრომელთა გასამრჯელოები. ხელფასი, სარგო, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და არა-ფულადი სარგებელი (როგორიცაა სამედიცინო მომსახურება) დაირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება ჯგუფის თანამშრომლების მიერ. ჯგუფს არ გააჩნია რაიმე სახის იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება შეწონილი საშუალო ღირებულების საფუძველზე. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, შემცირებული დასრულების შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით.

ოპერაციები აქციონერებთან. ჯგუფი აქციონერებთან ოპერაციებს აღრიცხავს თვითღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი სტანდარტი მოითხოვს ოპერაციის რეალური ღირებულებით აღიარებას. აქციონერებთან, მათი, როგორც აქციონერის ფუნქციონირების შედეგად მიღებული ოპერაციების შედეგები, აღირიცხება საკუთარი კაპიტალის საშუალებით.

ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების განხორციელებისთვის საჭიროა ჯგუფის ხელმძღვანელობის დასტური, ვინც ამ ფინანსურ ანგარიშგებას გამოსაცემად ამტკიცებს..

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ჯგუფი აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

შპს ბაქსვუდის საერთაშორისო დაწყებითი სკოლა -თბილისის გარკვეული აქტივებისა და ვალდებულებების მიღება. 2019 წლის ივნისში, ჯგუფს, შპს ბაქსვუდის საერთაშორისო დაწყებითი სკოლა -თბილისსა და სს ჯორჯია კაპიტალს შორის გაფორმდა „ურთიერთგაგების მემორანდუმი“ (შემდგომში „მემორანდუმი“), რისი თანმდევიც სს ჯორჯია კაპიტალის მიერ ჯგუფის საკონტროლო წილის შესყიდვა იყო. ხელმძღვანელობამ განსაზღვრა, რომ ჯგუფი და შპს ბაქსვუდის საერთაშორისო დაწყებითი სკოლა -თბილისი წარმოადგენდნენ საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებს ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმების დღეს.

მემორანდუმის საფუძველზე, ჯგუფმა თავის თავზე აიღო შპს ბაქსვუდის საერთაშორისო დაწყებითი სკოლა - თბილისის სასესხო ვალდებულებები 3,780 ათასი ლარის ოდენობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 218 ათასი ლარის ოდენობით, მოკლევადიანი ვალდებულებები 218 ათასი ლარის ოდენობით (მათ შორის სასწავლო ხელშეკრულებები მოსწავლეებთან, შესაბამისი სახელშეკრულებო ვალდებულებებით 138 ათასი ლარის ოდენობით). ჯგუფმა 3,780 ათასი ლარის ღირებულების ზარალი აღრიცხა პირდაპირ კაპიტალში, როგორც აქციონერებთან გარიგების შედეგი, რომელიც არ განხორციელებულა საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოების განმავლობაში. ჯგუფი მიიჩნევს, რომ ოპერაციამ არ გამოიწვია საწარმოთა გაერთიანება ფასს 3-ის შესაბამისად, რადგან შეძენილი აქტივები და ვალდებულებები არ აკმაყოფილებდნენ საწარმოს განმარტებას.

კონტროლი არასამეწარმეო არაკომერციულ იურიდიულ პირზე (ააიპ). ჯგუფი არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის-თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლის დამფუძნებელი, (ააიპ "BIST "). ვინაიდან ააიპ BIST არის არაკომერციული ორგანიზაცია, ააიპ BIST ის სააქციო წილი არ შეიძლება იყოს კანონიერ საკუთრებაში, ანუ მას არ ჰყავს აქციონერები, რომლებიც ფლობენ წილებს, რომელიც მისცემს მათ ხმის უფლებას, თუმცა მაინც შეიძლება იყოს „კონტროლირებული“ სხვა საწარმოს მიერ ფასს 10 -ის მიხედვით. ჯგუფმა გააანალიზა ფასს 10 -ის მოთხოვნები და დაასკვნა, რომ მას აქვს ჯგუფის წესდებით განსაზღვრული ძალაუფლება ააიპ BIST-ზე, რადგან ჯგუფს აქვს უფლება დანიშნოს ააიპ BIST – ის დირექტორი და მმართველობა და წარმართოს მისთვის შესაბამისი საქმიანობა. ვინაიდან კონტროლის საშუალება მხოლოდ ააიპ BIST - ის წესდებით არის შესაძლებელი ააიპ BIST - ის კაპიტალი შეზღუდულია და ააიპ BIST-ის წმინდა აქტივები კლასიფიცირდება როგორც არამაკონტროლებელი წილი.

შეფასებული გუდვილის გაუფასურება. იმის განსასაზღვრად, ადგილი აქვს თუ არა გუდვილის გაუფასურებას, საჭიროა იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების გამოყენების ღირებულების შეფასება, რომლებზეც განაწილებულია გუდვილი. გამოყენების ღირებულების გაანგარიშება მოითხოვს, რომ დირექტორებმა შეაფასონ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისგან წარმოშობილი მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადები და ამჟამინდელი ღირებულების გამოსათვლელად საჭირო მოსახერხებელი დისკონტირების განაკვეთი.

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობისას ჯგუფი ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარეებთან. IFRS 9-ით მოითხოვება ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება, მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი მსგავსი ოპერაციებისათვის, განსჯა გამოიყენება იმის განსაზღვრისათვის, გარიგებები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით ხორციელდება თუ არასაბაზრო განაკვეთებით. განსჯა ეფუძნება არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასებს და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს. დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთების პირობები აღწერილია მე-7 შენიშვნაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი, ძირითადად, გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა, მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ ჯგუფისათვის. გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები 10%-ით რომ იყოს განსხვავებული ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან, 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცვეთაზე გავლენა იქნებოდა მისი გაზრდა 94 ათასი ლარით ან მისი შემცირება 72 ათასი ლარით (2019 წ. გაზრდა 132 ათასი ლარით ან შემცირება 94 ათასი ლარით).

აქტივების გამოყენების უფლების გაუფასურება. იჯარის პირობების განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტსა და გარემოებას, რომელიც ქმნის ეკონომიკურ წამახალისებელს გაგრძელების ოფციონის გამოსაყენებლად ან შეწყვეტის ოფციონის არ გამოსაყენებლად. გაგრძელების ოფციონი იჯარის პირობებში შეყვანილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გონივრული რწმუნება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება).

იჯარით გაცემული მიწისა და შენობა-ნაგებობებისთვის, ტიპიურად, ყველაზე შესაბამისი შემდეგი ფაქტორებია:

- თუ არ არსებობს მნიშვნელოვანი ჯარიმები შეწყვეტაზე (არ გაგრძელებაზე), ჩვეულებრივ, ჯგუფს აქვს გონივრული რწმუნება იჯარის გაგრძელებაზე (არ შეწყვეტაზე).
- თუ მოსალოდნელია, რომ რომელიმე საიჯარო გაუმჯობესებას ექნება მნიშვნელოვანი ნარჩენი ღირებულება, ჩვეულებრივ, ჯგუფს გააჩნია გონივრული რწმუნება იჯარის გაგრძელებაზე (ან არ შეწყვეტაზე)

სხვაგვარად, კომპანია ითვალისწინებს სხვა ფაქტორებს, მათ შორის ისტორიული იჯარის განგრძობითობას და ხარჯებს და იჯარით გაცემული აქტივის ჩასანაცვლებლად გაწეულ ხარჯებს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ჯგუფი ქმნის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რათა აღრიცხოს შეფასებული ზარალი, რაც გამოწვეულია მომხმარებლების უუნარობით, განახორციელონ საჭირო გადახდები ან მომწოდებლების მიერ შეთანხმებული პროდუქციის ან მომსახურების ვერ მიწოდებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, მოთხოვნების და გადახდილი ავანსების ნაშთების ხანდაზმულობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, მომხმარებლებისა და მომწოდებლების კრედიტუნარიანობას და გადახდის პირობების ცვლილებას.

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

ეკონომიკაში, ინდუსტრიაში ან მომხმარებლებისა და მომწოდებლების სპეციფიკურ პირობებში ცვლილებამ შეიძლება საჭირო გახადოს ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კორექტირება. განსჯის მიხედვით, 211 ათასი და 59 ათასი ლარი უკავშირდება 2020 წლის და 2019 წლის ბოლოსთვის მოთხოვნების ანგარიშების ანარიცხებს, შესაბამისად.

ფუთ-ოფციონი. ჯგუფმა აღიარა სამი შვილობილი კომპანიის (შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის, შპს თბილისის მწვანე სკოლის და შპს მწვანე სკოლის) არამაკონტროლებელი წილების ფუთ-ოფციონი, რაც მათ აძლევს ჯგუფისათვის აქციების მიყიდვის უფლებას. ოფციონი აღირიცხება როგორც ვალდებულება და არა როგორც წარმოებული ინსტრუმენტი. ოფციონის რეალიზაციის ფასი გამოითვლება წინასწარ განსაზღვრული EBITDA კოეფიციენტის და წმინდა ვალის გამოყენებით. ხელმძღვანელობა განსჯის მიხედვით ადგენს სამომავლო EBITDA– ს და წმინდა ვალის სხვადასხვა შედეგებს, რის შედეგადაც შეწონილი თანხა აღიარდება როგორც ვალდებულება.

ქოლ-ოფციონი. ჯგუფმა აღიარა ქოლ-ოფციონი, რომელიც წარმოადგენს შპს თბილისის მწვანე სკოლის დარჩენილი 20% სააქციო წილის არამაკონტროლებელი წილებიდან შეძენის ოფციონს შპს თბილისის მწვანე სკოლის წინასწარ განსაზღვრული EBITDA კოეფიციენტის და წმინდა ვალის საფუძველზე. ჯგუფმა ოფციონის შეფასებისათვის გამოიყენა ბინომინალური მოდელი.

6. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ პერიოდებში და რომლებიც ჯგუფს მანამდე არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ასსს-ის მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს. ჯგუფი არ მოელის, რომ ეს ცვლილებები გავლენას მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“-(გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს ამლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება, არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ხელშეკრულებების ჯგუფში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული ჯგუფი ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. ჯგუფი არ მოელის, რომ ეს ცვლილებები გავლენას მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია – შესწორებები ბასს 1-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის 2022 წლის 1 იანვრიდან). ეს ვიწრო მასშტაბის ვალდებულებები კლასიფიცირდება ან როგორც გრძელვადიანი, ან როგორც მოკლევადიანი, რაც დამოკიდებულია იმ უფლებებზე, რომლებიც საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის არის არსებული. ვალდებულებები გრძელვადიანია თუ საწარმოს, საანგარიშო პერიოდის ბოლოს, გააჩნია იმის არსებითი უფლება, რომ გადაავადოს ანგარიშსწორება სულ მცირე 12 თვით. სახელმძღვანელო მითითებები აღარ მოითხოვს, რომ ეს უფლება იყოს უპირობო. ხელმძღვანელობის მოლოდინი იმის შესახებ, რომ საწარმო შემდგომში გამოიყენებს ანგარიშსწორების გადავადებას არ ახდენს გავლენას ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში არსებობს, თუ საწარმო აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს საანგარიშო პერიოდის ბოლოს მდგომარეობით. ვალდებულება კლასიფიცირდება მოკლევადიანად თუ პირობა დარღვეულია საანგარიშო პერიოდის მსვლელობისას ან მანამდე, იმ შემთხვევაშიც, თუ ამ პირობაზე უარი გამსესხებლისგან არის მიღებული მხოლოდ საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

საპირისპიროდ, სესხი კლასიფიცირდება გრძელვადიანად თუ სესხის შეთანხმება ირღვევა მხოლოდ საანგარიშო თარიღის შემდეგ. დამატებით, შესწორებები მოიცავს კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას იმ ვალისათვის, რომლის ანგარიშსწორებასაც ჯგუფი მისი კაპიტალში გადაანგარიშებით შეძლებს. „ანგარიშსწორება“ განისაზღვრება, როგორც ვალის დაფარვა ფულადი სახსრებით, სხვა რესურსებით, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებით. არსებობს გამონაკლისი იმ გადაანგარიშებადი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეიძლება გადაანგარიშებული იყოს კაპიტალში, მაგრამ მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, სადაც გადაანგარიშების შესაძლებლობა კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი-როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე შემადგენელი კომპონენტი.

ვალდებულებების კლასიფიკაცია გრძელვადიანად და მოკლევადიანად, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება- შესწორებები ბასს1-თვის (გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ). ეს ბასს 1-ის შესწორება ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიცირებაზე, გამოცემულია 2020 წლის იანვარში, თავდაპირველი ძალაში შესვლის თარიღით - 2022 წლის 1 იანვარი. თუმცა, COVID -19 პანდემიის საპასუხოდ, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით, რათა კომპანიებს მიეცეთ მეტი დრო, განახორციელონ კლასიფიკაციის ცვლილებები, შესწორებული სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შემოსულობები სავარაუდო მოხმარებამდე, წამგებიანი ხელშეკრულებები- ხელშეკრულების შესრულების ხარჯი, მითითება კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე- ასს 16, ასს 37 და ფასს 3 -ის ვიწრო მოქმედების სფეროს შესწორებები და ფასს 2018-2020 წლის წლიური გაუმჯობესებები- ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ასს 41 -ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს და ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის) ბასს 16-ის შესწორება უკრძალავს საწარმოს ძირითადი საშუალებების მუხლის ხარჯიდან საწარმოს მიერ აქტივის სავარაუდო მოხმარებისთვის მომზადებისას წარმოებული მუხლის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის გამოქვითვას. მსგავსი მუხლების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობები, მათი წარმოების ხარჯებთან ერთად, ახლა აღიარდება მოგება-ზარალში. საწარმო გამოიყენებს ბასს 2-ს ამ მუხლების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ მოიცავს შემოწმების პროცესში მყოფი აქტივის ცვეთას, იმიტომ, რომ ის ჯერ მზად არ არის მისი სავარაუდო მოხმარებისთვის. ბასს 16-ის შესწორება ასევე განმარტავს, რომ საწარმო ახორციელებს იმის შემოწმებას „ფუნქციონირებს თუ არა აქტივი სათანადოდ“ მაშინ, როდესაც ის აფასებს აქტივის ტექნიკურ თუ ფიზიკურ წარმადობას. აქტივის ფინანსური წარმადობა ამ შეფასების რელევანტური არ არის. ამგვარად, აქტივს შეუძლია ხელმძღვანელობის განზრახვის შესაბამისად ფუნქციონირება და ექვემდებარება ცვეთას სანამ არ მიაღწევს ხელმძღვანელობის მიერ განზრახულ საოპერაციო წარმადობას.

ბასს 37-ის შესწორებები განმარტავს „ხელშეკრულების შესრულების ხარჯების“ მნიშვნელობას. შესწორება განმარტავს, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი ხარჯები შედგება ამ ხელშეკრულების შესრულების დანახარჯებისაგან და იმ ხარჯების განაწილებისგან, რომელიც პირდაპირ კავშირშია შესრულებასთან. შესწორება ასევე განმარტავს, რომ სანამ წამგებიანი ხელშეკრულების ცალკე ანარიცხი შეიქმნება, საწარმო აღიარებს ხელშეკრულების შესრულებისთვის გამოყენებული იმ აქტივების ნებისმიერი გაუფასურების ზარალს, რომელსაც ადგილი ჰქონდა, მეტად, ვიდრე იმ აქტივების, რომლებიც ხელშეკრულებისთვის არის განკუთვნილი.

ფასს 3-ში შევიდა შესწორებები, რომლებიც მიუთითებს 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე იმისათვის, რომ განისაზღვროს, თუ რას წარმოადგენს აქტივი საწარმოთა გაერთიანებისას. შესწორების შეტანამდე, ფასს 3 მიუთითებდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

დამატებით, ფასს 3-ის ახალი გამონაკლისი დაემატა ვალდებულებებს და პირობით ვალდებულებებს. გამონაკლისი მიუთითებს, რომ გარკვეული ტიპის ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებებისთვის, საწარმომ, ფასს 3 -ის გამოყენების ნაცვლად ბასს 37 ან ფასიკ 21 უნდა გამოიყენოს, ვიდრე 2018 წლის კონცეპტუალური სტრუქტურული საფუძვლები. ამ ახალი გამონაკლისის გარეშე, საწარმოს გარკვეული ვალდებულებები საწარმოთა გაერთიანებისას უნდა ეღიარებინა, რასაც ბასს 37-ის მიხედვით, არ აღიარებდა. ამგვარად, დაუყოვნებლივ, შესყიდვის შემდეგ, საწარმოს მოუწევდა მსგავსი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა და ისეთი შემოსულობის აღიარება, რომელმაც არ გამოკვეთა ეკონომიკური სარგებელი. ასევე განმარტებულია, რომ შემსყიდველმა არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივი შესყიდვის თარიღით, როგორც ეს განსაზღვრულია ბასს 37-ით.

ფასს 9-ს შესწორება განმარტავს, თუ რომელი საზღაური უნდა იყოს შეყვანილი ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის 10%-იან ტესტში. ღირებულებებადა საზღაური შესაძლებელია გადახდილი იყოს ან მესამე მხარეებისთვის ან გამსესხებლისთვის. შესწორების მიხედვით, ის ღირებულება და საზღაური, რომელიც გადახდილია მესამე მხარეებისთვის არ შევა 10%-იან ტესტში. ილუსტრაციული მაგალითი 13, რომელიც მოყვება ფასს 16-ს, შესწორდა, რათა მეიჯარის მიერ გადახდების ილუსტრაცია, რომელიც უკავშირდება საიჯარო გაუმჯობესებებს, იყოს ამოღებული. შესწორების მიზეზი საიჯარო წამახალისებლებთან დაკავშირებული ნებისმიერი პოტენციური გაუგებრობის აღმოფხვრაა.

ფასს 1 იძლევა საშეღავათო უფლებას შვილობილმა საწარმომ ფასს-ები მიიღოს უფრო გვიანი თარიღით, ვიდრე მშობელმა საწარმომ. შვილობილ საწარმოს შეუძლია მისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებით შეფასება, რაც შესული იქნებოდა მისი მშობელი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, მშობელი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ კონსოლიდაციის პროცედურებისთვის და საწარმოთა გაერთიანების იმ შედეგებისთვის, რომელშიც მშობელმა შეიძინა შვილობილი საწარმო, არ შესულა შესწორებები.

ფასს 1-ში შევიდა შესწორებები, რათა მიეცეს ფასს 1-ის შეღავათით მოსარგებლე საწარმოებს იმის უფლება, რომ დაგროვილი საკურსო სხვაობებიც შეაფასოს მშობელი საწარმოს მიერ ანგარიშგებული თანხების გამოყენებით, მშობელი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. ფასს 1-ის შესწორებები აფართოებს ზემოთ აღნიშნულ შეღავათს დაგროვილ საკურსო სხვაობებზე პირველად სტანდარტების მიმღები საწარმოებისთვის ხარჯების შესამცირებლად. ეს შესწორება ასევე ეხება იმ მეკავშირე და ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულს საწარმოებს, რომლებმაც ისარგებლეს იმავე ფასს 1-ის შეღავათით.

მოთხოვნა, რომ საწარმოებმა ბასს 41-ის მიხედვით რეალური ღირებულების შეფასებისას ამოიღონ დაბეგვრისთვის განსაზღვრული ფულადი ნაკადები, გაუქმებულია. ეს შესწორება მიზნად ისახავს დაბეგვრის შემდგომ საფუძველზე ფულადი ნაკადების დისკონტირების სტანდარტში არსებულ მოთხოვნასთან შესაბამისობაში ყოფნას. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ წლიური პერიოდებისთვის). შესწორებები მოიცავს მთელ რიგ განმარტებებს ფასს 17-ის დანერგვის გასაადვილებლად , ამარტივებს სტანდარტისა და გადასვლის მოთხოვნების ნაწილს. შესწორებები ეხება ფასს 17-ის 8 სფეროს და ისინი არაა გამიზნული სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების შესაცვლელად. განხორციელებულია მომდევნო შესწორებები ფასს 17-სვის:

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

- *ძალაში შესვლის თარიღი:* ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (ცვლილებების ჩათვლით) გადავადებულია ორი წლით, იმ ყოველწლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ; და ფასს 4-ში ფასს 9-ის გამოყენების დროებითი გათავისუფლების ვადის გასვლის თარიღი ასევე გადავადებულია წლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.
- *დაზღვევის შეძენისთვის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ანაზღაურება:* საწარმოს მოეთხოვება შესყიდვის ხარჯების ნაწილის გამოყოფა ხელშეკრულების მოსალოდნელ განახლებასთან დაკავშირებით და ამ ხარჯების, როგორც აქტივის, აღიარება, სანამ საწარმო არ აღიარებს ხელშეკრულების განახლებას. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის ამოღებადობა ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში წარადგინონ აქტივის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია.
- *სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა, რომელიც მიკუთვნებადია საინვესტიციო მომსახურებებზე:* დაფარვის ერთეულები უნდა განისაზღვროს, როგორც სარგებლის რაოდენობის გათვალისწინებით, ასევე დაზღვევის დაფარვისა და საინვესტიციო მომსახურების სავარაუდო პერიოდის გათვალისწინებით, ცვალებადი საზღაურის მიდგომის საფუძველზე სხვა ხელშეკრულებებისა და „ინვესტიციის დაბრუნების მომსახურების" ზოგადი მოდელის მიხედვით. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა შედიოდეს სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში იქამდე, სანამ საწარმო ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც პოლისის მფლობელისთვის, დაზღვევის დაფარვიდან გამომდინარე, გაზრდის მის სარგებელს.
- *ხელახალი დაზღვევის გაფორმებული ხელშეკრულებები - ზარალის ანაზღაურება:* როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების პირველად აღიარების ან ჯგუფისთვის წამგებიანი საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების დამატების შედეგად, საწარმომ უნდა დააკორექტიროს დაკავშირებული ხელშეკრულებების ჯგუფის მომსახურების მარჟა. ანაზღაურებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებისა და აღიარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებების შემოსულობა. ჩატარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული ზარალის ოდენობა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის და სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლის გამრავლებით, რომელთა ანაზღაურებას საწარმო მოელის ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან. ეს მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე ზარალის აღიარებამდე ან ამავე დროს.

სხვა შესწორებები: სხვა შესწორებები მოიცავს ზოგიერთი საკრედიტო ბარათის (ან მსგავსის) ხელშეკრულებების და ზოგიერთი სასესხო ხელშეკრულებების სფეროს გამორიცხვას; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივებისა და ვალდებულებების წარდგენას ჯგუფების ნაცვლად პორტფელში; ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. რისკის შემცირების შესაძლებლობის გამოყენებას იმ ფინანსური რისკების შერბილებისას, რომელიც იყენებს არსებულ ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებს და არაწარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით; ბუღალტრული პოლიტიკის არჩევანს წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს 17-ის გამოყენებისას გაკეთებული შეფასებების შესაცვლელად; საშემოსავლო გადასახადის გადახდებისა და ქვითრების ჩართვას, რომლებიც დაზღვევის მფლობელს კონკრეტულად ეკისრება სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებით, დაკვეთის შესრულების ფულად ნაკადებში, შერჩეული გარდამავალი შეღავათები და სხვა მცირე შესწორებები. ჯგუფი არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის (IBOR) რეფორმა – შესწორებების მეორე ფაზა ფასს 9, ასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16 -სთვის (გამოცემულია 2020 წლის აგვისტოში და ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). მეორე ფაზის შესწორებები იმ საკითხებს ეხება, რომელიც რეფორმების გატარების შედეგად წარმოიქმნება, მათ შორის ერთი ათვლის წერტილის ალტერნატიული ვარიანტით შეცვლა. შესწორებები ფარავს შემდეგ სფეროებს:

- *IBOR– ის რეფორმის შედეგად სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძვლის ცვლილების აღრიცხვა:* ინსტრუმენტებისთვის, რომლებზეც ვრცელდება ამორტიზებული ღირებულების შეფასება, შესწორებები მოითხოვს , რომ საწარმოებმა, გაითვალისწინონ ცვლილების საფუძველი, როგორც პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღრიცხონ IBOR- ის რეფორმის შედეგად მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განახლებით, ფასს 9-ის B5.4.5 პუნქტის სახელმძღვანელო მითითების გამოყენებით. შედეგად, არ აღიარდება მყისიერი შემოსულობა ან ზარალი. ეს პრაქტიკული მიზანშეწონილობა მხოლოდ ისეთი ცვლილებისთვის და იმ დონემდე გამოიყენება, სანამ ის აუცილებელია, როგორც IBOR-ის რეფორმის შემდგომი შედეგი, ხოლო ახალი საფუძველი, ეკონომიკურად უტოლდება მანამდე არსებულ საფუძველს. მზღვეველებს, რომლებიც იყენებენ ფასს-9-დან დროებით გათავისუფლებას, ასევე მოეთხოვებათ იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება. შესწორებები განხორციელდა ფასს 16-შიც, რათა IBOR-ის რეფორმის შედეგად სამომავლო საიჯარო გადახდების განსაზღვრის საფუძველის ცვლილების გამომწვევი იჯარის მოდიფიცირების აღრიცხვისას, იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება მოეთხოვოთ მოიჯარეებსაც.
- ჰეჯირების ურთიერთობებში რისკის კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც არასახელშეკრულებო, 1-ლი ფაზის საშეღავათო პერიოდის დასრულების თარიღი: მე -2 ფაზის შესწორებების თანახმად, საწარმომ, პერსპექტიულ საფუძველზე, უნდა შეაჩეროს 1-ლი ეტაპის საშეღავათო პერიოდი რისკების იმ კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც არასახელშეკრულებო, ან არასახელშეკრულებო რისკის კომპონენტებში შეტანილი ცვლილებების განხორციელების, ან ჰეჯირების ურთიერთობის შეწყვეტისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება . რისკის კომპონენტებისთვის შესწორებების პირველი ფაზის დასრულების თარიღი არ არის მითითებული.
- *დამატებითი დროებითი გამონაკლისები კონკრეტული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებისგან:* მე -2 ფაზა გვთავაზობს ჰეჯირების აღრიცხვის სპეციფიკური მოთხოვნების გამოყენებისგან დამატებით დროებით შეღავათს ბასს-ს 39 და ფასს 9-ის ჰეჯირების ურთიერთობებისგან, რომლებზეც პირდაპირ გავლენას ახდენს IBOR- ის რეფორმა.

IBOR-ის რეფორმასთან დაკავშირებული ფასს 7-ის დამატებითი განმარტებები: შესწორებები მოითხოვს შემდეგ განმარტებებს: (i) როგორ მართავს საწარმო ალტერნატიული ათვლის წერტილის განაკვეთებზე გადასვლას, ამის პროგრესი და გადასვლისგან გამოწვეული რისკები (ii) იმ წარმოებულების და არაწარმოებეულების შესახებ რაოდენობრივი ინფორმაცი, რომლებსაც გადასვლის პროცესი ჯერ წინ აქვთ, და რომელიც გადანაწილებულია მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის მიხედვით, და (iii) რისკების მართვის სტრატეგიის ნებისმიერი ცვლილების IBOR-ის რეფორმის შედეგად აღწერა. ჯგუფი არ მოელის, რომ ეს ცვლილებები გავლენას მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვაონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან.

ჯგუფი არ მოელის, რომ ეს ცვლილებები გავლენას მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

Covid-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობები– შესწორებები ფასს 16-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 28 მაისს და ძალაშია 2020 წლის 1 ივნისს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). 2020 წლის მაისში გამოიცა შესწორება ფასს 16-სთვის, რომელმაც მოიჯარეებს მისცა იმის შეფასებისგან არასავალდებულო პრაქტიკული მიზანშეწონილობით სარგებლობის საშუალება, COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა, რომელიც აისახა იმ იჯარის გადასახდელების შემცირებაში, რომელიც უნდა შესრულებულიყო 2021 წლის 30 ივნისს ან მის შემდგომ, წარმოადგენს თუ არა იჯარის მოდიფიკაციას. 2021 წლის 31 მარტს გამოქვეყნებულმა შესწორებამ პრაქტიკული მიზანშეწონილობის ვადა 2021 წლის 30 ივნისიდან 2022 წლის 30 ივნისამდე გაახანგრძლივა. ჯგუფი არ მოელის, რომ ამ შესწორებას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე რაიმე გავლენა ექნება.

გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან- შესწორებები ბასს 12-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 12-ში შეტანილი ცვლილებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს გადავადებული გადასახადის აღრიცხვა ისეთ ოპერაციებზე, როგორიცაა საიჯარო და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები. განსაზღვრულ გარემოებებში, საწარმოები თავისუფლდებიან გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ისინი პირველად აღიარებენ აქტივებს ან ვალდებულებებს. მანამდე არსებობდა გაურკვევლობა იმის თაობაზე, ეხებოდა თუ არა შეღავათი ისეთ გარიგებებს, როგორიცაა საიჯარო მოვალეობები და ექსპლუატაციის გაუქმების ვალდებულებები - ოპერაციები, რომელთათვისაც აღიარებულია როგორც აქტივი, ისე ვალდებულება. ცვლილებების თანახმად, შეღავათი არ მოქმედებს და საწარმოები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ამ ოპერაციებზე. ცვლილებების თანახმად, კომპანიები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ოპერაციებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წარმოშობს დასაბეგრი და გამოქვითვადი დროებითი სხვაობების თანაბარ რაოდენობას. ჯგუფი არ მოელის, რომ ეს შესწორებები რაიმე გავლენას მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ქვემოთ მოცემულია ჯგუფსა და მასთან დაკავშირებულ მხარეებს შორის (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები) ოპერაციების დეტალები:

ათასი ლარი	**2020**	**2019**
საიჯარო დანახარჯები	–	63
დაზღვევის დანახარჯები	50	55
კომუნალური ხარჯები	63	47
სხვა საოპერაციო დანახარჯი	3	2
სულ	**116**	**167**

ნაშტები დაკავშირებულ მხარეებთან (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები) შემდეგია:

ათასი ლარი	**2020 წლის 31 დეკემბერი**	**2019 წლის 31 დეკემბერი**
გადახდილი ავანსები	22	203
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	269	203
სულ	**291**	**406**

გადახდილი ავანსები და დაკავშირებული მხარეების მიმართ არსებული ვალდებულებები დაკავშირებულია სკოლის სპორტული დარბაზის მშენებლობასთან და დაზღვევასთან.

2019 წლის განმავლობაში ჯგუფის აქციონერებმა შეიტანეს წვლილი საწესდებო კაპიტალში 3,223 ათასი ლარის ოდენობით (შენიშვნა 16). 2020 წლის განმავლობაში შენატანი არ გაკეთებულა.

მთავარი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება. 2020 და 2019 წლებში ხელმძღვანელ პირებთან დაკავშირებული თანხები, რომლებიც აღიარებულია, როგორც ხარჯი, შემდეგია:

ათასი ლარი	**2020**	**2019**
მთავარი ხელმძღვანელი პირების ხელფასი	2,278	1,848
ხელშეკრულების შეწყვეტა	-	449
სულ	**2,278**	**2,297**

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთავარი ხელმძღვანელი პერსონალის მიმართ დარიცხული ვალდებულებები შეადგენდა 318 ათას და 105 ათას ლარს.

8. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან და შემოსავალი

ათასი ლარი	**2020**	**2019**
სწავლება	24,806	10,822
ზაფხულის/ზამთრის ბანაკი	80	34
სხვა ამონაგები *	275	294
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	**25,161**	**11,150**
სახელმწიფო თანხები საზაფხულო/ზამთრის ბანაკისთვის	-	89
შემოსავალი სახელმწიფო ვაუჩერიდან	633	231
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან და შემოსავალი	**25,794**	**11,470**

(*) სხვა ამონაგები ძირითადად მოიცავს ამონაგებს გაყიდული საქონელიდან და კლასგარეშე კლუბებიდან მიღებულ ამონაგებს, შიდა და გარე აქტივობებს.

შემოსავლების აღიარების დრო (შემოსავლების თითოეული ნაკადისთვის) შემდეგია:

ათასი ლარი	შენიშვნა	**2020**	**2019**
დროის გარკვეულ მომენტში		316	320
დროის განმავლობაში		25,478	11,150
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან		**25,794**	**11,470**

ცხრილში ქვემოთ, მოცემულია მიმდინარე საანგარიშო პერიოდში აღიარებული ამონაგები ოდენობები, რომლებიც საანგარიშო წლის დასაწყისში შეტანილ იქნა სახელშეკრულებო ვალდებულებებსა და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში:

სწავლებისთვის მისაღები მოთხოვნები და სახელშეკრულებო ვალდებულებები

ჯგუფმა ამონაგებთან დაკავშირებული შემდეგი სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები აღიარა:

ათასი ლარი	**2020 წლის 31 დეკემბერი**	**2019 წლის 31 დეკემბერი**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (ა)	778	409
სახელშეკრულებო ვალდებულებები (ბ)	12,713	13,839

a) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღიარდება მაშინ, როდესაც ანაზღაურების მიღების უფლება უპირობოა. იხილეთ შენიშვნა 13.

b) სახელშეკრულებო ვალდებულებების მოძრაობა 2020 და 2019 წლების განმავლობაში შემდეგი იყო:

8 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან და შემოსავალი (გაგრძელება)

ათასი ლარი	**2020**	**2019**
1 იანვარს	**13,295**	**-**
დამატებები საწარმოთა გაერთიანების მეშვეობით	-	13,717
აღიარებულია, როგორც ამონაგები წლის განმავლობაში	(23,645)	(10,746)
წლის განმავლობაში გადავადებული	22,631	10,324
31 დეკემბერს	**12,281**	**13,295**

მოსწავლეთაგან მიღებული სწავლის გადასახადი, როგორც წესი გადაიხდება ავანსად, სასკოლო სემესტრის დასაწყისში და თავდაპირველად აღირიცხება, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულება. ამონაგები აღიარდება პროპორციულად, შესაბამისი სასკოლო სემესტრის პერიოდის განმავლობაში, აკადემიურ დღეებზე დაყრდნობით. მოსწავლეებისგან მიღებული, მაგრამ გამოუმუშავებელი სწავლების საფასურის ნაწილი აღირიცხება, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულება და აისახება მოკლევადიან ვალდებულებებში, რადგან ასეთი თანხები წარმოადგენს იმ ამონაგებს, რომელსაც, ჯგუფი მოელის, რომ მიაკუთვნებს მოგება-ზარალს, მისი სწავლების ვალდებულებების შესრულების დაკმაყოფილებისას, ერთი წლის განმავლობაში.

ამონაგებში 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღიარებული საკონტრაქტო ვალდებულებები შემდეგია:

ათასი ლარი	**2020 წლის 31 დეკემბერი**	**2019 წლის 31 დეკემბერი**
ერთი წლის განმავლობაში	12,220	12,734
ერთი წლის შემდეგ მაგრამ არაუმეტეს ორი წლისა	61	514
ორი წლის შემდეგ მაგრამ არაუმეტეს სამი წლისა	-	47

საკონტრაქტო ვალდებულება აქტივების შეძენიდან. 2011 წლის 23 ივნისს შპს თბილისის მწვანე სკოლის დირექტორებმა კახა დავითურმა და ბაკურ სულაკაურმა საქართველოს მთავრობისგან შეიძინეს სკოლის არსებული მიწა და შენობა. 2012 წლის 28 სექტემბრის სასკოლო შესყიდვის ხელშეკრულების შესწორება მოიცავს სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან ახალი 1 -ელ კლასელების ჩარიცხვის პასუხისმგებლობას მომდევნო 8 წლის განმავლობაში და სკოლის დამთავრებამდე უფასო საგანმანათლებლო მომსახურების გაწევას. ანარიცხის ოდენობაა 432 ათასი და 544 ათასი ლარი, შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის მდგომარეობით. კომპანია აფასებს საშუალო ღირებულებას ყოველ მოსწავლეზე უფასო საგანმანათლებლო მომსახურებისთვის და აღიარებს შესაბამის ანარიცხს. წლის განმავლობაში აქტივების შეძენისას სახელშეკრულებო ვალდებულების შემცირება აღიარებულია ამონაგებში (2020: 191 ათასი ლარი და 2019: 87 ათასი ლარი). შესაბამისი ფინანსური ხარჯი შეადგენდა 79 ათას და 39 ათას ლარს, შესაბამისად, 2020 და 2019 წლების ფინანსურ წლებში. 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აქტივის შეძენისას საკონტრაქტო ვალდებულების ნაწილმა შეადგინა 93 ათასი ლარი და 111 ათასი ლარი, ხოლო გრძელვადიანმა ნაწილმა 339 ათასი და 433 ათასი ლარი შეადგინა.

9. თანამშრომელთა სარგებლის ხარჯები

2020 წლის 31 დეკემბერსა და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში ხელფასები და თანამშრომელთა სარგებელი შემდეგი იყო:

ათასი ლარი	**2020**	**2019**
ხელფასები	(12,286)	(5,308)
თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(1,455)	(460)
სულ თანამშრომელთა სარგებლის ხარჯი	**(13,741)**	**(5,768)**

10. სხვა ზარალი

ათასი ლარი	**2020**	**2019**
კომუნიკაცია	(55)	(31)
პერსონალის ტრენინგი და დაქირავება	(51)	(7)
დაზღვევა	(48)	(57)
უსაფრთხოება	(29)	(11)
დასუფთავება	(27)	(20)
კლასგარეშე აქტივობები	(19)	(26)
რეალიზებული საქონლის ღირებულება	(19)	(23)
მარკეტინგი	(18)	(24)
მოგზაურობის ხარჯები	(17)	(28)
საბანკო მომსახურება	(16)	(15)
სხვა	(374)	(244)
მოგება-ზარალში აღიარებული სხვა ზარალი	**(673)**	**(486)**

11. ძირითადი საშუალებები

ათასი ლარი	მიწა და შენობა-ნაგებობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	ავეჯი და სხვა უძრავი ნივთები	ავტომობილები	კომპიუტერები და საოფისე აღჭურვილობა	ბიბლიოთეკის წიგნები	აქტივების გამოყენების უფლება	სხვა აქტივები	სულ
ღირებულება									
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**–**	**–**	**–**	**–**	**–**	**–**	**–**	**–**	**–**
დამატებები საწარმოების გაერთიანების მეშვეობით (შენიშვნა 0)	29,615	205	3,848	3,920	1,412	642	720	630	40,992
დამატებები	17,569	2,051	563	15	226	24	–	26	20,474
ტრანსფერები	1,244	(1,244)	–	–	–	–		–	**–**
გასვლები	–	–	–	(30)	–	–	–	–	(30)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**48,428**	**1,012**	**4,411**	**3,905**	**1,638**	**666**	**720**	**656**	**61,436**
დამატებები	331	4,318	222	25	186	52	–	47	5,181
ტრანსფერები	13	(13)	–	–	–	–	–	–	–
გასვლები	–	–	–	(33)	–	–		(5)	(38)
ჩამოწერები	–	–	–	–	–	–	–	(70)	(70)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**48,772**	**5,317**	**4,633**	**3,897**	**1,824**	**718**	**720**	**628**	**66,509**
დაგროვილი ცვეთა									
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	–	–	–	–	–	–	–	–	–
დარიცხვა საწარმოთა გაერთიანების მეშვეობით	1,171	–	1,836	1,815	533	562	20	353	6,290
წლის დარიცხვა	186	–	262	239	107	26	7	45	872
გასვლისას ელიმინირებული	–	–	–	(27)	–	–	–	–	(27)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,357**	**–**	**2,098**	**2,027**	**640**	**588**	**27**	**398**	**7,135**
წლის დარიცხვა	489	–	565	507	270	48	14	100	1,993
გასვლები	–	–	–	(29)	–	–	–	(71)	(100)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,846**	**–**	**2,663**	**2,505**	**910**	**636**	**41**	**427**	**9,028**
წმინდა საბალანსო ღირებულება									
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	–	–	–	–	–	–	–	–	–
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	47,071	1,012	2,313	1,878	998	78	693	258	54,301
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**46,926**	**5,317**	**1,970**	**1,392**	**914**	**82**	**679**	**201**	**57,481**

11 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად ამორტიზებული აქტივები 2,582 ათასი ლარის და 1,455 ათასი ლარის ოდენობით შესაბამისად შეტანილი იყო ძირითად საშუალებებში.

ჯგუფმა დააგირავა მისი ძირითადი საშუალებები, როგორც უზრუნველყოფა ქართული კომერციული ბანკიდან მისი ნასესხები სახსრებისთვის (იხილეთ შენიშვნა 17). ჯგუფს არ აქვს უფლება დააგირაოს ეს აქტივები უზრუნველყოფის სახით პროცენტიანი სესხების ან ნასესხები სახსრებისთვის ან გაყიდოს ისინი სხვა საწარმოზე ბანკის ნებართვის გარეშე.

12. ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსები

ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილ ავანსებში მოძრაობა იყო შემდეგი:

ათასი ლარი	ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსები
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-
დამატებები საწარმოთა გაერთიანების მეშვეობით	732
დამატებები	236
დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების მიღებისას აღიარებაშეწყვეტილი გადახდილი ავანსები	230
სულ გადახდილი ავანსები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**738**
დამატებები	2,052
დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების მიღებისას აღიარებაშეწყვეტილი გადახდილი ავანსები	1,489
სულ გადახდილი ავანსები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,301**

13. გუდვილი

შვილობილი კომპანიების შეძენისას წარმოქმნილ გუდვილში მოძრაობები შემდეგია:

ათასი ლარი	**2020**	**2019**
საბალანსო ღირებულება 1 იანვრის მდგომარეობით	**42,900**	**-**
დამატებები საწარმოთა გაერთიანების მეშვეობით	-	42,900
სხვა	-	-
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით	**42,900**	**42,900**

ათასი ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
წიგნების მთლიანი ღირებულება	42,900	42,900
დაგროვილი გაუფასურების ზარალი	-	-
საბალანსო ღირებულება	**42,900**	**42,900**

13 გუდვილი (გაგრძელება)

თითოეული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება განსაზღვრულია გამოყენების ღირებულების გამოთვლების საფუძველზე. ეს გამოთვლები ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებული ფინანსური ბიუჯეტების საფუძველზე დამყარებულ ფულადი ნაკადების პროგნოზებს იყენებს. ჯგუფმა შემოსავლების მიდგომა გამოიყენა ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდის გამოყენებით. გამოყენების ღირებულების გამოთვლისთვის გამოყენებული დაშვებები, რომლების მიმართაც ანაზღაურებადი ღირებულება ყველაზე მგრძნობიარეა, იყო საპროგნოზო პერიოდის შემდგომი ზრდის ტემპები რვა წლის შემდეგ წლიური 3% (2019-ში 3%) და მოგების გადასახადით დაბეგვრის შემდეგ არსებული WACC-კაპიტალის შეწონილი საშუალო ღირებულება-წლიური 12.5% (2019-ში 14.6%)

ჯგუფი გაყიდვების მოცულობას პროგნოზირებს მოსწავლეთა რეალური რაოდენობისა და სკოლების არსებული შესაძლებლობების საფუძველზე, ბოლო სამი წლის შემოსავლების საშუალო რაოდენობის გათვალისწინებით. გაყიდვების ფასები ემყარება მოსწავლეებთან გაფორმებულ ხელშეკრულებას. საშუალო პროგნოზირებული ფასები გამომდინარეობს ფაქტობრივი საფასურიდან , რასაც ემატება საფასური ახალი მოსწავლეებისთვის.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ნებისმიერი სავარაუდო გონივრული შესაძლო ცვლილება იმ ძირითად დაშვებებში, რომელზედაც დაფუძნებულია ანაზღაურებადი თანხა, არ გამოიწვევს აგრეგირებული საბალანსო ღირებულების გადაჭარბებას ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აგრეგირებულ ანაზღაურებად ოდენობაზე.

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სვაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაშთები იყო შემდეგი:

ათასი ლარი	**2020 წლის 31 დეკემბერი**	**2019 წლის 31 დეკემბერი**
მოთხოვნები სწავლებისთვის	1,101	573
სხვა მოთხოვნები (*)	65	217
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	**1,166**	**790**
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(565)	(258)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**601**	**532**

(*) სხვა მოთხოვნების მსხვილი ნაწილი, 2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისაღებია თანამშრომლებისგან, რომლებიც შემდგომში, 2021 და 2020 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში, ამოღებულ იქნა.

მოძრაობა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხებში (შეფასებულია არსებობის მანძილის საფუძველზე გამარტივებული მიდგომით) 2020 და 2019 წლებისთვის შემდეგია:

14 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

ათასი ლარი	**2020**	**2019**
ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის 1 იანვრის მდგომარეობით	**258**	**–**
დამატებები საწარმოთა გაერთიანების მეშვეობით	–	(159)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის ანარიცხის დარიცხვა	(307)	(99)
ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(565)**	**(258)**

ჯგუფი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისათვის ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას იყენებს, რომელიც გულისხმობს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად ინდივიდუალური შეფასების მიდგომაა გამოყენებული.

გამარტივებული მიდგომის გამოყენების დეტალებისთვის, იხილეთ შენიშვნა 23.

სწავლების სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ხანდაზმულობის ანალიზი შემდეგია:

2020 წლის 31 დეკემბერი	**არა-ვადაგადაცილებული**	**30-90 დღე**	**90-180 დღე**	**181-365 დღე**	**სულ**
მთლიანი საბალანსო ღირებულება	166	316	281	403	**1,166**
მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი	11%	20%	100%	50%	
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	18	63	281	203	**565**

2019 წლის 31 დეკემბერი	**არა-ვადაგადაცილებული**	**30-90 დღე**	**90-180 დღე**	**181-365 დღე**	**სულ**
მთლიანი საბალანსო ღირებულება	291	228	271	–	**790**
მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი	4%	27%	68%	0%	**–**
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	12	62	184	–	**258**

2019 წლის 31 დეკემბერი	**არა-ვადაგადაცილებული**	**30-90 დღე**	**90-180 დღე**	**181-365 დღე**	**სულ**
მთლიანი საბალანსო ღირებულება	–	–	–	–	**–**
მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი	–	–	–	–	**–**
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	–	–	–	–	**–**

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არ შეიცავს პროცენტს.

15. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნაშთები შემდეგი იყო:

ათასი ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ხელზე არსებული ფულადი სახსრები ადგილობრივ ვალუტაში	5	108
ხელზე არსებული ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში	9	8
მოთხოვნამდე საბანკო ნაშთების ვალდებულებები ადგილობრივ ვალუტაში	1,835	2,278
მოთხოვნამდე საბანკო ნაშთების ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში	4,458	121
ვადიანი დეპოზიტები საკრედიტო ინსტიტუტებთან	92	2,618
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**6,399**	**5,133**

მიმდინარე ანგარიშებს ერიცხებათ ყოველწლიური პროცენტი ლარში 8%-8.5% -ის ოდენობით და დოლარში 1.5 %-ის ოდენობით 2020 და 2019 წლების განმავლობაში. ბანკებში განთავსებულ თანხებზე პროცენტმა სულ შეადგინა 191 ათასი და 97 ათასი ლარი 2020 და 2019 წლების განმავლობაში. ჯგუფის ფულადი სახსრები ბანკში განთავსებული იყო ბანკში, რომელსაც Fitch Ratings-ის მიხედვით BB- რეიტინგი აქვს 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

16. საწესდებო კაპიტალი და არამაკონტროლებელი წილი

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალმა შეადგინა 56,882 ათასი და 56,785 ათასი, შესაბამისად.

2020 წლის განმავლობაში ფულადი სახსრების შენატანმა საწესდებო კაპიტალში შეადგინა 97 ათასი ლარი, ხოლო 2019 წლის განმავლობაში ჯგუფის აქციონერებმა 56,785 ათასი ლარი შეიტანეს ჯგუფის საწესდებო კაპიტალში, აქედან 314 ათასი ლარი ნაღდი ანგარიშსწორებით, 14,155 ათასი ლარი მიწის ნაკვეთების სახით და 42,316 ათასი ლარი კომპანიის შეძენის სახით (შენიშვნა 3).

2020 და 2019 წლების განმავლობაში ჯგუფს არ გაუნაწილებია რაიმე დივიდენდი.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი შეიცავს ინფორმაციას თითოეული შვილობილი კომპანიის შესახებ, რომელსაც გააჩნია არამაკონტროლებელი ინტერესი, რაც ჯგუფისათვის არსებითია:

ათასი ლარი	საქმიანობის ადგილი (და დაარსების ქვეყანა, თუ ის განსხვავებულია)	არამაკონტროლებელი წილის პროპორცია	არამაკონტროლებელი წილის მიერ ფლობილი ხმის უფლებების პროპორცია	მოგება ან ზარალი, რომელიც მიკუთვნება დია არამაკონტროლებელი წილისადმი	არამაკონტროლებელი წილის მიერ შვილობილ საწარმოში განხორციელებული შენატანი	არამაკონტროლებელი წილისთვის გადახდილი დივიდენდები წლის განმავლობაში	შვილობილ კომპანიაში დაგროვილი არამაკონტროლებელი წილი
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი							
BGA და BIST	საქართველო	30%	30%	2,012	1,580	-	3,592
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი							
BGA და BIST	საქართველო	30%	30%	1,307	(37)	-	1,270

	31 დეკემბრის მდგომარეობით				31 დეკემბერს დასრულებული წელი			
ათასი ლარი	მოკლევადიანი აქტივები	გრძელვადიანი აქტივები	მოკლევადიანი ვალდებულებები	გრძელვადიანი ვალდებულებები	ამონაგები	მოგება/ (ზარალი)	სულ სრული შემოსავალი	ფულადი ნაკადები
2020								
BGA და BIST	5,082	27,767	17,021	9,958	17,348	4,229	4,229	901
2019								
BGA და BIST	4,248	23,976	15,317	11,264	7,361	1,576	1,576	(527)

17. ნასესხები სახსრები

2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნასესხები სახსრების ნაშთები იყო შემდეგი:

ათასი ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
მოკლევადიანი	3,871	2,819
გრძელვადიანი	21,076	16,990
სულ	**24,947**	**19,809**

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნასესხებ სახსრებში შედის ოთხო და სამი სესხი საქართველოს ბანკისგან, რომლებიც დენომინირებულია აშშ დოლარში შეწონილი საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთით 8.0% და 8,4%, შესაბამისად. სესხები უზრუნველყოფილია ჯგუფის ყველა არსებული ძირითადი საშუალებებით (იხ. შენიშვნა 10).

18. სავაჭრო და სხვა ვალდებულება

ათასი ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ვალდებულებები შეძენილი ძირითადი საშუალებებისთვის	1,804	3,646
დარიცხული ვალდებულებები და სხვა კრედიტორები	514	598
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულება	**2,318**	**4,244**

19. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება

ათასი ლარი	იჯარის ვალდებულება	ნასესხები სახსრები	სულ
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**–**	**–**	**–**
დამატებები საწარმოთა გაერთიანების მეშვეობით	782	20,839	**21,621**
დარიცხული საფინანსო ხარჯი	45	459	**504**
გადახდილი პროცენტი	(45)	(382)	**(427)**
ნეტომდე დაყვანილი პროცენტი	–	(67)	**(67)**
პროცენტის კაპიტალიზება (b)	–	81	**81**
კაპიტალიზებული პროცენტის დაფარვა (b)	–	(73)	**(73)**
ნასესხები სახსრების დაფარვა	(121)	(918)	**(1,039)**
ნეტომდე დაყვანილი ძირი თანხა		(151)	**(151)**
ნასესხები სახსრებიდან მიღებული შემოსულობები	–	295	**295**
სავალუტო ზარალი	59	(274)	**(215)**
2019 წლის 31 დეკემბერი	**720**	**19,809**	**20,529**
დარიცხული საფინანსო ხარჯი	108	1,297	**1,405**
გადახდილი პროცენტი	(70)	(1,285)	**(1,355)**
პროცენტის კაპიტალიზება (b)	–	83	**83**
კაპიტალიზებული პროცენტის დაფარვა (b)	–	(83)	**(83)**
ნასესხები სახსრების დაფარვა	–	(1,521)	**(1,521)**
ნეტომდე დაყვანილი ძირი თანხა		(116)	**(116)**
ნასესხები სახსრებიდან მიღებული შემოსულობები	–	2,753	**2, 753**
სავალუტო ზარალი	–	4,089	**4,089**
სესხის მოდიფიცირების გამო მიღებული შემოსულობა	–	(66)	**(66)**
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**758**	**24,960**	**25,718**

(a) ჯგუფს ჰქონდა საიჯარო ხელშეკრულება სკოლის ავტობუსებზე 3 წლით, 2016 წლის ნოემბრიდან 2019 წლის ნოემბრამდე. ჯგუფს ასევე აქვს იჯარის ხელშეკრულება დამატებით შენობებსა და გარე სივრცეებზე, რომლებიც გამოიყენება მის საქმიანობაში 50 წლიანი საიჯარო ვადით.

(b) 2020 წლის განმავლობაში საპროცენტო ხარჯები 81 ათასი ლარის ოდენობით (2019 წელს 26 ათასი ლარი) კაპიტალიზირდა როგორც მშენებარე ძირითადი საშუალების ნაწილი. კაპიტალიზაციის მაჩვენებლები იყო 7.4% და 7.9%, შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბერს და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის.

20. დარიცხვები და სხვა ვალდებულებები

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარიცხვები და სხვა ვალდებულებები მოიცავს მოსწავლეთა საგარანტიო დეპოზიტებს, საგადასახადო ვალდებულებებს და დასაქმებულთა სარგებელს.

ათასი ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
არამაკონტროლებელი წილის ფუთ-ოფციონთან დაკავშირებული ვალდებულება (a)	7,271	4,358
მოსწავლეთა დეპოზიტები (b)	1,707	1,445
დარიცხვები დასაქმებულთა სარგებლისთვის	1,051	810
საგადასახადო ვალდებულებები	1,839	2,461
შპს თბილისის მწვანე სკოლის შეძენისას დარიცხული პირობითი კომპენსაციის ვალდებულება	736	656
სულ დარიცხვები და ვალდებულებები	**12,604**	**9,730**

(a) 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფმა აღიარა ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია შპს თბილისის მწვანე სკოლის და შპს მწვანე სკოლის არამაკონტროლებელი წილების ფუთ- ოფციონთან, რაც მათ აძლევს უფლებას ჯგუფს მიჰყიდონ აქციები. ოფციონის რეალიზაციის ფასი გამოითვლება წინასწარ განსაზღვრული EBITDA კოეფიციენტის და წმინდა ვალის გამოყენებით. ოფციონების გამოყენება შესაძლებელია 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 1 ივლისამდე. ფულადი სახსრების გადინების დისკონტირებული ღირებულება, რომელიც აღიარებულია როგორც ვალდებულება, შეადგენს 2,261 ათას ლარს (2019: 2,003 ათასი ლარი).

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა აღიარა ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის არამაკონტროლებელი წილების ფუთ- ოფციონთან, რაც მათ აძლევს უფლებას ჯგუფს მიჰყიდონ აქციები. ოფციონის რეალიზაციის ფასი გამოითვლება წინასწარ განსაზღვრული EBITDA კოეფიციენტის და წმინდა ვალის გამოყენებით. ოფციონების გამოყენება შესაძლებელია 2024 წლის 1 ივლისიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე. ფულადი სახსრების გადინების დისკონტირებული ღირებულება, რომელიც აღიარებულია როგორც ვალდებულება, შეადგენს 4,010 ათას ლარს (2019: 2,355 ათასი ლარი).

(b) საგარანტიო დეპოზიტები წარმოადგენს მოსწავლეთა ჩარიცხვისთანავე განხორციელებულ ერთჯერად გადახდებს და ის სრულად ანაზღაურდება, როდესაც მოსწავლე დატოვებს სკოლას. იმ შემთხვევაში, თუ სკოლებს მიადგებათ რაიმე ზიანი, რომელზედაც პასუხისმგებელია მოსწავლე, ზიანის თანხა დაფინანსდება საგარანტიო დეპოზიტის საშუალებით. დამამთავრებელი კლასების მოსწავლეთათვის შესაბამისი სადეპოზიტო თანხა შესულია მოკლევადიან ვალდებულებებში (13 ათასი 2020 წლის 31 დეკემბერს და 4 ათასი 2019 წლის 31 დეკემბერს).

21. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს ქოლ- ოფციონს, რომელიც წარმოადგენს შპს თბილისის მწვანე სკოლის დარჩენილი 20% სააქციო წილის არამაკონტროლებელი წილის შეძენის ოფციონს შპს თბილისის მწვანე სკოლის წინასწარ განსაზღვრულ EBITDA კოეფიციენტის და წმინდა ვალის საფუძველზე. ჯგუფმა ბინომინალური მოდელი გამოიყენა ოფციონის შესაფასებლად. ოფციონის გამოყენება შესაძლებელია 2025 წლის 1 ივლისიდან 2025 წლის 31 დეკემბრამდე. დასაფარი ოფციონის რეალური ღირებულება აღიარებული იქნა როგორც აქტივი 1,225 ათასი ლარის ოდენობით (2019 წელი: 469 ათასი ლარი). იხილეთ შენიშვნა:

ათასი ლარი	მოთხოვნა და ერთ თვეზე ნაკლები	1-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	ხუთ წელზე მეტი	სულ
2020 წლის 31 დეკემბერი						
შეძენილი ქოლ-ოფციონები	-	-	-	1,225	-	**1,225**
სულ პოტენციური ფულადი ნაკადების გადინება						
2019 წლის 31 დეკემბერი						
შეძენილი ქოლ-ოფციონები	-	-	-	469	-	**469**
სულ პოტენციური ფულადი ნაკადების გადინება						

22. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, დამატებითი გადასახადების, ჯარიმებისა და საურავების მიმართ არანაირი ვალდებულება არ შეიძლება იყოს დაკისრებული საგადასახადო ორგანოების მიერ მას შემდეგ, რაც გავა სამი წელი იმ წლის ბოლოდან, როდესაც დარღვევას ადგილი ჰქონდა.

ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ მას ადექვატური უზრუნველყოფა აქვს საგადასახადო ვალდებულებებისთვის, ახალი და ოფიციალური დოკუმენტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებებისთვის. თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები, შესაძლოა იყოს განსხვავებული და გავლენა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებზე, თუკი ორგანოები წამატებით მოიყვანენ მოქმედებაში მათ ინტერპრეტაციებს, შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს.

დაზღვევა. საქართველოში სადაზღვევო ინდუსტრია ვითარდება და მსოფლიოს სხვა ნაწილებში გავრცელებული სადაზღვევო დაცვის მრავალი ფორმა ჯერ კიდევ არ არის ხელმისაწვდომი. ჯგუფს არ გააჩნია მისი ქონების ან საქმიანობის შეჩერების სრული სადაზღვევო დაფარვა. სანამ ჯგუფი მიიღებს სათანადო სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი, რომ გარკვეული აქტივების დაკარგვამ ან განადგურებამ შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჯგუფის საქმიანობაზე და ფინანსურ მდგომარეობაზე.

22 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები (გაგრძელება)

საიჯარო გადახდასთან დაკავშირებული სასამართლო დავა. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს სასამართლო დავა აქვს იჯარის გადახდასთან დაკავშირებით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ჯგუფმა გადარიცხა 400 ათასი ლარი გარანტიის სახით, რომელიც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია შეზღუდული ფულადი სახსრების სახით.

საქმე დაიხურა 2020 წელს და ჯგუფს დაუბრუნდა 400 ათასი ლარი, ხოლო ჯგუფმა მოსარჩელეს გადასცა 322 ათასი ლარი.

საგადასახადო ინსპექციის შედეგები. 2016 და 2017 წლებში საქართველოს შემოსავლების სამსახურმა გამოსცა 2012-2016 წლების საგადასახადო შემოწმების აქტი. ამ აქტის თანახმად, საქართველოს შემოსავლების სამსახურმა მიიღო ბრიტანულ ქართული აკადემიის გადასახადები და ჯარიმები 1,816 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც მოიცავს საგადასახადო ძირ თანხას 885 ათასი ლარისა და საგადასახადო ჯარიმას 930 ათასი ლარის ოდენობით. ჯგუფმა გაასაჩივრა საქართველოს შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილება საქართველოს შემოსავლების სამსახურის დავების საბჭოში. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების დღის მდგომარეობით, საქმე გადაეცა სასამართლოს და ამ დონეზე გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის. ჯგუფმა სასამართლო დავებისთვის შექმნა ანარიცხები ფასს -ის შესაბამისად.

23. ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს პროცენტის შემცველ სესხს და ნასესხებს სახსრებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ვალდებულებების მთავარი მიზანია დააფინანსო ჯგუფის საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობები. ჯგუფის ძირითადი ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს, რომლებიც წარმოიქმნება პირდაპირ მისი ოპერაციებიდან.

ჯგუფი ექვემდებარება საკრედიტო რისკს, ლიკვიდურობის რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სავალუტო რისკს.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა ადგენს ზღვრებს რისკისადმი დაქვემდებარების დონის მიხედვით თითოეულ ვალუტაზე და სულ, ორივესთვის, ერთი ღამის ფარგლებში და ერთი დღის ფარგლებში პოზიციებისთვის, რომლებიც ყოველდღიურ მონიტორინგს ექვემდებარება.

23 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჯამებს ჯგუფის უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის რისკებისადმი დაქვემდებარებას საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ათასი ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი აშშ დოლარი აშშ დოლარი 1 = 3.2766 ₾	2020 წლის 31 დეკემბერი ევრო ევრო 1 = 4.0233 ₾	2020 წლის 31 დეკემბერი გირვანქა სტერლინგი გირვანქა სტერლინგი 1 = 4,4811 ₾	2019 წლის 31 დეკემბერი აშშ დოლარი აშშ დოლარი 1 = 2.8677 ₾	2019 წლის 31 დეკემბერი ევრო ევრო 1 = 3.2095 ₾	2019 წლის 31 დეკემბერი გირვანქა სტერლინგი გირვანქა სტერლინგი 1 = 3.3955 ₾
ფინანსური აქტივები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4,445	32	–	164	82	6
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	350	–	341	291	–	131
სულ ფინანსური აქტივები	**4,795**	**32**	**341**	**455**	**82**	**137**
ფინანსური ვალდებულებები						
ნასესხები						
სახსრები	12,257	12,679	–	9,356	10,365	–
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	434	2	109	3,448	4	–
მოსწავლეთა დეპოზიტები	1,707	–	–	1,455	–	–
სულ ფინანსური ვალდებულებები	**14,398**	**12,681**	**109**	**14,259**	**10,369**	**–**
სულ წმინდა პოზიცია	**(9,603)**	**(12,649)**	**232**	**(13,804)**	**(10,287)**	**137**

23 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოყვანილი ანალიზი ითვლის სავალუტო კურსის გონივრულად შესაძლო მოძრაობის გავლენას ქართული ლარზე, ხოლო ყველა სხვა ცვლადი რჩება უცვლელი მოგების ან ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ნეგატიური თანხა ცხრილში, ასახავს მოგების ან ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ან საკუთარ კაპიტალში წმინდა შემცირებას, ხოლო დადებითი თანხა ასახავს წმინდა პოტენციურ ზრდას.

.ათასი ლარი	ცვლილება სავალუტო განაკვეთში %	გამყარება	გაუფასურება
2020 წლის 31 დეკემბერი			
აშშ დოლარი	10.00%	(962)	962
ევრო	10.00%	(1,263)	1,263
გირვანქა სტერლინგი	10.00%	23	(23)
2019 წლის 31 დეკემბერი			
აშშ დოლარი	10.00%	(1,380)	1,380
ევრო	10.00%	(1,029)	1,029
გირვანქა სტერლინგი	10.00%	14	(14)

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება იმის ალბათობით, რომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები გავლენას მოახდენს სამომავლო ფულადი სახსრების მოძრაობაზე ან ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებებზე. თუმცა, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები გავლენას არ ახდენს ჯგუფის ფინანსური აქტივების ან ვალდებულებების რომელიმე კომპონენტზე. პროცენტის შემცველ ყველა სესხს და ნასესხებ სახსრებს და ფულადი სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს აქვთ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთები და, შესაბამისად, ჯგუფი არ ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს ამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გამო.

საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი არის რისკი, როდესაც კონტრაჰენტი, ფინანსური ინსტრუმენტის ან კლიენტის ხელშეკრულების ვალდებულებების მეორე მხარისათვის შეუსრულებლობით, გამოიწვევს ფინანსურ ზარალს. ჯგუფი დაქვემდებარება საკრედიტო რისკს ბანკებში განთავსებული სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისა და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების გამო.

მოთხოვნები. მოთხოვნების ნაშთები მოიცავს სწავლების ამონაგების მოთხოვნებს. ჯგუფის დაქვემდებარებაზე საკრედიტო რისკის მიმართ გავლენას ახდენს ძირითადად თითოეული მომხმარებლის კრედიტუნარიანობა.

ჯგუფი ყველა მოთხოვნის საკრედიტო რისკს მართავს მოვალეებთან რეგულარული კომუნიკაციით. მნიშვნელოვანი შეფერხებების შემთხვევაში, ჯგუფი მომხმარებლისათვის აყალიბებს ინდივიდუალური გადახდების გრაფიკს სწავლის საფასურის მოთხოვნებისთვის.

ფულადი სახსრები მიმდინარე ანგარიშზე და მოკლევადიანი დეპოზიტები. ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს ფულადი სახსრების უმეტესი ნაწილის საქართველოში ცნობილ ბანკებში განთავსებით. ჯგუფის ხელმძღვანელობა მუდმივად აკონტროლებს ბანკების სტატუსს, სადაც დეპოზიტები ინახება, აგრეთვე მსხვილი მომხმარებლების სტატუსს და შესაბამისი მოთხოვნების მონიტორინგი ყოველდღიურად ხორციელდება.

2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკრედიტო რისკისადმი დაქვემდებარებამ სულ შეადგინა 1,020 ათასი ლარი, 6,976 ათასი ლარი და 5,436 ათასი ლარი, შესაბამისად.

23 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება. ჯგუფი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის იყენებს ინდივიდუალური შეფასების მიდგომას, რადგან სავაჭრო მოთხოვნების პორტფელი შედგება შეზღუდული რაოდენობის მომხმარებლებისგან, რომლებსაც არ აქვთ საერთო საკრედიტო რისკების მახასიათებლები.

მოსალოდნელი ზარალის განაკვეთები ეფუძნება გაყიდვების გადახდების პროფილს 2020 წლის 31 დეკემბრამდე ან 2019 წლის 31 დეკემბრამდე 24 თვით ადრე დაწყებული პერიოდების განმავლობაში და შესაბამისი ისტორიული საკრედიტო ზარალის საფუძველზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ პერიოდის განმავლობაში ინდივიდუალური მომხმარებლებისთვის. ისტორიული ზარალის განაკვეთები კორექტირდება, რათა ასახული იყოს მიმდინარე და საპროგნოზო ინფორმაცია, რომელსაც გავლენა აქვს მომხმარებლის უნარზე, მოახდინოს მოთხოვნების ანგარიშსწორება, როგორიცაა ინდივიდუალური მომხმარებლის, მათი საქმიანობის სექტორის სამომავლო პერსპექტივები და საქართველოს ეროვნული ბანკის პუბლიკაციაზე დაფუძნებული მაკროეკონომიკური ფაქტორები.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს შეასრულოს გადახდის ვალდებულებები, როდესაც მათი დაფარვის დრო მოვა, ნორმალური და სტრესული გარემოებების პირობებში. ჯგუფი მართავს ლიკვიდურობის რისკს სათანადო რეზერვების, ბანკის და ნასესხები სახსრების რეზერვების საშუალებების შენარჩუნებით, პროგნოზირების და ფულადი სახსრების რეალური ნაკადების მუდმივი მონიტორინგით და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადების პროფილების შეთანხმებით.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მოკლევადიანმა აქტივებმა შეადგინა 7,578 ათასი ლარი, აქედან 6,399 ათასი ლარი წარმოადგენდა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს. ჯგუფის მოკლევადიანმა აქტივებმა, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადააჭარბა მის მოკლევადიან ვალდებულებებს გადავადებული შემოსავლის გამოკლებით (რომლის ანგარიშსწორებაც არ ხდება ნაღდი ფულით). შესაბამისად, ხელმძღვანელობა მტკიცედ მიიჩნევს, რომ ჯგუფს არ შეექმნება ლიკვიდურობის პრობლემა და არ არსებობს მნიშვნელოვანი რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ახლო მომავალში საქმიანობის გაგრძელებასთან.

შემდეგ ცხრილებში მოცემულია ჯგუფის დარჩენილი სახელშეკრულებო დაფარვის ვადები მისი არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებებისათვის, დაფარვის შეთანხმებული პერიოდებით. ცხრილები შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე, ჯგუფის მიერ გადახდის ყველაზე ადრეული თარიღის საფუძველზე. ცხრილებში შედის როგორც პროცენტის, ისე ძირითადი ფულადი სახსრების მოძრაობა. თუ საპროცენტო ნაკადებს გააჩნიათ მცოცავი სავალუტო კურსი, არადისკონტირებული თანხა იწარმოება საპროცენტო განაკვეთის მრუდიდან, საანგარიშო პერიოდის ბოლოს. სახელშეკრულებო ვადა ემყარება ყველაზე ადრინდელ თარიღს, რომლის დროსაც ჯგუფს შეიძლება მოეთხოვოს გადახდა.

23 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ათასი ლარი	შეწონილი საშუალო, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი %	მოთხოვნამდე	3 თვეზე ნაკლები	3 თვიდან 1 წლამდე	1-5 წელი	5+ წელი	სულ	საბალანსო ღირებულება
2020 წლის 31 დეკემბერი								
ნასესხები სახსრები	7.4%	195	1,059	3,879	17,375	7,522	30,030	24,947
სავაჭრო და სხვა ვალდებულება		42	335	1,941	–	–	2,318	2,328
იჯარის ვალდებულება		38	–	–	–	720	758	758
სულ		**275**	**1,394**	**5,820**	**17,375**	**8,242**	**33,106**	**28,033**
2019 წლის 31 დეკემბერი								
ნასესხები სახსრები	7.7%	156	727	2,702	14,392	7,206	25,183	19,809
სავაჭრო და სხვა ვალდებულება		31	850	270	4,546	–	5,697	4,244
იჯარის ვალდებულება		–	–	–	–	720	720	720
სულ		**187**	**1,577**	**2,972**	**18,938**	**7,926**	**31,600**	**24,773**

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულების შეფასებები მიზნად ისახავს იმ თანხის მიახლოებით შეფასებას, რომელზედაც ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა შესაძლებელია საკითხში კარგად გათვითცნობიერებულ მხარეებს შორის ნებაყოფლობითი, „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით შესრულებული ოპერაციის დროს. თუმცა გაურკვევლობების და სუბიექტური განსჯის გამოყენების გათვალისწინებით, რეალური ღირებულება არ უნდა იქნეს განმარტებული, როგორც რეალიზებადი, აქტივების დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების დაფარვისას.

ჯგუფის ყველა ფინანსური აქტივი (მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები) და ფინანსური ვალდებულებები (ვალდებულებები) არის მოკლევადიანი და, შესაბამისად, საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ რეალური ღირებულებას.

ნასესხები სახსრების საბალანსო ღირებულება და იჯარის ვალდებულება უახლოვდება რეალურ ღირებულებას. ფუთ და ქოლ ოფციონებისთვის იხილეთ შენიშვნები 20 და 21.

24. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას, ჯგუფის მიზანი არის მისი უნარის დაცვა, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისათვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ხარჯი. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან შესწორების მიზნით, ჯგუფს შეუძლია შეცვალოს აქციონერებისათვის გადახდილი დივიდენდების ოდენობა, დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერებს ან გაყიდოს აქტივები სესხის შემცირების მიზნით.
კაპიტალის ოდენობა, რომელიც ჯგუფმა მართა 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იყო 53,554 ათასი ლარი და 55,493 ათასი ლარი, შესაბამისად.

25. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

Covid-19 -ის მოვლენები.. 2020 წლის ნოემბრიდან 2021 წლის თებერვლის შუა რიცხვებამდე საქართველოს განათლების სამინისტრომ აკრძალა დასწრებული სწავლება COVID-19 პანდემიის გამო.. 2021 წლის 15 თებერვალს განახლდა დასწრებული სწავლება და ამჟამად ჯგუფი აგრძელებს ჩვეულებრივ საქმიანობას. იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდვები კიდევ ერთხელ დაწესდება, ჯგუფი გეგმავს დისტანციურად მუშაობას და მოსწავლეთათვის გადასახადების შემცირებას, დისტანციური სწავლების გამო ოპერაციული ხარჯების შემცირების პროპორციულად.

26. ინფორმაცია სეგმენტის შესახებ

მართვის მიზნებისთვის, ჯგუფი ორგანიზებულია შემდეგ ოპერაციულ სეგმენტებად: სკოლები, რომლებიც ფუნქციონირებენ პრემიუმ, საშუალო და ხელმისაწვდომი კერძო განათლების ბაზრებზე და კორპორაციულ ცენტრებში. მმართველი საბჭო წარმოადგენს მთავარ საოპერაციო გადაწყვეტილებების მიმღებს და ის მონიტორინგს უწევს მისი სეგმენტების მუშაობას, რესურსების განაწილებისა და შესრულების შეფასების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების მიზნით. სეგმენტის საქმიანობის შედეგები, როგორც ეს ქვემოთ არის განმარტებული, ფასდება ფასს სტანდარტების მიხედვით, ისევე, როგორც მოგება ან ზარალი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა პრემიუმ და საშუალო დონის სეგმენტების ფუნქციონალური მიმდინარეობისა, სადაც მოგება ან ზარალი ფასდება ისე, თითქოს სამუშაო ვალუტა აშშ დოლარი და გირვანქა სტერლინგი ყოფილიყო.

- პრემიუმი: პრემიუმ სეგმენტს წარმოადგენს ბრიტანულ-ქართული აკადემია და თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლა
- საშუალო: წარმოდგენილია ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლით
- ხელმისაწვდომი: წარმოდგენილია მწვანე სკოლით;
- კორპორაციული ცენტრი: კორპორაციული ცენტრი წარმოდგენილია შპს საქართველოს განათლების ჯგუფით, რომელიც არ წარმოადგენს საოპერაციო სეგმენტს

შესრულების შესაფასებლად და გადაწყვეტილების მიღებისათვის ხელმძღვანელობა აკვირდება ამონაგებსა და მოგებას საფინანსო ხარჯებამდე და საფინანსო შემოსავლამდე, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე, ცვეთა და ამორტიზაციამდე, ისე, თითქოს სამუშაო ვალუტა ის ვალუტაა, რომელშიც სწავლის საფასური დენომინირებულია ცალკეული სეგმენტისთვის: აშშ დოლარი პრემიუმ სეგმენტისთვის, ბრიტანული გირვანქა სტერლინგი საშუალო დონის სეგმენტისთვის და ქართული ლარი ხელმისაწვდომი სეგმენტისთვის. აშშ დოლარით და გირვანქა სტერლინგით შესრულებული გარიგებები ლარში გადაიყვანება ეროვნული ბანკის მიერ, გარიგების თარიღისათვის განსაზღვრული ოფიციალური კურსით. ვინაიდან სწავლის საფასური მიიღება წინასწარ და ამონაგები სწავლებიდან აღიარდება დროთა განმავლობაში, სავალუტო კურსის რყევა გავლენას ახდენს ამონაგების მაჩვენებელზე. სეგმენტებს შორის გარიგებები აღირიცხება ფაქტობრივი გარიგების ფასებით.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილები წარმოგიდგენთ შემოსავლების ანგარიშგების ინფორმაციას ჯგუფის საოპერაციო სეგმენტებთან დაკავშირებით:

26. ინფორმაცია სეგმენტის შესახებ (გაგრძელება)

ათასი ლარი	პრემიუმი	საშუალო	ხელმისაწვდომი	კორპორაციული ცენტრი	სულ	შეჯერებული მუხლები **	ფასს ფინანსური ანგარიშგება
2020							
ამონაგები და შემოსავალი	18,589	4,949	3,777	-	27,315	(1,521)	25,794
ხელფასები და დასაქმებულთა სარგებელი	(9,395)	(2,264)	(2,071)	-	(13,730)	(11)	(13,741)
ტრანსპორტირების ხარჯი	(60)	(119)	-	-	(179)	(1)	(180)
საკვები მოსწავლეებისთვის	(194)	(80)	(106)	-	(380)	-	(380)
საგანმანათლებლო პორტალების გამოწერა	(155)	-	-	-	(155)	-	(155)
საგანმანათლებლო მოგზაურობები	(74)	(42)	-	-	(116)	-	(116)
სასკოლო ფორმები	-	(175)	-	-	(175)	(5)	(180)
იურიდიული და სხვა პროფესიონალური მომსახურება	(150)	(152)	(61)	(78)	(441)	(1)	(442)
საგანმანათლებლო მასალები	(86)	(119)	-	-	(205)	(4)	(209)
ზაფხული სკოლის ხარჯები	-	(40)	-	-	(40)	(1)	(41)
კომუნალურები	(128)	(42)	(50)	-	(220)	(2)	(222)
საოპერაციო გადასახადები	(194)	(38)	(29)	(113)	(374)	(15)	(389)
საკანცელარიო ხარჯები	(131)	(19)	(24)	-	(174)	-	(174)
რემონტი და მოვლა-შენახვა	(176)	(9)	(41)	-	(226)	(1)	(227)
ანარიცხი სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისთვის	(152)	(30)	(135)	-	(317)	-	(317)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(389)	(166)	(111)	(4)	(670)	(3)	(673)
მოგება საფინანსო ხარჯებამდე და საფინანსო შემოსავლამდე, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე, ცვეთა და ამორტიზაციამდე, სავალუტო ზარალამდე, ხელმძღვანელობის ხელშეკრულების შეწყვეტამდე, საპროცენტო ხარჯის აღდგენამდე, სავალუტო ზარალამდე და ქოლ-ოფციონის რეალური ღირებულების ხელახალ შეფასებამდე	**7,305**	**1,654**	**1,149**	**(195)**	**9,913**	**(1,565)**	**8,348**
სავაჭრო ვალდებულებაზე დარიცხული საპროცენტო ხარჯისა და სავალუტო ზარალის აღდგენა	1,109	-	-	-	1,109	-	1,109
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,419)	(347)	(230)	-	(1,996)	-	(1,996)
სავალუტო (ზარალი)/შემოსულობები	1	88	(1,068)	(1)	(980)	-	(980)
საფინანსო ხარჯი	(661)	(492)	(318)	(13)	(1,484)	-	(1,482)
საფინანსო შემოსავალი	192	36	30	-	258	-	258
ქოლ-ოფციონის რეალური ღირებულების ხელახლა შეფასება	-	-	(1)	756	755	-	755
მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე	**6,527**	**939**	**(438)**	**547**	**7,575**	**(1,565)**	**6,012**
მოგების გადასახადი	-	-	-	-	-	-	-
წლის მოგება	**6,527**	**939**	**(438)**	**547**	**7,575**	**(1,565)**	**6,012**

26 ინფორმაცია სეგმენტის შესახებ (გაგრძელება)

ათასი ლარი	პრემიუმი	საშუალო	ელმისაწვდომი	კორპორაციული ცენტრი	სულ	შეჯერებული მუხლები **	ფასს ფინანსური ანგარიშგება
2019							
ამონაგები და შემოსავალი	7,747	2,411	1,769	-	11,927	(457)	11,470
ხელფასები და დასაქმებულთა სარგებელი	(3,869)	(1,002)	(907)	-	(5,778)	10	(5,768)
ტრანსპორტირების ხარჯი	(61)	(155)	-	-	(216)	(2)	(218)
საკვები მოსწავლეებისთვის	(214)	(169)	(128)	-	(511)	1	(510)
საგანმანათლებლო პორტალების გამოწერა	(108)	-	-	-	(108)	-	(108)
საგანმანათლებლო მოგზაურობები	(65)	(142)	-	-	(207)	(1)	(208)
სასკოლო ფორმები	-	(153)	-	-	(153)	(4)	(157)
იურიდიული და სხვა პროფესიონალური მომსახურება	(44)	(99)	(25)	(191)	(359)	-	(359)
საგანმანათლებლო მასალები	(50)	(117)	-	-	(167)	(2)	(169)
ზაფხული სკოლის ხარჯები	-	(45)	-	-	(45)	-	(45)
კომუნალურები	(65)	(18)	(34)	-	(117)	-	(117)
საოპერაციო გადასახადები	(75)	(23)	(8)	-	(106)	-	(106)
საკანცელარიო ხარჯები	(87)	(49)	(30)	-	(166)	-	(166)
რემონტი და მოვლა-შენახვა	(67)	(24)	(29)	-	(120)	(1)	(121)
ანარიცხი სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისთვის	(59)	(14)	(38)	-	(111)	-	(111)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(304)	(122)	(56)	-	(482)	(4)	(486)
მოგება საფინანსო ხარჯებამდე და საფინანსო შემოსავლამდე, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე, ცვეთა და ამორტიზაციამდე, სავალუტო ზარალამდე, ხელმძღვანელობის ხელშეკრულების შეწყვეტამდე, საპროცენტო ხარჯის აღდგენამდე, სავალუტო ზარალამდე	**2,679**	**279**	**514**	**(191)**	**3,281**	**(460)**	**2,821**
სავაჭრო ვალდებულებაზე დარიცხული საპროცენტო ხარჯისა და სავალუტო ზარალის აღდგენა	-	-	-	-	-	-	-
ცვეთა და ამორტიზაცია	(651)	(150)	(72)	-	(873)	-	(873)
სავალუტო (ზარალი)/შემოსულობები	(61)	48	15	-	2	-	2
საფინანსო ხარჯი	(399)	(151)	(111)	-	(661)	-	(661)
საფინანსო შემოსავალი	23	11	2	-	36	-	36
ქოლ-ოფციონის რეალური ღირებულების ხელახლა შეფასება	-	12	(19)	-	(7)	-	(7)
მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე	**1,591**	**49**	**329**	**(191)**	**1,778**	**(460)**	**1,318**
მოგების გადასახადი	-	-	-	-	-	-	-
წლის მოგება	**1,591**	**49**	**329**	**(191)**	**1,778**	**(460)**	**1,318**

** ფუნქციური ვალუტის მქონე ფინანსურ ინფორმაციას შორის სხვაობა ლარში და აშშ დოლარსა და გირვანქა-სტერლინგში.

26. ინფორმაცია სეგმენტის შესახებ (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია საბალანსო უწყისის ინფორმაცია ჯგუფის საქმიანობის სეგმენტებთან დაკავშირებით:

ათასი ლარი	პრემიუმი	საშუალო	ხელმისაწვდომი	კორპორაციული ცენტრი	სულ	შეჯერებული მუხლები **	ფასს ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერი							
სულ გრძელვადიანი აქტივები	59,287	17,194	11,102	15,380	102,963	-	102,963
სულ მოკლევადიანი აქტივები	5,083	1,239	1,238	(37)	7,523	-	7,523
სულ აქტივები	**64,370**	**18,433**	**12,340**	**15,343**	**110,486**	**-**	**110,486**
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	9,958	8,719	5,166	8,007	31,850	-	31,850
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	17,021	3,106	1,374	(11)	21,490	-	21,490
სულ ვალდებულებები	**26,979**	**11,825**	**6,540**	**7,996**	**53,340**	**-**	**53,340**
2019 წლის 31 დეკემბერი							
სულ გრძელვადიანი აქტივები	55,496	17,142	11,200	14,624	98,462	-	98,462
სულ მოკლევადიანი აქტივები	4,247	1,669	773	6	6,695	-	6,695
სულ აქტივები	**59,743**	**18,811**	**11,973**	**14,630**	**105,157**	**-**	**105,157**
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	11,264	7,596	4,379	5,014	28,253	-	28,253
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	15,317	3,418	1,406	-	20,141	-	20,141
სულ ვალდებულებები	**26,581**	**11,014**	**5,785**	**5,014**	**48,394**	**-**	**48,394**

საქართველოს განათლების ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მომზადებული
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2020 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 1
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2
კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება 4
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება 5

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:

1. ზოგადი ინფორმაცია 6
2. ჯგუფის საოპერაციო გარემო 8
3. მომზადებისა და შეფასების საფუძველი 8
4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები 10
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას 22
6. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები 25
7. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 31
8. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან და შემოსავალი 32
9. თანამშრომელთა სარგებლის ხარჯები 34
10. სხვა ზარალი 34
11. ძირითადი საშუალებები 35
12. ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსები 36
13. გუდვილი 36
14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 37
15. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 39
16. საწესდებო კაპიტალი და არამაკონტროლებელი წილი 40
17. ნასესხები სახსრები 41
18. სავაჭრო და სხვა ვალდებულება 41
19. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება 42
20. დარიცხვები და სხვა ვალდებულებები 43
21. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები 44
22. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები 44
23. ფინანსური რისკის მართვა 45
24. კაპიტალის მართვა 50
25. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები 50
26. ინფორმაცია სეგმენტის შესახებ 50

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს საქართველოს განათლების ჯგუფის მფლობელსა და ხელმძღვანელობას

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს საქართველოს განათლების ჯგუფის (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (ერთობლივად-„ჯგუფი“) კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი კონსოლიდირებული ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტის საგანი

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის; და
- კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის ყველა მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტის წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის *„აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“- ნაწილში.*

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების) (IESBA კოდექსის) შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობის ანგარიშგებას“ (მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენს მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ მმართველობის ანგარიშგება არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს მმართველობის ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას; და

  მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს.

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს

მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადექვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ბიზნეს საქმიანობის ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ პასუხისმგებლები ვართ ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. ჩვენ პასუხისმგებლები მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე ვართ.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (სარეგისტრაციო ნომერი..#SARAS- A-562091)

2021 წლის 27 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

ათასი ლარი	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან და შემოსავალი	8	**25,794**	**11,470**
საოპერაციო დანახარჯები			
დაქირავებულ თანამშრომელთა სარგებლის დანახარჯები	9	(13,741)	(5,768)
იურიდიული და სხვა პროფესიონალური მომსახურება		(442)	(359)
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა		(389)	(106)
საკვები მოსწავლეთათვის		(380)	(510)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი		(317)	(111)
რემონტისა და მოვლა-შენახვის დანახარჯები		(227)	(121)
კომუნალურები		(222)	(117)
საგანმანათლებლო მასალები		(209)	(169)
ტრანსპორტირება		(180)	(218)
სასკოლო ფორმები		(180)	(157)
საკანცელარიო მასალები		(174)	(166)
საგანმანათლებლო პორტალების გამოწერის საფასური		(155)	(108)
საგანმანათლებლო მივლინებები		(116)	(208)
ზაფხულის სკოლის დანახარჯები		(41)	(45)
სხვა ზარალი	10	(673)	(486)
მოგება ფინანსურ შემოსავლებამდე და ხარჯებამდე, მოგების გადასახადამდე, ცვეთა და ამორტიზაციამდე, სავალუტო ზარალამდე, მმართველობის ხელშეკრულების შეწყვეტამდე, საპროცენტო დანახარჯის გაუქმებამდე, სავალუტო ზარალის და ქოლ-ოფციონის რეალური ღირებულების ხელახლა შეფასებამდე		**8,348**	**2,821**
სავაჭრო ვალდებულებაზე დარიცხული სავალუტო ზარალის და საპროცენტო დანახარჯის გაუქმება		1,109	–
ცვეთა და ამორტიზაცია	11	(1,996)	(873)
სავალუტო (ზარალი)/ შემოსულობები		(3,842)	348
ფინანსური ხარჯები	19	(1,484)	(661)
ფინანსური შემოსავალი		258	36
ქოლ ოფციონის რეალური ღირებულების ხელახალი შეფასება		755	(7)
მოგება მოგების გადასახადის დანახარჯამდე		**3,148**	**1,664**
მოგების გადასახადი		–	–
წლის მოგება		**3,148**	**1,664**
რომელიც მიკუთვნებადია:			
მშობელი კომპანიის აქციონერებისადმი		1,136	357
არამაკონტროლებელი წილისადმი		2,012	1,307
წლის მოგება		**3,148**	**1,664**
სხვა სრული შემოსავალი		–	–
სულ წლის სხვა სრული შემოსავალი		**3,148**	**1,664**
რომელიც მიკუთვნებადია:			
მშობელი კომპანიის აქციონერებისადმი		1,136	357
არამაკონტროლებელი წილისადმი		2,012	1,307
სულ წლის სხვა სრული შემოსავალი		**3,148**	**1,664**

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 6-53 , წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ათასი ლარი	შენიშვნა	2020 წლის 31 დეკ.	2019 წლის 31 დეკ.
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირთადი საშუალებები	11	57,481	54,301
არამატერიალური აქტივები		56	54
ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსი	12	1,301	738
გუდვილი	13	42,900	42,900
სხვა აქტივები	21	1,225	469
სულ გრძელვადიანი აქტივები		**102,963**	**98,462**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		204	99
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	601	532
გაცემული სესხები		11	19
გადახდილი ავანსები		293	455
სხვა აქტივები		65	57
შეზღუდული ფულადი სახსრები	15	-	400
ფულადი სახსრები და მათ ეკვივალენტები	15	6,399	5,133
სულ მოკლევადიანი აქტივები		**7,573**	**6,695**
სულ აქტივები		**110,536**	**105,157**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	16	56,882	56,785
სხვა რეზერვები		(4,821)	(1,649)
გაუნაწილებელი მოგება	16	1,493	357
მშობელი კომპანიის აქციონერებისათვის მიკუთვნებადი კაპიტალი		**53,554**	**55,493**
არამაკონტროლებელი წილი	16	3,592	1,270
სულ კაპიტალი		**57,146**	**56,763**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	17	21,076	16,990
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	18	–	3,094
დარიცხვები და სხვა ვალდებულებები	20	9,654	6,455
აქტივის შეძენიდან წარმოქმნილი სახელშეკრულებო ვალდებულებები		339	
სახელშეკრულებო ვალდებულებები	8		433
იჯარის ვალდებულება	8	61	561
	19	720	720
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**31,850**	**28,253**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	17	3,871	2,819
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	18	2,318	1,150
დარიცხვები და სხვა ვალდებულებები	20	2,950	3,275
აქტივის შეძენიდან წარმოქმნილი სახელშეკრულებო ვალდებულებები		93	
სახელშეკრულებო ვალდებულებები	8		111
იჯარის ვალდებულება	8	12,220	12,734
საგადასახადო ვალდებულება, ნეტო	19	38	–
		50	52
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**21,540**	**20,141**
სულ ვალდებულებები		**53,390**	**48,394**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**110,536**	**105,157**

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 6-53, წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელი მოეწერა ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 27 სექტემბერს:

გიორგი კეთილაძე
დირექტორი
თბილისი, საქართველო

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 6-53, წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ათასი ლარი	შენიშვნები	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები	კაპიტალი, რომელიც მიკუთვნებადია მშობელი კომპანიის აქციონერებისადმი	არამაკონტროლებელი წილი (შენიშვნა 16)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 7 ივლისის მდგომარეობით		–	–	–	–	–	–
წლის სრული შემოსავალი სულ		–	357	–	357	1,307	1,664
ზრდა საწესდებო კაპიტალში კაპიტალის რეორგანიზაციის მეშვეობით	16	42,316	–	–	42,316	2,673	44,989
შენატანები საწესდებო კაპიტალში		14,469			14,469	-	14,469
ელიმინირება ფუთ-ოფციონით		–	–	–	–	(2,710)	(2,710)
ზრდა სხვა რეზერვებში		–	–	(1,649)	(1,649)	–	(1,649)
წლის სრული შემოსავალი სულ		**56,785**	**357**	**(1,649)**	**55,493**	**1,270**	**56,763**
წლის სრული შემოსავალი სულ		–	1,136	–	1,136	2,012	3,148
ზრდა საწესდებო კაპიტალში		97	–	–	97	50	147
ელიმინირება ფუთ-ოფციონით		–	–	–	–	260	260
ზრდა სხვა რეზერვებში		–	–	(3,172)	(3,172)	–	(3,172)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს		**56,882**	**1,493**	**(4,821)**	**53,554**	**3,592**	**57,146**

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 6-53, წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ათასი ლარი	შენიშვნა	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
სწავლის საფასურიდან მიღებული ფულადი სახსრები		23,013	9,523
სახელმწიფო ვაუჩერებიდან მიღებული ფულადი სახსრები		633	232
ზაფხულის / ზამთრის ბანაკებისთვის მიღებული ფულადი სახსრები		68	769
სხვა მომსახურებებიდან მიღებული ფულადი სახსრები		565	317
წმინდა შემოსულობები მოსწავლეების დეპოზიტებიდან		206	209
მომსახურებისა და საქონელისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(3,313)	(2,486)
გაცემული ხელფასები და სხვა სარგებელი		(13,589)	(5,406)
გადახდილი საოპერაციო გადასახადი		(296)	(22)
შეზღუდული ფულადი სახსრების განთავსება	22	400	-
მიღებული პროცენტი		191	30
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		**7,878**	**3,166**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვისა და მშენებლობისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(7,154)	(2,909)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობები		24	-
შვილობილი საწარმოების შეძენა, მიღებული ფულადი სახსრების გამოკლებით		-	4,757
გადახდილი სესხები		-	6
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან (საქმიანობაში გამოყენებული)		**(7,130)**	**1,854**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსულობები საწესდებო კაპიტალის ზრდიდან	16	-	967
შემოსულობები ნასესხები სახსრებიდან	17	2,753	295
ნასესხები სახსრების გადაფარვა	17	(1,521)	(918)
კაპიტალის ზრდა		201	327
გადახდილი პროცენტი	17	(1,355)	(427)
იჯარის ვალდებულებების დაფარვა	17	-	(121)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		**78**	**123**
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		**826**	**5,143**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	15	5,133	–
სავალუტო კურსის სხვაობების გავლენა ფულადი სახსრებიდან და მათი ეკვივალენტებიდან		440	(10)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	15	**6,399**	**5,133**

მნიშვნელოვანი არაფულადი ოპერაციები

2019 წელს ორი მიწის ნაკვეთი, 8,927 ათასი ლარის ღირებულების და 5,228 ათასი ლარის ღირებულების, შეტანილი იქნა კომპანიის საწესდებო კაპიტალში.

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 6-53, წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

1. ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს") მიხედვით, საქართველოს კანონის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ მოთხოვნების გათვალისწინებით, 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, შპს საქართველოს განათლების ჯგუფისთვის (შემდგომში „კომპანია") და მისი შვილობილი საწარმოებისთვის (ერთობლივად- „ჯგუფი").

შპს საქართველოს განათლების ჯგუფი, საიდენტიფიკაციო ნომრით 400271059, არის შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რომელიც დაარსებულია 2019 წლის 7 ივლისს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის აქციონერები იყვნენ:

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სს ჯორჯია კაპიტალი	100%	100%
სულ	**100%**	**100%**

ჯგუფის უშუალო მშობელი კომპანიაა სს ჯორჯია კაპიტალი. ჯგუფის საბოლოო მფლობელი და მაკონტროლებელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია (PLC) ჯორჯია კაპიტალი ("GCAP"), კომპანია რომელიც დაარსებულია გაერთიანებულ სამეფოში და ლონდონის საფონდო ბირჟის ჩამონათვალშია.

2019 წლის ზაფხულში, სს ჯორჯია კაპიტალმა შემდგომ საწარმოებში შეიძინა წილები:

- 70% ბრიტანულ ქართულ აკადემიაში –2019 წლის 23 ივლისი;
- 80% ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა თბილისში– 2019 წლის 29 ივლისი;
- 80% თბილისის მწვანე სკოლაში –2019 წლის 22 აგვისტო.

2020 წლის 29 ივნისს სს ჯორჯია კაპიტალმა ზემოაღნიშნული სკოლების მფლობელობა გადასცა შპს საქართველოს განათლების ჯგუფის. კაპიტალის რეორგანიზაციის შედეგად სს ჯორჯია კაპიტალის ყველა ვალდებულება, ასევე სს ჯორჯია კაპიტალსა და თითოეულ შვილობილ კომპანიას შორის არსებული უფლებები გადაეცა კომპანიას საკუთრების წილებთან ერთად. კაპიტალის რეორგანიზაცია რეტროსპექტულად იქნა გამოყენებული, შესაბამისად, შესადარისი ინფორმაცია მოიცავს შვილობილი კომპანიების ფინანსურ ინფორმაციას სს ჯორჯია კაპიტალის მიერ თითოეული შვილობილი კომპანიის შეძენის დღიდან.

2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

3 მომზადებისა და შეფასების საფუძველი (გაგრძელება)

შვილობილი კომპანია	მფლობელობა %, 2020	მფლობელობა %, 2019	ქვეყანა	ინდუსტრია	კონტროლი	შეძენის/ დაარსების თარიღი
შპს ბრიტანულ ქართული აკადემია	70%	70%	საქართველო	განათლება	დიახ	2019 წლის 23 ივლისი
თბილისის საერთაშორისო ბრიტანული სკოლა, ააიპ (BIST)	n/a	n/a	საქართველო	განათლება	დიახ	2019 წლის 23 ივლისი
შპს თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლა	70%	70%	საქართველო	განათლება	დიახ	2019 წლის 5 სექტემბერი
შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისი	80%	80%	საქართველო	განათლება	დიახ	2019 წლის 23 ივლისი
შპს სახლი წყნეთში	80%	80%	საქართველო	განათლება	დიახ	2019 წლის 23 ივლისი
შპს თბილისის მწვანე სკოლა	80%	80%	საქართველო	განათლება	დიახ	2019 წლის 22 აგვისტო
შპს მწვანე სკოლა	90%	90%	საქართველო	განათლება	დიახ	2019 წლის 21 ოქტომბერი

(*) ვინაიდან ააიპ BIST წარმოადგენს არაკომერციულ ერთეულს, იურიდიულად მას არ გააჩნია სააქციო კაპიტალის წილი, ანუ არ ჰყავს აქციონერები, რომლებიც ფლობენ ააიპ BIST–ის წილებს, რაც მისცემს მათ ხმის უფლებას, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება კომერციულ სუბიექტებთან. თუმცა, როგორც ააიპ BIST -ის დამფუძნებელს, მისი წესდება ჯგუფს აძლევს უფლებას განახორციელოს ააიპ BIST -ის შესაბამისი საქმიანობა.

ძირითადი საქმიანობა. ჯგუფი აერთიანებს თბილისში მდებარე ოთხ სკოლას და მისი ძირითადი საქმიანობაა სკოლების მუშაობის ზედამხედველობა და გაფართოების ძიება განათლების სფეროში, როგორც სკოლაში, ასევე საბავშვო ბაღში.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი. ჯგუფის ძირითადი საოპერაციო ოფისი მდებარეობს პეტრე მელიქიშვილის გამზირზე N8 ა / ერეკლე ტატიშვილის ქუჩა N1, თბილისი, საქართველო.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები წარდგენილია ქართულ ლარში (₾), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2. ჯგუფის საოპერაციო გარემო

ჯგუფის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის მარტში დაადასტურა ახალი კორონავირუსი ("COVID-19"), როგორც გლობალური პანდემია. გაურკვეველია გლობალური ტემპების შემცირების მასშტაბი, რაც ამ პანდემიის შედეგი იქნება და მისი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე. საქართველოს მთავრობამ გაატარა რიგი ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს COVID-19- ის გავრცელების შეზღუდვას, რასაც მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური გავლენა აქვს.

ჯგუფი ახორციელებს მის საქმიანობაზე მომხმარებლებსა და თანამშრომლებზე COVID-19- ის გავლენის მონიტორინგს და მიჰყვება საქართველოს მთავრობის მიერ გაცემულ ოფიციალურ მითითებებს მისი ხალხის დასაცავად და საქმიანობის უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით. COVID-19- ის გავრცელების შემდეგ შეცვლილ გარემოსთან ადაპტაციის მიზნით, ჯგუფმა დისტანციური სწავლება დანერგა. დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებული საოპერაციო ხარჯების შემცირების გათვალისწინებით, ჯგუფმა განახორციელა ფასდაკლების, ასევე ისეთი მომსახურებებისთვის გადახდების ვადის გაზრდის (როლოვერი) შეთავაზება, რომლის მოსწავლეთათვის მიწოდებაც მან ვერ შესძლო ამ პერიოდში. ჯგუფმა დაკარგა რამდენიმე მოსწავლე, ძირითადად იმის გამო, რომ საბავშვო ბაღის მომსახურება არ არის ადვილად ჩანაცვლებადი ონლაინ სწავლებით. 2020 წელს ჯგუფის სწავლების ამონაგებზე გავლენა იქონია ჯგუფის მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებულმა ფასდაკლებამ დისტანციური სწავლებისა და გარკვეული სერვისებისთვის გადახდების ვადის გაზრდის გამო, საოპერაციო ხარჯების შემცირების პროპორციულად.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას ჯგუფის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

3. მომზადებისა და შეფასების საფუძველი

მომზადებისა და შეფასების საფუძველი. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, პირვანდელი ღირებულების მეთოდით, როგორც ეს მოდიფიცირებულია ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებით მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფასს-ის შესაბამისად კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მოითხოვება გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენება. აგრეთვე, მოითხოვება ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება, ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის განსჯას, ან, შეფასებები და დაშვებები, რომელიც მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, განმარტებულია მე-**Error! Reference source not found.** შენიშვნაში.

3 მომზადებისა და შეფასების საფუძველი (გაგრძელება)

სს ჯორჯია კაპიტალმა ინვესტიციები ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში , ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისში, თბილისის მწვანე სკოლაში და ჯორჯია ედუქეიშენ გრუფში გადაიტანა, რომელიც წარმოადგენს სრულად ფლობილ შვილობილ კომპანიას (შენიშვნა 1). საკუთრების გადაცემა მოხდა 2020 წლის ივნისში და განიხილება როგორც კაპიტალის რეორგანიზაცია, ადრე გამოყენებული ღირებულების მეთოდის გამოყენებით. საქართველოს განათლების ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ისე, თითქოს საწარმოები გაერთიანებული იყოს სს ჯორჯია კაპიტალის მიერ ზემოაღნიშნული საწარმოების შეძენის დღიდან, ეს არის თარიღი, როდესაც გაერთიანებული საწარმოები პირველად მოექცა საერთო კონტროლის ქვეშ.

ზემოაღნიშნული შვილობილი კომპანიების აქტივები და ვალდებულებები შეესაბამება წინამორბედი საწარმოს საბალანსო ღირებულებებს. წინამორბედი საწარმოს თავდაპირველი შესყიდვების თანდაყოლილი გუდვილი ასევე აღრიცხულია წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

გადაცემული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ჩამოთვლილია ქვემოთ:

ათასი ლარი	**სულ**
ძირითადი საშუალებები	37,019
არამატერიალური აქტივები	48
ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსი	732
გუდვილი	42,900
სულ გრძელვადიანი აქტივები	**80,699**
მარაგები	121
გადახდილი ავანსები	868
სხვა აქტივები	946
მოთხოვნები	524
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4,757
სულ მოკლევადიანი აქტივები	**7,216**
სულ აქტივები	**87,915**
გრძელვადიანი სესხები	20,840
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	592
დარიცხვები და სხვა ვალდებულებები, გრძელვადიანი	4,358
შპს თბილისი მწვანე სკოლის შეძენისას დარიცხული პირობითი კომპენსაციის ვალდებულება	656
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	**26,446**
ვალდებულებები	134
მიღებული ავანსები	3,460
გადავადებული ამონაგები	2,060
სახელშეკრულებო ვალდებულება, მოკლევადიანი	11,657
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	700
საგადასახადო ვალდებულება	3,807
სულ მოკლევადიანი ვალდებულება	**21,818**
სულ ვალდებულება	**48,264**
წმინდა აქტივები	**39,651**
არაკონტროლებელი წილი	**(1,693)**
მფლობელისადმი მიკუთვნებადი აქტივები, წმინდა	**37,958**

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. შვილობილი საწარმოებია ინვესტიციის მიმღები ის საწარმოები (სტრუქტურიზებული საწარმოების ჩათვლით), რომლებსაც ჯგუფი აკონტროლებს, რადგან ჯგუფს: (i) გააჩნია ინვესტიციის მიმღების იმ შესაფერისი საქმიანობების წარმართვის უფლებამოსილება, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტიციის მიმღების უკუგებაზე; (ii) ინვესტიციის მიმღებ საწარმოში მონაწილეობის გამო, გააჩნია მისგან ცვალებადი უკუგების მიღების უფლება; და (iii) შესწევს უნარი, გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება ინვესტიციის მიმღებზე, რათა გავლენა მოახდინოს ინვესტორის უკუგებაზე. არსებითი უფლებების არსებობის და გავლენის (მათ შორის არსებითი პოტენციური ხმის უფლების) გათვალისწინება ხდება იმის შეფასებისას, გააჩნია თუ არა ჯგუფს უფლებამოსილება სხვა საწარმოზე. უფლება რომ არსებითი იყოს, მის მფლობელს უნდა გააჩნდეს პრაქტიკული უნარი, გამოიყენოს ეს უფლება ინვესტიციის მიმღების შესაბამისი საქმიანობის წარმართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. ჯგუფს შეიძლება გავლენა ჰქონდეს ინვესტიციის მიმღებზე მაშინაც კი, როდესაც მას ინვესტიციის მიმღების ხმათა უმრავლესობაზე ნაკლები ხმის უფლება გააჩნია. მსგავს შემთხვევაში, ჯგუფი შეაფასებს თავისი ხმის უფლების ზომას, ხმის უფლების სხვა მფლობელების ზომასა და ხმის უფლებების განაწილებასთან მიმართებით, რათა დაადგინოს, გააჩნია თუ არა მას დე-ფაქტო უფლებამოსილება ინვესტიციის მიმღებზე. სხვა ინვესტორების დამცავი უფლებები, როგორიცაა, მაგალითად უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტიციის მიმღების საქმიანობების ფუნდამენტურ ცვლილებებთან, ან, რომლებიც ვრცელდება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, ვერ უზრუნველყოფს ჯგუფის მიერ ინვესტიციის მიმღების გაკონტროლების თავიდან აცილებას. შვილობილი საწარმოები კონსოლიდირებულია ჯგუფისთვის კონტროლის უფლებამოსილების გადაცემიდან (შეძენის თარიღიდან), ხოლო კონსოლიდირება წყდება კონტროლის გაუქმების თარიღიდან.

ბუღალტრული აღრიცხვის შეძენის მეთოდი გამოიყენება შვილობილი საწარმოების შეძენის აღრიცხვისათვის. შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები, რომლებიც მიიღება საწარმოთა გაერთიანებისას, ფასდება მათი რეალური ღირებულებით შეძენის თარიღისათვის, ნებისმიერი არასაკონტროლო წილის ოდენობის მიუხედავად.

შვილობილი საწარმოების შეძენა საერთო კონტროლს დაქვემდებარებული მხარეებისაგან. საერთო კონტროლს დაქვემდებარებული მხარეებისაგან შვილობილი კომპანიების შეძენა აღირიცხება წინა ღირებულებების მეთოდის გამოყენებით. ამ მეთოდის მიხედვით გაერთიანებული საწარმოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ისე ხდება, თითქოს იგი გაერთიანებული იყო წარდგენილი ყველაზე ადრინდელი პერიოდიდან, ან თუ ეს უფრო გვიან მოხდა, იმ თარიღიდან, როდესაც გაერთიანებული საწარმოები პირველად დაექვემდებარა საერთო კონტროლს. საერთო კონტროლის ფარგლებში გადაცემული შვილობილი საწარმოს აქტივები და ვალდებულებები აისახება წინამორბედი საწარმოს საბალანსო ღირებულებებით.

წინამორბედ საწარმოდ მიიჩნევა იერარქიულად უმაღლესი ანგარიშვალდებული საწარმო, რომლის ანგარიშგებაშიც განხორციელდა შვილობილი საწარმოს ფასს სტანდარტების მიხედვით მომზადებული ფინანსური ინფორმაციის კონსოლიდირება. წინამორბედი საწარმოს თავდაპირველ შეძენასთან დაკავშირებული თანდაყოლილი გუდვილიც აისახება აღნიშნულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. წმინდა აქტივების, წინამორბედი საწარმოს გუდვილის ჩათვლით, საბალანსო ღირებულებასა და შეძენისთვის გადახდილ ანაზღაურებას შორის ნებისმიერი განსხვავება აისახება აღნიშნულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში სხვა რეზერვის კორექტირების სახით.

ჯგუფი აფასებს არასაკონტროლო წილს, რაც წარმოადგენს საკუთრების ამჟამინდელ წილს და მის მფლობელს უფლებამოსილებას ანიჭებს, მიიღოს წმინდა აქტივების პროპორციული წილი, ლიკვიდაციის შემთხვევაში ოპერაციების მიხედვით, ან (ა) რეალური ღირებულებით, ან (ბ) შეძენილი საწარმოს წმინდა აქტივების არასაკონტროლო წილის პროპორციული წილის სახით. არასაკონტროლო წილი, რომელიც არ წარმოადგენს საკუთრების წილს, ფასდება რეალური ღირებულებით.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გუდვილის შეფასება ხდება შესაძენი საწარმოსთვის გადახდილი ანაზღაურებიდან შეძენილი საწარმოს წმინდა აქტივების ღირებულების, არასაკონტროლო წილის და შეძენის თარიღამდე მოცემულ საწარმოში წილის გამოკლებით. ნებისმიერი უარყოფითი თანხა („უარყოფითი გუდვილი“ ან „იაფად შეძენა“) აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, მას შემდეგ, რაც ხელმძღვანელობა ხელახლა შეაფასებს, მოხდა თუ არა ყველა შეძენილი აქტივის და მიღებული ვალდებულების და პირობითი ვალდებულების იდენტიფიცირება და განიხილავს მათი შეფასების სისწორეს.

შეძენილ საწარმოში გადახდილი ანაზღაურება ფასდება დათმობილი აქტივების, გამოშვებული სავალო ინსტრუმენტების და მიღებული ვალდებულებების რეალური ღირებულებით, პირობითი ანაზღაურების შეთანხმებების აქტივების ან ვალდებულებების რეალური ღირებულების ჩათვლით, მაგრამ არ შეიცავს შეძენასთან დაკავშირებულ ისეთ დანახარჯებს, როგორიცაა საკონსულტაციო, იურიდიულ, შეფასების და მსგავსი პროფესიული მომსახურების დანახარჯებს. სავალო ინსტრუმენტების გამოშვებისათვის გაწეული გარიგების დანახარჯები გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან; საწარმოთა გაერთიანების ფარგლებში ვალის აღებასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯები გამოიქვითება მისი საბალანსო ღირებულებიდან და შეძენასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანარჩენი დანახარჯი აისახება ხარჯებში.

საწარმოთაშორისი ოპერაციები, ნაშთები და ჯგუფის შემადგენელ კომპანიებს შორის ოპერაციებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობები ანულირდება; არარეალიზებული ზარალიც ანულირდება, თუ შეუძლებელია დანახარჯების ამოღება. ჯგუფი და ყველა მისი შვილობილი საწარმო იყენებს ერთგვაროვან სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც ჯგუფის პოლიტიკის თანმიმდევრულია.

არამაკონტროლებელი წილი წარმოადგენს შვილობილი საწარმოს წმინდა შედეგების იმ ნაწილს, რომელიც მიკუთვნებადია იმ წილზე, რომელსაც ჯგუფი არ ფლობს არც უშუალოდ და არც არაპირდაპირ. არამაკონტროლებელი წილი წარმოადგენს ჯგუფის კაპიტალის ცალკე კომპონენტს.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. საწარმოს სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც ის საქმიანობს. ჯგუფის და მისი შვილობილების სამუშაო და წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი (“₾”). კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ქართულ ლარში („₾“), რომელიც ჯგუფის წარსადგენი ვალუტაა.

ოპერაციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება საწარმოს სამუშაო ვალუტაში შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით. უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი, წარმოქმნილი ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშებიდან საქართველოს ბანკის მიერ განსაზღვრული სავალუტო კურსით, აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში, როგორც სავალუტო ზარალი. ყველა დანარჩენი სავალუტო შემოსულობა და ზარალი აისახება მოგებისა და ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში, „სხვა შემოსულობა/(ზარალი), - ნეტო“. წლის ბოლოს არსებული კურსით კონვერტაცია არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომლებიც პირვანდელი ღირებულებითაა შეფასებული. უცხოურ ვალუტაში შეფასებული არაფულადი მუხლები, მათ შორის კაპიტალ-ინვესტიციები, გადაანგარიშდება რეალური ღირებულების განსაზღვრის თარიღით არსებული სავალუტო კურსით. სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე აღირიცხება, როგორც რეალური ღირებულების შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსი იყო შემდეგი: აშშ დოლარი 1=3.2766 ლარს, 1 ევრო=4.0233 ლარს (2019 წლის 31 დეკემბერი: აშშ დოლარი 1 = 2.8677 ლარს , 1 ევრო = 3.2095 ლარს).

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები. ძირთადი საშუალებები აღირიცხება პირვანდელი ღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის ან გაუფასურების ზარალით.

ძირითადი საშუალებების მუხლის პირვანდელი ღირებულება მოიცავს (ა) მის შეძენის ღირებულებას, მათ შორის საბაჟო მოსაკრებლებს და შესყიდვის დაუბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო დისკონტებს და სხვადასხვა სახის ფასდათმობებს; (ბ) ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ მიკუთვნებადია მუხლის იმ ლოკაციამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად, რომელიც მისთვის აუცილებელია, რათა იმოქმედოს ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული წესით; (გ) მუხლის დემონტაჟის, ამოღებისა და მისი ადგილმდებარეობის აღდგენის ხარჯების საწყის შეფასებას; (დ) ვალდებულებას, რომელიც ჯგუფს ეკისრება მუხლის შეძენისას, ან როგორც იმის შედეგი, რომ მუხლის გამოყენება, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ხორციელდებოდა ამ პერიოდის განმავლობაში მარაგების წარმოების გარდა სხვა მიზნებისთვის; ხოლო კვალიფიციური აქტივებისთვის, ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზდა ჯგუფის ძირითად სააღრიცხვო პრინციპებთან შესაბამისობაში.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის ჯგუფში შემოსვლა და დანახარჯების საიმედოდ შეფასება.. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ყველა სხვა რემონტის და საექსპლუატაციო დანახარჯები აისახება მოგება-ზარალში იმ ფინანსურ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი დარიცხვა.

შემდგომში კაპიტალიზირებული ხარჯები მოიცავს მსხვილ ხარჯებს იმ გაუმჯობესებების და ჩანაცვლებებისთვის, რომელიც ზრდის აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადას ან ზრდის მათი ამონაგების წარმოქმნის შესაძლებლობას. სარემონტო და ექსპლუატაციის ხარჯები, რომელიც არ აკმაყოფილებს კაპიტალიზაციის ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს, გაწევისთანავე დაირიცხება მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში,

ცვეთა. ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება ისე, რომ ჩამოიწეროს ცვეთის თანხა აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ჯგუფის ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

ძირითადი საშუალებების კატეგორიები	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	20-50 წელი
ავტომობილები	5-10 წელი
კომპიუტერები და საოფისე აღჭურვილობა	5-10 წელი
ავეჯი და სხვა უძრავი ნივთები	2-10 წელი
ბიბლიოთეკის წიგნები	3-5 წელი
სხვა	2-10 წელი

ცვეთის თანხა წარმოადგენს ძირითადი საშუალებების მუხლის ღირებულებას მისი ნარჩენი ღირებულების გარეშე. აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც ჯგუფი ამჟამად მიიღებს აქტივის გასვლიდან, შემცირებული გასვლის დანახარჯებით, თუ აქტივი უკვე იმ ხნის არის და იმ მდგომარეობაშია, რომელსაც მოსალოდნელია, რომ მოხდებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს. აქტივის ნარჩენი ღირებულება ნულის ტოლია იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფი მოელის ამ აქტივის გამოყენებას მისი ფიზიკური სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე.

აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. წინა შეფასებების ნებისმიერი ცვლილების გავლენა პერსპექტიულად აღირიცხება, როგორც ცვლილება სააღრიცხვო შეფასებაში.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

აქტივის გასვლის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვების შემოსულობებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარებულია მოგება-ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში.

დაუმთავრებელი მშენებლობა მოიცავს ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ძირითადი საშუალებების მშენებლობასთან. დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. დაუმთავრებელი მშენებლობის ცვეთა, იგივე საფუძველზე, როგორც სხვა ძირითადი საშუალებების მუხლებს, იწყება მაშინ, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომია, ე.ი. მაშინ, როდესაც ისინი იმ ლოკაციასა და მდგომარეობაშია, რომელიც მისთვის აუცილებელია, რათა იმოქმედოს ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული წესით.

აქტივების გამოყენების უფლება: აქტივების გამოყენების უფლება ფასდება თვითღირებულებით, შემცირებული ნებისმიერი დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით, და კორექტირდება იჯარის ვალდებულებების ნებისმიერი ხელახლა შეფასებისთვის. აქტივების გამოყენების უფლების ღირებულება მოიცავს აღიარებული იჯარის ვალდებულებების ოდენობას, დარიცხულ საწყის პირდაპირ ხარჯებს და საიჯარო გადახდებს, რომლებიც განხორციელებულია დაწყების თარიღით ან მის მერე, შემცირებული ნებისმიერი მიღებული საიჯარო წამახალისებლებით. აღიარებულ აქტივების გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის საფუძველზე, სასარგებლო მომსახურების ვადასა და იჯარის ვადებს შორის უმოკლესით. იჯარის პერიოდები წლებში შემდეგია:

	იჯარის პერიოდი
მიწა	50
შენობა-ნაგებობები	50

გუდვილი. გუდვილი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი გაუფასურების ზარალით, თუ ასეთი არსებობს. გუდვილი გადანაწილებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფებზე, რომლებიც მოსალოდნელია, რომ სარგებელს იღებენ ბიზნესის გაერთიანების სინერგიისაგან. მსგავსი ერთეულები ან ერთეულების ჯგუფები წარმოადგენენ ყველაზე ქვედა დონეს, რომელზეც ჯგუფი ახორციელებს გუდვილის მონიტორინგს და ისინი არ არიან უფრო დიდი ზომის, ვიდრე რომელიმე საოპერაციო სეგმენტი.

ჯგუფი გუდვილის გაუფასურებაზე ტესტირებას ახორციელებს ყოველწლიურად და აგრეთვე მაშინ, როდესაც არის გუდვილის გაუფასურების ნიშნები. იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება, რომელიც შეიცავს გუდვილს, შეუდარდება ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც წარმოადგენს გამოყენების ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას (შემცირებული გასვლის დანახარჯებით) უდიდესს. ნებისმიერი აღიარებული გაუფასურება მაშინვე აისახება ხარჯებში და არ ხდება მისი შემდეგში ანულირება.

ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (რომელზეც გადანაწილებულია გუდვილი) გასვლისას წარმოქმნილი შემოსულობები ან ზარალი მოიცავს გასულ ოპერაციასთან დაკავშირებული გუდვილის საბალანსო ღირებულებას, რომელიც, ზოგადად, შეფასებულია გასული ოპერაციის და ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შენარჩუნებული ნაწილის ფარდობითი ღირებულებების საფუძველზე.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივებს, რომლებსაც ცვეთა ერიცხებათ, მიმოიხილავენ გაუფასურების თვალსაზრისით, როდესაც მოვლენების ან ვითარების ცვლილება მიუთითებს რომ შეიძლება საბალანსო ღირებულება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი თანხა არის აქტივის რეალურ ღირებულებას, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივებს აჯგუფებენ რაც შეიძლება უმცირეს დონეზე, რომელზეც არსებობს დამოუკიდებელი ფულადი ნაკადები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). არაფინანსური აქტივების ადრინდელი გაუფასურება ყოველი საანგარიშგებო თარიღით გადაისინჯება გაუფასურების შესაძლო ანულირების თვალსაზრისით.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები.. მათი კლასიფიკაციის მიხედვით, ფინანსური ინსტრუმენტები აისახება რეალური ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ. რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად შეფასების თარიღით ბაზრის მონაწილეებს შორის გარიგებისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიური ბაზარი გახლავთ ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

გარიგების ხარჯები გახლავთ დამატებით ხარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების ხარჯები მოიცავენ სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟისთვის (მათ შორის თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ, როგორც გაყიდვების აგენტები) გადახდილ საფასურს და საკომისიოს, და აგრეთვე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების ხარჯები არ მოიცავენ სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება ("AC") არის თანხა, რომელიც მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის საწყისი აღიარების თანხას გამოკლებული ძირითადი თანხის გადახდა, დამატებული დაგროვილი პროცენტი და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით *("ECL")*. დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი, ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საფასურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება სავარაუდო მომავალი ფულადი გადახდები ან შემოსავლები (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გარეშე) ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადაზე ან საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მცოცავ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების ("POCI") შემთხვევაში თავდაპირველი აღიარებისას უნდა განისაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, მაგალითისთვის, სახელშეკრულებო გადახდების ნაცვლად, ის თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე გამოითვლება.

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, კორექტირებული გარიგების დანახარჯებით. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. საწყის აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც რეალური ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციები, ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით (AC) რაც გამოიწვევს მყისეულ საბუღალტრო ზარალს.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიაში. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს შემდეგ შეფასების კატეგორიებად აჯგუფებს: რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით, რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და ამორტიზებული ღირებულებით. სავალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია (i) დაკავშირებული აქტივების პორტფელის მართვისთვის ჯგუფის მიერ გამოყენებულ ბიზნეს-მოდელზე; და (ii) აქტივის ფულადი ნაკადის მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს-მოდელი. ბიზნეს-მოდელი ასახავს, როგორ მართავს ჯგუფი თავის აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად. ჯგუფის ერთადერთი მიზანია აქტივებიდან წარმოქმნილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება ("სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ფლობილი").

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როდესაც ბიზნეს-მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად, მაშინ ჯგუფი შეაფასებს ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას ("SPPI") წარმოადგენენ თუ არა.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. საწარმოს არ შეუცვლია თავისი ბიზნეს-მოდელი მიმდინარე და შესადარის პერიოდებში და არ განუხორციელებია რეკლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის.. ჯგუფს აქვს ფინანსური აქტივების ორი ტიპი, რომელიც ექვემდებარება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელს- სავაჭრო და სხვა ფინანსური მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.

ჯგუფი იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, რომელიც იყენებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად გამოყენებულია ინდივიდუალური შეფასების მიდგომა.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მე-12 შენიშვნა გვაწვდის ინფორმაციას ამოსავალი მონაცემების, დაშვებების და შეფასების ტექნიკის შესახებ, რომელიც გამოყენებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, მათ შორის იმის განმარტებას, თუ როგორ ჩართავს ჯგუფი საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელებში.

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც ჯგუფი ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. მაჩვენებლები იმისა, რომ არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი, მოიცავს: მოთხოვნების 360 დღეზე მეტ ვადაგადაცილებას, ლიკვიდაციას ან გაკოტრების სამართალწარმოებას ან აღსრულების ღონისძიებების დასრულებას. ჯგუფმა შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც ჯგუფი ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო ვადა დადგა, თუმცა, არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. ჯგუფი ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე უფლების ვადის გასვლა ან (ბ) ჯგუფმა სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო გარიგება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

ჯგუფი გადაცემულ აქტივზე კონტროლს ინარჩუნებს, თუ მიმღებ სუბიექტს არ გააჩნია გადაცემული აქტივის გაყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა არადაკავშირებულ მესამე მხარეზე და, აქტივის გადაცემაზე ყოველგვარი დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული („AC“),

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოეწურება).

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, (ii) დეფოლტი და (iii) გადახდისუუნაროობა ან გაკოტრება.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) რადგან ისინი ფლობილია სახელშეკრულებო და იმ ფულადი ნაკადის მიღებისთვის, რომელიც მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას ("SPPI") წარმოადგენს, და (ii) მათ მინიჭებული არა აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულის კატეგორია. მახასიათებლებს, რომლებიც მხოლოდ კანონმდებლობით განისაზღვრება, როგორიცაა მაგალითად სავალო ვალდებულებების რესტრუქტურიზაციის კანონმდებლობა გარკვეულ ქვეყნებში, გავლენა არა აქვს მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდის ტესტზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის სახელშეკრულებო პირობებში აისახება, ისე რომ ის მაინც ძალაში იქნება, კანონმდებლობა რომც შეიცვალოს. 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფულადი სახსრებისა დ ამათი ეკვივალენტების ნაშთებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უმნიშვნელო იყო.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაჰენტი ასრულებს თავის მოვალეობებს, ხელშეკრულების ფარგლებში, იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზება. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული საერთო და სპეციფიკური დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნებადია აქტივის შეძენაზე, მშენებლობაზე ან შექმნაზე რასაც მნიშვნელოვანი დრო სჭირდება განზრახული მიზნით მოხმარებისათვის ან გასაყიდად მოსამზადებლად, შეადგენს ამ აქტივების თვითღირებულების ნაწილს. ყველა სხვა სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები დანახარჯებში აისახება იმ პერიოდში, როდესაც მათი გაწევა მოხდა. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს პროცენტს და სხვა ხარჯებს, რომლებიც საწარმომ უნდა გასწიოს თანხების სესხებასთან დაკავშირებით.

იჯარის ვალდებულებები. იჯარისგან გამოწვეული ვალდებულებები თავდაპირველად შეფასდება ამჟამინდელი ღირებულების საფუძველზე. საიჯარო ვალდებულებები მოიცავს შემდეგი ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების წმინდა ამჟამინდელ ღირებულებას: ფიქსირებული გადახდები (არსებითი ფიქსირებული გადასახადების ჩათვლით), საიჯარო წამახალისებელი თანხების შემცირებით.

იჯარის გადახდები განაწილდება ძირ თანხასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები დაირიცხება მოგებაში ან ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში იმისათვის, რომ იწარმოებოდეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების ნარჩენ ნაშთზე თითოეული პერიოდისთვის.

მუდმივი პერიოდული განაკვეთის დასადგენად, ჯგუფი იყენებს მესამე მხარის დაფინანსების ბოლოდროინდელ განაკვეთს, რომელიც გაცხადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

აპარატურისა და სატრანსპორტო საშუალებების მოკლევადიან იჯარასთან და დაბალღირებულებიანი აქტივების ყველა იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარებულია წრფივი მეთოდის საფუძველზე, როგორც მოგება ან ზარალის ხარჯი. მოკლევადიანი იჯარები არის იჯარები, რომლებსაც საიჯარო ვადა 12 თვე ან ნაკლები აქვთ.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა. ხელმძღვანელობა ჯგუფის გაურკვეველ საგადასახადო მდგომარეობას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის მდგომარეობისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, ვინაიდან მეტად სავარაუდოა, რომ ეს გახდება მიზეზი გამოწვევებისა და დამატებითი გადასახადების დაკისრებისა საგადასახადო ორგანოების მხრიდან. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ამჟამად ძალაშია ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და საშემოსავლოს გარდა, სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი მოგების გადასახადის პოზიციები პროცენტისა და ჯარიმების გარდა, აისახება მოგების გადასახადის ხარჯში.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გამომავალი დამატებული ღირებულების გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი ხდება მომხმარებლებისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდებისთანავე. შემავალი დღგ ჩვეულებრივ ანაზღაურდება გამომავალი დღგ-სგან დღგ-ს ინვოისის მიღებისთანავე. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, ჯგუფის შემოსავლების ძირითადი წყარო, კერძოდ საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდება, გათავისუფლებულია გამომავალი დღგ-სგან, ყველა შემავალი დღ-ს ანაზღაურების უფლების შენარჩუნების გარეშე. გაყიდვასა და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა საფუძველზე და განმარტებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ან ვალდებულებების ნაწილში. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ს წმინდა საფუძველზე ანგარიშსწორება.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი მოწოდებულია წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციაში, პერიოდის ბოლოსთვის არსებული კანონმდებლობის ან ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება ან დივიდენდების გაცემის გზით აღნიშნული მოგების განაწილება ან განაწილებულად მიჩნევა.

ფიზიკური პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა აგროსილ ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები აიგროსება შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა. გაუთვალისწინებელი საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი კვლავ გადაიხდება ხარჯებზე ან სხვა გადასახადებზე, რომლებიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას, აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდებას და წარმომადგენლობით ხარჯებს, რომლებიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ საწარმოებზე გადახდილი ავანსები და ამ საწარმოებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ტრანზაქციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, აქტივებზე მოთხოვნილი ან შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებული პირებისთვის გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებული მომსახურების გარეშე, ან ფიზიკური და არარეზიდენტი პირებისთვის გაცემული სესხების ანაზღაურება აღირიცხება მუხლში 'გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა' საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში ჯგუფის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ჯგუფში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება ჯგუფის წესდების მიხედვით. ჯგუფის წესდებაში ცვლილებები (რომლებიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს, მფლობელობას და ა.შ) განხორციელდება მხოლოდ ჯგუფის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ჯგუფის სააღრიცხვო ანგარიშები წარმოადგენს მოგების განაწილებისა და სხვა ასიგნებების საფუძველს. საქართველოს კანონმდებლობა განაწილების საფუძველს განსაზღვრავს როგორც მიმდინარე წლის წმინდა მოგებას.

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები. ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადისა და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფს გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის შესასრულებლად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხების შეფასება ხდება ვალდებულების ანგარიშსწორებისათვის საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გადასახადები და ხარჯები, როგორიცაა, მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მარეგულირებლის საფასური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის; რაც განისაზღვრება კანონმდებლობით, რომელიც განაპირობებს მოცემული გადასახადის გადახდის ვალდებულებას. თუ გადასახადი მავალდებულებელი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება წინასაწარი გადახდის სახით.

როდესაც ჯგუფი მოელის ანარიცხების ანაზღაურებას, მაგალითად სამშენებლო კონტრაქტის ფარგლებში, ეს ანაზღაურება აღიარდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება ფაქტობრივად გარდუვალია.

ამონაგების აღიარება. ჯგუფი საქმიანობს მოსწავლეთათვის სწავლების მომსახურების მიწოდების ბიზნესში.

ჯგუფი აღიარებს ამონაგებს, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს იმ თანხად, რომელიც ასახავს იმ ანაზღაურებას, რომლის გადახდასაც ჯგუფი მოელის, ამ საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ.

შესრულების ვალდებულება წარმოადგენს განსხვავებულ საქონელს ან მომსახურებას (ან საქონლის ან მომსახურების პაკეტს) ან განსხვავებული საქონლის ან მომსახურებების რიგს, რომლებიც არსებითად ერთიდაიგივეა. კონტროლის გადაცემა დროთა განმავლობაში ხდება და ამონაგები დროთა განმავლობაში აღიარდება შესაბამისი შესრულების ვალდებულების სრული დაკმაყოფილებისკენ მიმავალი პროგრესის გათვალისწინებით, თუ რომელიმე შემდეგი კრიტერიუმია დაკმაყოფილებული:

- მომხმარებელი ერთდროულად იღებს და მოიხმარს ჯგუფის საქმიანობით გათვალისწინებულ სარგებელს, ჯგუფის საქმიანობის შესრულებასთან პარალელურად;
- ჯგუფის საქმიანობა ქმნის ან აძლიერებს აქტივს, რომელსაც მომხმარებელი აკონტროლებს ჯგუფის საქმიანობის შესრულებისას; ან
- ჯგუფის საქმიანობის შესრულება არ ქმნის აქტივს ჯგუფისთვის ალტერნატიული გამოყენებისთვის და ჯგუფს გააჩნია ვადაში დასრულებული საქმიანობის შედეგებისთვის გადახდის მიღების იურიდიულად გამყარებული უფლება

წინააღმდეგ შემთხვევაში, ამონაგები აღიარებულია იმ მომენტში, როდესაც მომხმარებელი მიიღებს კონტროლს განსხვავებულ საქონელზე ან მომსახურებაზე.

სახელშეკრულებო ვალდებულება წარმოადგენს ჯგუფის ვალდებულებას მომხმარებელს გადასცეს ის საქონელი ან მომსახურება, რომლისთვისაც ჯგუფმა მიიღო ანაზღაურება (ან ანაზღაურება მისაღებია) მომხმარებლისგან.

ხელშეკრულების აქტივი და ხელშეკრულების ვალდებულება, რომელიც ეხება ერთსა და იმავე ხელშეკრულებას, აღირიცხება და წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე.

შემდეგი მოსაზრებები მნიშვნელოვანია შემოსავლების კონკრეტული ნაკადებისათვის:

სწავლების ამონაგები ჯგუფის ხელშეკრულებები მომხმარებლებთან მოქმედებს სამიდან ექვს წლამდე, ხელშეკრულებებში მითითებულია წლიური გადასახადი.

ჯგუფი მოსწავლეებს სთავაზობს საგანმანათლებლო მომსახურებას განათლების ეროვნული მიზნებისა და სასწავლო გეგმით განსაზღვრული პროგრამების შესაბამისად. ჯგუფი ასევე სთავაზობს დამატებით მომსახურებებს, როგორიცაა კვების ორგანიზება და ტრანსპორტირება. სწავლების ამონაგები დროთა განმავლობაში აღიარდება წრფივი მეთოდის საფუძველზე, სასწავლო წლის განმავლობაში სკოლაში სწავლის დღეების ზუსტი რაოდენობის გამოყენებით.

4 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

შემოსავალი სახელმწიფო გრანტიდან. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ვაუჩერებს ყველა ლიცენზირებულ სკოლას ურიგებს. წლიური თანხა 0,3 ათასი ლარია თითო მოსწავლეზე. იგი შესაბამისად ნაწილდება ყოველი თვის ბოლოს, როდესაც შესრულების ვალდებულება უკვე დაკმაყოფილებულია.

სახელშეკრულებო ვალდებულებები. მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები, იქამდე, სანამ ჯგუფი საქონელზე კონტროლს გადასცემს მომხმარებელს, აღიარებულია, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულებები. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები არის ჯგუფის ვალდებულებები გადასცეს ის საქონელი და მომსახურება მომხმარებლებს, რისთვისაც ჯგუფმა მიიღო ანაზღაურება.

თანამშრომელთა გასამრჯელოები. ხელფასი, სარგო, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და არა-ფულადი სარგებელი (როგორიცაა სამედიცინო მომსახურება) დაირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება ჯგუფის თანამშრომლების მიერ. ჯგუფს არ გააჩნია რაიმე სახის იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება შეწონილი საშუალო ღირებულების საფუძველზე. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, შემცირებული დასრულების შეფასებული დანახარჯებით და გაყიდვის ხარჯებით.

ოპერაციები აქციონერებთან. ჯგუფი აქციონერებთან ოპერაციებს აღრიცხავს თვითღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი სტანდარტი მოითხოვს ოპერაციის რეალური ღირებულებით აღიარებას. აქციონერებთან, მათი, როგორც აქციონერის ფუნქციონირების შედეგად მიღებული ოპერაციების შედეგები, აღირიცხება საკუთარი კაპიტალის საშუალებით.

ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების განხორციელებისთვის საჭიროა ჯგუფის ხელმძღვანელობის დასტური, ვინც ამ ფინანსურ ანგარიშგებას გამოსაცემად ამტკიცებს..

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ჯგუფი აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

შპს ბაქსვუდის საერთაშორისო დაწყებითი სკოლა -თბილისის გარკვეული აქტივებისა და ვალდებულებების მიღება. 2019 წლის ივნისში, ჯგუფს, შპს ბაქსვუდის საერთაშორისო დაწყებითი სკოლა -თბილისსა და სს ჯორჯია კაპიტალს შორის გაფორმდა „ურთიერთგაგების მემორანდუმი“ (შემდგომში „მემორანდუმი“), რისი თანმდევიც სს ჯორჯია კაპიტალის მიერ ჯგუფის საკონტროლო წილის შესყიდვა იყო. ხელმძღვანელობამ განსაზღვრა, რომ ჯგუფი და შპს ბაქსვუდის საერთაშორისო დაწყებითი სკოლა -თბილისი წარმოადგენდნენ საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებს ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმების დღეს.

მემორანდუმის საფუძველზე, ჯგუფმა თავის თავზე აიღო შპს ბაქსვუდის საერთაშორისო დაწყებითი სკოლა - თბილისის სასესხო ვალდებულებები 3,780 ათასი ლარის ოდენობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 218 ათასი ლარის ოდენობით, მოკლევადიანი ვალდებულებები 218 ათასი ლარის ოდენობით (მათ შორის სასწავლო ხელშეკრულებები მოსწავლეებთან, შესაბამისი სახელშეკრულებო ვალდებულებებით 138 ათასი ლარის ოდენობით). ჯგუფმა 3,780 ათასი ლარის ღირებულების ზარალი აღრიცხა პირდაპირ კაპიტალში, როგორც აქციონერებთან გარიგების შედეგი, რომელიც არ განხორციელებულა საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოების განმავლობაში. ჯგუფი მიიჩნევს, რომ ოპერაციამ არ გამოიწვია საწარმოთა გაერთიანება ფასს 3-ის შესაბამისად, რადგან შეძენილი აქტივები და ვალდებულებები არ აკმაყოფილებდნენ საწარმოს განმარტებას.

კონტროლი არასამეწარმეო არაკომერციულ იურიდიულ პირზე (ააიპ). ჯგუფი არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის-თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლის დამფუძნებელი, (ააიპ "BIST "). ვინაიდან ააიპ BIST არის არაკომერციული ორგანიზაცია, ააიპ BIST ის სააქციო წილი არ შეიძლება იყოს კანონიერ საკუთრებაში, ანუ მას არ ჰყავს აქციონერები, რომლებიც ფლობენ წილებს, რომელიც მისცემს მათ ხმის უფლებას, თუმცა მაინც შეიძლება იყოს „კონტროლირებული“ სხვა საწარმოს მიერ ფასს 10 -ის მიხედვით. ჯგუფმა გააანალიზა ფასს 10 -ის მოთხოვნები და დაასკვნა, რომ მას აქვს ჯგუფის წესდებით განსაზღვრული ძალაუფლება ააიპ BIST-ზე, რადგან ჯგუფს აქვს უფლება დანიშნოს ააიპ BIST – ის დირექტორი და მმართველობა და წარმართოს მისთვის შესაბამისი საქმიანობა. ვინაიდან კონტროლის საშუალება მხოლოდ ააიპ BIST - ის წესდებით არის შესაძლებელი ააიპ BIST - ის კაპიტალი შეზღუდულია და ააიპ BIST-ის წმინდა აქტივები კლასიფიცირდება როგორც არამაკონტროლებელი წილი.

შეფასებული გუდვილის გაუფასურება. იმის განსასაზღვრად, ადგილი აქვს თუ არა გუდვილის გაუფასურებას, საჭიროა იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების გამოყენების ღირებულების შეფასება, რომლებზეც განაწილებულია გუდვილი. გამოყენების ღირებულების გაანგარიშება მოითხოვს, რომ დირექტორებმა შეაფასონ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისგან წარმოშობილი მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადები და ამჟამინდელი ღირებულების გამოსათვლელად საჭირო მოსახერხებელი დისკონტირების განაკვეთი.

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობისას ჯგუფი ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარეებთან. IFRS 9-ით მოითხოვება ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება, მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი მსგავსი ოპერაციებისათვის, განსჯა გამოიყენება იმის განსაზღვრისათვის, გარიგებები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით ხორციელდება თუ არასაბაზრო განაკვეთებით. განსჯა ეფუძნება არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასებს და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს. დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთების პირობები აღწერილია მე-7 შენიშვნაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი, ძირითადად, გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა, მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ ჯგუფისათვის. გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები 10%-ით რომ იყოს განსხვავებული ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან, 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცვეთაზე გავლენა იქნებოდა მისი გაზრდა 94 ათასი ლარით ან მისი შემცირება 72 ათასი ლარით (2019 წ. გაზრდა 132 ათასი ლარით ან შემცირება 94 ათასი ლარით).

აქტივების გამოყენების უფლების გაუფასურება. იჯარის პირობების განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტსა და გარემოებას, რომელიც ქმნის ეკონომიკურ წამახალისებელს გაგრძელების ოფციონის გამოსაყენებლად ან შეწყვეტის ოფციონის არ გამოსაყენებლად. გაგრძელების ოფციონი იჯარის პირობებში შეყვანილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გონივრული რწმუნება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება (ან არ შეწყდება).

იჯარით გაცემული მიწისა და შენობა-ნაგებობებისთვის, ტიპიურად, ყველაზე შესაბამისი შემდეგი ფაქტორებია:

- თუ არ არსებობს მნიშვნელოვანი ჯარიმები შეწყვეტაზე (არ გაგრძელებაზე), ჩვეულებრივ, ჯგუფს აქვს გონივრული რწმუნება იჯარის გაგრძელებაზე (არ შეწყვეტაზე).
- თუ მოსალოდნელია, რომ რომელიმე საიჯარო გაუმჯობესებას ექნება მნიშვნელოვანი ნარჩენი ღირებულება, ჩვეულებრივ, ჯგუფს გააჩნია გონივრული რწმუნება იჯარის გაგრძელებაზე (ან არ შეწყვეტაზე)

სხვაგვარად, კომპანია ითვალისწინებს სხვა ფაქტორებს, მათ შორის ისტორიული იჯარის განგრძობითობას და ხარჯებს და იჯარით გაცემული აქტივის ჩასანაცვლებლად გაწეულ ხარჯებს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ჯგუფი ქმნის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რათა აღრიცხოს შეფასებული ზარალი, რაც გამოწვეულია მომხმარებლების უუნაროობით, განახორციელონ საჭირო გადახდები ან მომწოდებლების მიერ შეთანხმებული პროდუქციის ან მომსახურების ვერ მიწოდებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, მოთხოვნების და გადახდილი ავანსების ნაშთების ხანდაზმულობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, მომხმარებლებისა და მომწოდებლების კრედიტუნარიანობას და გადახდის პირობების ცვლილებას.

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

ეკონომიკაში, ინდუსტრიაში ან მომხმარებლებისა და მომწოდებლების სპეციფიკურ პირობებში ცვლილებამ შეიძლება საჭირო გახადოს ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კორექტირება. განსჯის მიხედვით, 211 ათასი და 59 ათასი ლარი უკავშირდება 2020 წლის და 2019 წლის ბოლოსთვის მოთხოვნების ანგარიშების ანარიცხებს, შესაბამისად.

ფუთ-ოფციონი. ჯგუფმა აღიარა სამი შვილობილი კომპანიის (შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის, შპს თბილისის მწვანე სკოლის და შპს მწვანე სკოლის) არამაკონტროლებელი წილების ფუთ-ოფციონი, რაც მათ აძლევს ჯგუფისათვის აქციების მიყიდვის უფლებას. ოფციონი აღირიცხება როგორც ვალდებულება და არა როგორც წარმოებული ინსტრუმენტი. ოფციონის რეალიზაციის ფასი გამოითვლება წინასწარ განსაზღვრული EBITDA კოეფიციენტის და წმინდა ვალის გამოყენებით. ხელმძღვანელობა განსჯის მიხედვით ადგენს სამომავლო EBITDA– ს და წმინდა ვალის სხვადასხვა შედეგებს, რის შედეგადაც შეწონილი თანხა აღიარდება როგორც ვალდებულება.

ქოლ-ოფციონი. ჯგუფმა აღიარა ქოლ-ოფციონი, რომელიც წარმოადგენს შპს თბილისის მწვანე სკოლის დარჩენილი 20% სააქციო წილის არამაკონტროლებელი წილებიდან შეძენის ოფციონს შპს თბილისის მწვანე სკოლის წინასწარ განსაზღვრული EBITDA კოეფიციენტის და წმინდა ვალის საფუძველზე. ჯგუფმა ოფციონის შეფასებისათვის გამოიყენა ბინომინალური მოდელი.

6. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ პერიოდებში და რომლებიც ჯგუფს მანამდე არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ასსს-ის მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს. ჯგუფი არ მოელის, რომ ეს ცვლილებები გავლენას მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“-(გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება, არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ხელშეკრულებების ჯგუფში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული ჯგუფი ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. ჯგუფი არ მოელის, რომ ეს ცვლილებები გავლენას მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია – შესწორებები ბასს 1-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის 2022 წლის 1 იანვრიდან). ეს ვიწრო მასშტაბის ვალდებულებები კლასიფიცირდება ან როგორც გრძელვადიანი, ან როგორც მოკლევადიანი, რაც დამოკიდებულია იმ უფლებებზე, რომლებიც საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის არის არსებული. ვალდებულებები გრძელვადიანია თუ საწარმოს, საანგარიშო პერიოდის ბოლოს, გააჩნია იმის არსებითი უფლება, რომ გადაავადოს ანგარიშსწორება სულ მცირე 12 თვით. სახელმძღვანელო მითითებები აღარ მოითხოვს, რომ ეს უფლება იყოს უპირობო. ხელმძღვანელობის მოლოდინი იმის შესახებ, რომ საწარმო შემდგომში გამოიყენებს ანგარიშსწორების გადავადებას არ ახდენს გავლენას ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში არსებობს, თუ საწარმო აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს საანგარიშო პერიოდის ბოლოს მდგომარეობით. ვალდებულება კლასიფიცირდება მოკლევადიანად თუ პირობა დარღვეულია საანგარიშო პერიოდის მსვლელობისას ან მანამდე, იმ შემთხვევაშიც, თუ ამ პირობაზე უარი გამსესხებლისგან არის მიღებული მხოლოდ საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

საპირისპიროდ, სესხი კლასიფიცირდება გრძელვადიანად თუ სესხის შეთანხმება ირღვევა მხოლოდ საანგარიშო თარიღის შემდეგ. დამატებით, შესწორებები მოიცავს კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას იმ ვალისათვის, რომლის ანგარიშსწორებასაც ჯგუფი მისი კაპიტალში გადაანგარიშებით შეძლებს. „ანგარიშსწორება" განისაზღვრება, როგორც ვალის დაფარვა ფულადი სახსრებით, სხვა რესურსებით, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებით. არსებობს გამონაკლისი იმ გადაანგარიშებადი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეიძლება გადაანგარიშებული იყოს კაპიტალში, მაგრამ მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, სადაც გადაანგარიშების შესაძლებლობა კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი-როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე შემადგენელი კომპონენტი.

ვალდებულებების კლასიფიკაცია გრძელვადიანად და მოკლევადიანად, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება- შესწორებები ბასს1-თვის (გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ). ეს ბასს 1-ის შესწორება ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიცირებაზე, გამოცემულია 2020 წლის იანვარში, თავდაპირველი ძალაში შესვლის თარიღით - 2022 წლის 1 იანვარი. თუმცა, COVID -19 პანდემიის საპასუხოდ, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით, რათა კომპანიებს მიეცეთ მეტი დრო, განახორციელონ კლასიფიკაციის ცვლილებები, შესწორებული სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შემოსულობები სავარაუდო მოხმარებამდე, წამგებიანი ხელშეკრულებები- ხელშეკრულების შესრულების ხარჯი, მითითება კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე- ასს 16, ასს 37 და ფასს 3 -ის ვიწრო მოქმედების სფეროს შესწორებები და ფასს 2018-2020 წლის წლიური გაუმჯობესებები- ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ასს 41 -ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს და ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის) ბასს 16-ის შესწორება უკრძალავს საწარმოს ძირითადი საშუალებების მუხლის ხარჯიდან საწარმოს მიერ აქტივის სავარაუდო მოხმარებისთვის მომზადებისას წარმოებული მუხლის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის გამოქვითვას. მსგავსი მუხლების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობები, მათი წარმოების ხარჯებთან ერთად, ახლა აღიარდება მოგება-ზარალში. საწარმო გამოიყენებს ბასს 2-ს ამ მუხლების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ მოიცავს შემოწმების პროცესში მყოფი აქტივის ცვეთას, იმიტომ, რომ ის ჯერ მზად არ არის მისი სავარაუდო მოხმარებისთვის. ბასს 16-ის შესწორება ასევე განმარტავს, რომ საწარმო ახორციელებს იმის შემოწმებას „ფუნქციონირებს თუ არა აქტივი სათანადოდ" მაშინ, როდესაც ის აფასებს აქტივის ტექნიკურ თუ ფიზიკურ წარმადობას. აქტივის ფინანსური წარმადობა ამ შეფასების რელევანტური არ არის. ამგვარად, აქტივს შეუძლია ხელმძღვანელობის განზრახვის შესაბამისად ფუნქციონირება და ექვემდებარება ცვეთას სანამ არ მიაღწევს ხელმძღვანელობის მიერ განზრახულ საოპერაციო წარმადობას.

ბასს 37-ის შესწორებები განმარტავს „ხელშეკრულების შესრულების ხარჯების" მნიშვნელობას. შესწორება განმარტავს, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი ხარჯები შედგება ამ ხელშეკრულების შესრულების დანახარჯებისაგან და იმ ხარჯების განაწილებისგან, რომელიც პირდაპირ კავშირშია შესრულებასთან. შესწორება ასევე განმარტავს, რომ სანამ წამგებიანი ხელშეკრულების ცალკე ანარიცხი შეიქმნება, საწარმო აღიარებს ხელშეკრულების შესრულებისთვის გამოყენებული იმ აქტივების ნებისმიერი გაუფასურების ზარალს, რომელსაც ადგილი ჰქონდა, მეტად, ვიდრე იმ აქტივების, რომლებიც ხელშეკრულებისთვის არის განკუთვნილი.

ფასს 3-ში შევიდა შესწორებები, რომლებიც მიუთითებს 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე იმისათვის, რომ განისაზღვროს, თუ რას წარმოადგენს აქტივი საწარმოთა გაერთიანებისას. შესწორების შეტანამდე, ფასს 3 მიუთითებდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

დამატებით, ფასს 3-ის ახალი გამონაკლისი დაემატა ვალდებულებებს და პირობით ვალდებულებებს. გამონაკლისი მიუთითებს, რომ გარკვეული ტიპის ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებებისთვის, საწარმომ, ფასს 3 -ის გამოყენების ნაცვლად ბასს 37 ან ფასიკ 21 უნდა გამოიყენოს, ვიდრე 2018 წლის კონცეპტუალური სტრუქტურული საფუძვლები. ამ ახალი გამონაკლისის გარეშე, საწარმოს გარკვეული ვალდებულებები საწარმოთა გაერთიანებისას უნდა ეღიარებინა, რასაც ბასს 37-ის მიხედვით, არ აღიარებდა. ამგვარად, დაუყოვნებლივ, შესყიდვის შემდეგ, საწარმოს მოუწევდა მსგავსი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა და ისეთი შემოსულობის აღიარება, რომელმაც არ გამოკვეთა ეკონომიკური სარგებელი. ასევე განმარტებულია, რომ შემსყიდველმა არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივი შესყიდვის თარიღით, როგორც ეს განსაზღვრულია ბასს 37-ით.

ფასს 9-ს შესწორება განმარტავს, თუ რომელი საზღაური უნდა იყოს შეყვანილი ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის 10%-იან ტესტში. ღირებულებებადა საზღაური შესაძლებელია გადახდილი იყოს ან მესამე მხარეებისთვის ან გამსესხებლისთვის. შესწორების მიხედვით, ის ღირებულება და საზღაური, რომელიც გადახდილია მესამე მხარეებისთვის არ შევა 10%-იან ტესტში. ილუსტრაციული მაგალითი 13, რომელიც მოყვება ფასს 16-ს, შესწორდა, რათა მეიჯარის მიერ გადახდების ილუსტრაცია, რომელიც უკავშირდება საიჯარო გაუმჯობესებებს, იყოს ამოღებული. შესწორების მიზეზი საიჯარო წამახალისებლებთან დაკავშირებული ნებისმიერი პოტენციური გაუგებრობის აღმოფხვრაა.

ფასს 1 იძლევა საშეღავათო უფლებას შვილობილმა საწარმომ ფასს-ები მიიღოს უფრო გვიანი თარიღით, ვიდრე მშობელმა საწარმომ. შვილობილ საწარმოს შეუძლია მისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებით შეფასება, რაც შესული იქნებოდა მისი მშობელი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, მშობელი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ კონსოლიდაციის პროცედურებისთვის და საწარმოთა გაერთიანების იმ შედეგებისთვის, რომელშიც მშობელმა შეიძინა შვილობილი საწარმო, არ შესულა შესწორებები.

ფასს 1-ში შევიდა შესწორებები, რათა მიეცეს ფასს 1-ის შეღავათით მოსარგებლე საწარმოებს იმის უფლება, რომ დაგროვილი საკურსო სხვაობებიც შეაფასოს მშობელი საწარმოს მიერ ანგარიშგებული თანხების გამოყენებით, მშობელი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. ფასს 1-ის შესწორებები აფართოებს ზემოთ აღნიშნულ შეღავათს დაგროვილ საკურსო სხვაობებზე პირველად სტანდარტების მიმღები საწარმოებისთვის ხარჯების შესამცირებლად. ეს შესწორება ასევე ეხება იმ მეკავშირე და ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულს საწარმოებს, რომლებმაც ისარგებლეს იმავე ფასს 1-ის შეღავათით.

მოთხოვნა, რომ საწარმოებმა ბასს 41-ის მიხედვით რეალური ღირებულების შეფასებისას ამოიღონ დაბეგვრისთვის განსაზღვრული ფულადი ნაკადები, გაუქმებულია. ეს შესწორება მიზნად ისახავს დაბეგვრის შემდგომ საფუძველზე ფულადი ნაკადების დისკონტირების სტანდარტში არსებულ მოთხოვნასთან შესაბამისობაში ყოფნას. ჯგუფი ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ წლიური პერიოდებისთვის). შესწორებები მოიცავს მთელ რიგ განმარტებებს ფასს 17-ის დანერგვის გასაადვილებლად , ამარტივებს სტანდარტისა და გადასვლის მოთხოვნების ნაწილს. შესწორებები ეხება ფასს 17-ის 8 სფეროს და ისინი არაა გამიზნული სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების შესაცვლელად. განხორციელებულია მომდევნო შესწორებები ფასს 17-სვის:

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

- *ძალაში შესვლის თარიღი:* ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (ცვლილებების ჩათვლით) გადავადებულია ორი წლით, იმ ყოველწლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ; და ფასს 4-ში ფასს 9-ის გამოყენების დროებითი გათავისუფლების ვადის გასვლის თარიღი ასევე გადავადებულია წლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.
- *დაზღვევის შეძენისთვის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ანაზღაურება:* საწარმოს მოეთხოვება შესყიდვის ხარჯების ნაწილის გამოყოფა ხელშეკრულების მოსალოდნელ განახლებასთან დაკავშირებით და ამ ხარჯების, როგორც აქტივის, აღიარება, სანამ საწარმო არ აღიარებს ხელშეკრულების განახლებას. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის ამოღებადობა ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში წარადგინონ აქტივის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია.
- *სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა, რომელიც მიკუთვნებადია საინვესტიციო მომსახურებებზე:* დაფარვის ერთეულები უნდა განისაზღვროს, როგორც სარგებლის რაოდენობის გათვალისწინებით, ასევე დაზღვევის დაფარვისა და საინვესტიციო მომსახურების სავარაუდო პერიოდის გათვალისწინებით, ცვალებადი საზღაურის მიდგომის საფუძველზე სხვა ხელშეკრულებებისა და „ინვესტიციის დაბრუნების მომსახურების" ზოგადი მოდელის მიხედვით. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა შედიოდეს სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში იქამდე, სანამ საწარმო ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც პოლისის მფლობელისთვის, დაზღვევის დაფარვიდან გამომდინარე, გაზრდის მის სარგებელს.
- *ხელახალი დაზღვევის გაფორმებული ხელშეკრულებები - ზარალის ანაზღაურება:* როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების პირველად აღიარების ან ჯგუფისთვის წამგებიანი საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების დამატების შედეგად, საწარმომ უნდა დააკორექტიროს დაკავშირებული ხელშეკრულებების ჯგუფის მომსახურების მარჟა. ანაზღაურებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებისა და აღიარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებების შემოსულობა. ჩატარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული ზარალის ოდენობა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის და სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლის გამრავლებით, რომელთა ანაზღაურებას საწარმო მოელის ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან. ეს მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე ზარალის აღიარებამდე ან ამავე დროს.

სხვა შესწორებები: სხვა შესწორებები მოიცავს ზოგიერთი საკრედიტო ბარათის (ან მსგავსის) ხელშეკრულებების და ზოგიერთი სასესხო ხელშეკრულებების სფეროს გამორიცხვას; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივებისა და ვალდებულებების წარდგენას ჯგუფების ნაცვლად პორტფელში; ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. რისკის შემცირების შესაძლებლობის გამოყენებას იმ ფინანსური რისკების შერბილებისას, რომელიც იყენებს არსებულ ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებს და არაწარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით; ბუღალტრული პოლიტიკის არჩევანს წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს 17-ის გამოყენებისას გაკეთებული შეფასებების შესაცვლელად; საშემოსავლო გადასახადის გადახდებისა და ქვითრების ჩართვას, რომლებიც დაზღვევის მფლობელს კონკრეტულად ეკისრება სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებით, დაკვეთის შესრულების ფულად ნაკადებში, შერჩეული გარდამავალი შეღავათები და სხვა მცირე შესწორებები. ჯგუფი არ მოელის, რომ ეს ცვლილებები არსებით გავლენას მოახდენენ მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის (IBOR) რეფორმა – შესწორებების მეორე ფაზა ფასს 9, ასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16 -სთვის (გამოცემულია 2020 წლის აგვისტოში და ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). მეორე ფაზის შესწორებები იმ საკითხებს ეხება, რომელიც რეფორმების გატარების შედეგად წარმოიქმნება, მათ შორის ერთი ათვლის წერტილის ალტერნატიული ვარიანტით შეცვლა. შესწორებები ფარავს შემდეგ სფეროებს:

- *IBOR– ის რეფორმის შედეგად სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძვლის ცვლილების აღრიცხვა:* ინსტრუმენტებისთვის, რომლებზეც ვრცელდება ამორტიზებული ღირებულების შეფასება, შესწორებები მოითხოვს , რომ საწარმოებმა, გაითვალისწინონ ცვლილების საფუძველი, როგორც პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღრიცხონ IBOR- ის რეფორმის შედეგად მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განახლებით, ფასს 9-ის B5.4.5 პუნქტის სახელმძღვანელო მითითების გამოყენებით. შედეგად, არ აღიარდება მყისიერი შემოსულობა ან ზარალი. ეს პრაქტიკული მიზანშეწონილობა მხოლოდ ისეთი ცვლილებისთვის და იმ დონემდე გამოიყენება, სანამ ის აუცილებელია, როგორც IBOR-ის რეფორმის შემდგომი შედეგი, ხოლო ახალი საფუძველი, ეკონომიკურად უტოლდება მანამდე არსებულ საფუძველს. მზღვეველებს, რომლებიც იყენებენ ფასს-9-დან დროებით გათავისუფლებას, ასევე მოეთხოვებათ იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება. შესწორებები განხორციელდა ფასს 16-შიც, რათა IBOR-ის რეფორმის შედეგად სამომავლო საიჯარო გადახდების განსაზღვრის საფუძველის ცვლილების გამომწვევი იჯარის მოდიფიცირების აღრიცხვისას, იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენება მოეთხოვოთ მოიჯარეებსაც.
- ჰეჯირების ურთიერთობებში რისკის კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც არასახელშეკრულებო, 1-ლი ფაზის საშეღავათო პერიოდის დასრულების თარიღი: მე -2 ფაზის შესწორებების თანახმად, საწარმომ, პერსპექტიულ საფუძველზე, უნდა შეაჩეროს 1-ლი ეტაპის საშეღავათო პერიოდი რისკების იმ კომპონენტებისთვის, რომლებიც განსაზღვრულია, როგორც არასახელშეკრულებო, ან არასახელშეკრულებო რისკის კომპონენტებში შეტანილი ცვლილებების განხორციელების, ან ჰეჯირების ურთიერთობის შეწყვეტისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება . რისკის კომპონენტებისთვის შესწორებების პირველი ფაზის დასრულების თარიღი არ არის მითითებული.
- *დამატებითი დროებითი გამონაკლისები კონკრეტული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებისგან:* მე -2 ფაზა გვთავაზობს ჰეჯირების აღრიცხვის სპეციფიკური მოთხოვნების გამოყენებისგან დამატებით დროებით შეღავათს ბასს-ს 39 და ფასს 9-ის ჰეჯირების ურთიერთობებისგან, რომლებზეც პირდაპირ გავლენას ახდენს IBOR- ის რეფორმა.

IBOR-ის რეფორმასთან დაკავშირებული ფასს 7-ის დამატებითი განმარტებები: შესწორებები მოითხოვს შემდეგ განმარტებებს: (i) როგორ მართავს საწარმო ალტერნატიული ათვლის წერტილის განაკვეთებზე გადასვლას, ამის პროგრესი და გადასვლისგან გამოწვეული რისკები (ii) იმ წარმოებულების და არაწარმოებულების შესახებ რაოდენობრივი ინფორმაცი, რომლებსაც გადასვლის პროცესი ჯერ წინ აქვთ, და რომელიც გადანაწილებულია მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის მიხედვით, და (iii) რისკების მართვის სტრატეგიის ნებისმიერი ცვლილების IBOR-ის რეფორმის შედეგად აღწერა. ჯგუფი არ მოელის, რომ ეს ცვლილებები გავლენას მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვაონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან.

ჯგუფი არ მოელის, რომ ეს ცვლილებები გავლენას მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

Covid-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობები– შესწორებები ფასს 16-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 28 მაისს და ძალაშია 2020 წლის 1 ივნისს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). 2020 წლის მაისში გამოიცა შესწორება ფასს 16-სთვის, რომელმაც მოიჯარეებს მისცა იმის შეფასებისგან არასავალდებულო პრაქტიკული მიზანშეწონილობით სარგებლობის საშუალება, COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა, რომელიც აისახა იმ იჯარის გადასახდელების შემცირებაში, რომელიც უნდა შესრულებულიყო 2021 წლის 30 ივნისს ან მის შემდგომ, წარმოადგენს თუ არა იჯარის მოდიფიკაციას. 2021 წლის 31 მარტს გამოქვეყნებულმა შესწორებამ პრაქტიკული მიზანშეწონილობის ვადა 2021 წლის 30 ივნისიდან 2022 წლის 30 ივნისამდე გაახანგრძლივა. ჯგუფი არ მოელის, რომ ამ შესწორებას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე რაიმე გავლენა ექნება.

გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან- შესწორებები ბასს 12-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 12-ში შეტანილი ცვლილებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს გადავადებული გადასახადის აღრიცხვა ისეთ ოპერაციებზე, როგორიცაა საიჯარო და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები. განსაზღვრულ გარემოებებში, საწარმოები თავისუფლდებიან გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ისინი პირველად აღიარებენ აქტივებს ან ვალდებულებებს. მანამდე არსებობდა გაურკვევლობა იმის თაობაზე, ეხებოდა თუ არა შეღავათი ისეთ გარიგებებს, როგორიცაა საიჯარო მოვალეობები და ექსპლუატაციის გაუქმების ვალდებულებები - ოპერაციები, რომელთათვისაც აღიარებულია როგორც აქტივი, ისე ვალდებულება. ცვლილებების თანახმად, შეღავათი არ მოქმედებს და საწარმოები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ამ ოპერაციებზე. ცვლილებების თანახმად, კომპანიები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ოპერაციებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წარმოშობს დასაბეგრი და გამოქვითვადი დროებითი სხვაობების თანაბარ რაოდენობას. ჯგუფი არ მოელის, რომ ეს შესწორებები რაიმე გავლენას მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ქვემოთ მოცემულია ჯგუფსა და მასთან დაკავშირებულ მხარეებს შორის (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები) ოპერაციების დეტალები:

ათასი ლარი	**2020**	**2019**
საიჯარო დანახარჯები	–	63
დაზღვევის დანახარჯები	50	55
კომუნალური ხარჯები	63	47
სხვა საოპერაციო დანახარჯი	3	2
სულ	**116**	**167**

ნაშტები დაკავშირებულ მხარეებთან (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები) შემდეგია:

ათასი ლარი	**2020 წლის 31 დეკემბერი**	**2019 წლის 31 დეკემბერი**
გადახდილი ავანსები	22	203
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	269	203
სულ	**291**	**406**

გადახდილი ავანსები და დაკავშირებული მხარეების მიმართ არსებული ვალდებულებები დაკავშირებულია სკოლის სპორტული დარბაზის მშენებლობასთან და დაზღვევასთან.

2019 წლის განმავლობაში ჯგუფის აქციონერებმა შეიტანეს წვლილი საწესდებო კაპიტალში 3,223 ათასი ლარის ოდენობით (შენიშვნა 16). 2020 წლის განმავლობაში შენატანი არ გაკეთებულა.

მთავარი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება. 2020 და 2019 წლებში ხელმძღვანელ პირებთან დაკავშირებული თანხები, რომლებიც აღიარებულია, როგორც ხარჯი, შემდეგია:

ათასი ლარი	**2020**	**2019**
მთავარი ხელმძღვანელი პირების ხელფასი	2,278	1,848
ხელშეკრულების შეწყვეტა	-	449
სულ	**2,278**	**2,297**

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთავარი ხელმძღვანელი პერსონალის მიმართ დარიცხული ვალდებულებები შეადგენდა 318 ათას და 105 ათას ლარს.

8. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან და შემოსავალი

ათასი ლარი	2020	2019
სწავლება	24,806	10,822
ზაფხულის/ზამთრის ბანაკი	80	34
სხვა ამონაგები *	275	294
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	**25,161**	**11,150**
სახელმწიფო თანხები საზაფხულო/ზამთრის ბანაკისთვის	-	89
შემოსავალი სახელმწიფო ვაუჩერიდან	633	231
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან და შემოსავალი	**25,794**	**11,470**

(*) სხვა ამონაგები ძირითადად მოიცავს ამონაგებს გაყიდული საქონელიდან და კლასგარეშე კლუბებიდან მიღებულ ამონაგებს, შიდა და გარე აქტივობებს.

შემოსავლების აღიარების დრო (შემოსავლების თითოეული ნაკადისთვის) შემდეგია:

ათასი ლარი	შენიშვნა	2020	2019
დროის გარკვეულ მომენტში		316	320
დროის განმავლობაში		25,478	11,150
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან		**25,794**	**11,470**

ცხრილში ქვემოთ, მოცემულია მიმდინარე საანგარიშო პერიოდში აღიარებული ამონაგები ოდენობები, რომლებიც საანგარიშო წლის დასაწყისში შეტანილ იქნა სახელშეკრულებო ვალდებულებებსა და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში:

სწავლებისთვის მისაღები მოთხოვნები და სახელშეკრულებო ვალდებულებები

ჯგუფმა ამონაგებთან დაკავშირებული შემდეგი სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები აღიარა:

ათასი ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (ა)	778	409
სახელშეკრულებო ვალდებულებები (ბ)	12,713	13,839

a) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღიარდება მაშინ, როდესაც ანაზღაურების მიღების უფლება უპირობოა. იხილეთ შენიშვნა 13.

b) სახელშეკრულებო ვალდებულებების მოძრაობა 2020 და 2019 წლების განმავლობაში შემდეგი იყო:

8 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან და შემოსავალი (გაგრძელება)

ათასი ლარი	2020	2019
1 იანვარს	**13,295**	**-**
დამატებები საწარმოთა გაერთიანების მეშვეობით	-	13,717
აღიარებულია, როგორც ამონაგები წლის განმავლობაში	(23,645)	(10,746)
წლის განმავლობაში გადავადებული	22,631	10,324
31 დეკემბერს	**12,281**	**13,295**

მოსწავლეთაგან მიღებული სწავლის გადასახადი, როგორც წესი გადაიხდება ავანსად, სასკოლო სემესტრის დასაწყისში და თავდაპირველად აღირიცხება, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულება. ამონაგები აღიარდება პროპორციულად, შესაბამისი სასკოლო სემესტრის პერიოდის განმავლობაში, აკადემიურ დღეებზე დაყრდნობით. მოსწავლეებისგან მიღებული, მაგრამ გამოუმუშავებელი სწავლების საფასურის ნაწილი აღირიცხება, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულება და აისახება მოკლევადიან ვალდებულებებში, რადგან ასეთი თანხები წარმოადგენს იმ ამონაგებს, რომელსაც, ჯგუფი მოელის, რომ მიაკუთვნებს მოგება-ზარალს, მისი სწავლების ვალდებულებების შესრულების დაკმაყოფილებისას, ერთი წლის განმავლობაში.

ამონაგებში 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღიარებული საკონტრაქტო ვალდებულებები შემდეგია:

ათასი ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ერთი წლის განმავლობაში	12,220	12,734
ერთი წლის შემდეგ მაგრამ არაუმეტეს ორი წლისა	61	514
ორი წლის შემდეგ მაგრამ არაუმეტეს სამი წლისა	-	47

საკონტრაქტო ვალდებულება აქტივების შეძენიდან. 2011 წლის 23 ივნისს შპს თბილისის მწვანე სკოლის დირექტორებმა კახა დავითურმა და ბაკურ სულაკაურმა საქართველოს მთავრობისგან შეიძინეს სკოლის არსებული მიწა და შენობა. 2012 წლის 28 სექტემბრის სასკოლო შესყიდვის ხელშეკრულების შესწორება მოიცავს სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან ახალი 1 -ელ კლასელების ჩარიცხვის პასუხისმგებლობას მომდევნო 8 წლის განმავლობაში და სკოლის დამთავრებამდე უფასო საგანმანათლებლო მომსახურების გაწევას. ანარიცხის ოდენობაა 432 ათასი და 544 ათასი ლარი, შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის მდგომარეობით. კომპანია აფასებს საშუალო ღირებულებას ყოველ მოსწავლეზე უფასო საგანმანათლებლო მომსახურებისთვის და აღიარებს შესაბამის ანარიცხს. წლის განმავლობაში აქტივების შეძენისას სახელშეკრულებო ვალდებულების შემცირება აღიარებულია ამონაგებში (2020: 191 ათასი ლარი და 2019: 87 ათასი ლარი). შესაბამისი ფინანსური ხარჯი შეადგენდა 79 ათას და 39 ათას ლარს, შესაბამისად, 2020 და 2019 წლების ფინანსურ წლებში. 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აქტივის შეძენისას საკონტრაქტო ვალდებულების ნაწილმა შეადგინა 93 ათასი ლარი და 111 ათასი ლარი, ხოლო გრძელვადიანმა ნაწილმა 339 ათასი და 433 ათასი ლარი შეადგინა.

9. თანამშრომელთა სარგებლის ხარჯები

2020 წლის 31 დეკემბერსა და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში ხელფასები და თანამშრომელთა სარგებელი შემდეგი იყო:

ათასი ლარი

	2020	2019
ხელფასები	(12,286)	(5,308)
თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(1,455)	(460)
სულ თანამშრომელთა სარგებლის ხარჯი	**(13,741)**	**(5,768)**

10. სხვა ზარალი

ათასი ლარი

	2020	2019
კომუნიკაცია	(55)	(31)
პერსონალის ტრენინგი და დაქირავება	(51)	(7)
დაზღვევა	(48)	(57)
უსაფრთხოება	(29)	(11)
დასუფთავება	(27)	(20)
კლასგარეშე აქტივობები	(19)	(26)
რეალიზებული საქონლის ღირებულება	(19)	(23)
მარკეტინგი	(18)	(24)
მოგზაურობის ხარჯები	(17)	(28)
საბანკო მომსახურება	(16)	(15)
სხვა	(374)	(244)
მოგება-ზარალში აღიარებული სხვა ზარალი	**(673)**	**(486)**

11. ძირითადი საშუალებები

ათასი ლარი	მიწა და შენობა-ნაგებობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	ავეჯი და სხვა უძრავი ნივთები	ავტომობილები	კომპიუტერები და საოფისე აღჭურვილობა	ბიბლიოთეკის წიგნები	აქტივების გამოყენების უფლება	სხვა აქტივები	სულ
ღირებულება									
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	–	–	–	–	–	–	–	–	–
დამატებები საწარმოების გაერთიანების მეშვეობით (შენიშვნა 0)	29,615	205	3,848	3,920	1,412	642	720	630	40,992
დამატებები	17,569	2,051	563	15	226	24	–	26	20,474
ტრანსფერები	1,244	(1,244)	–	–	–	–		–	–
გასვლები	–	–	–	(30)	–	–	–	–	(30)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**48,428**	**1,012**	**4,411**	**3,905**	**1,638**	**666**	**720**	**656**	**61,436**
დამატებები	331	4,318	222	25	186	52	–	47	5,181
ტრანსფერები	13	(13)	–	–	–	–	–	–	–
გასვლები	–	–	–	(33)	–	–		(5)	(38)
ჩამოწერები	–	–	–	–	–	–	–	(70)	(70)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**48,772**	**5,317**	**4,633**	**3,897**	**1,824**	**718**	**720**	**628**	**66,509**
დაგროვილი ცვეთა									
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	–	–	–	–	–	–	–	–	–
დარიცხვა საწარმოთა გაერთიანების მეშვეობით	1,171	–	1,836	1,815	533	562	20	353	6,290
წლის დარიცხვა	186	–	262	239	107	26	7	45	872
გასვლისას ელიმინირებული	–	–	–	(27)	–	–	–	–	(27)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,357**	**–**	**2,098**	**2,027**	**640**	**588**	**27**	**398**	**7,135**
წლის დარიცხვა	489	–	565	507	270	48	14	100	1,993
გასვლები	–	–	–	(29)	–	–	–	(71)	(100)
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,846**	**–**	**2,663**	**2,505**	**910**	**636**	**41**	**427**	**9,028**
წმინდა საბალანსო ღირებულება									
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	–	–	–	–	–	–	–	–	–
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	47,071	1,012	2,313	1,878	998	78	693	258	54,301
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**46,926**	**5,317**	**1,970**	**1,392**	**914**	**82**	**679**	**201**	**57,481**

11 ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად ამორტიზებული აქტივები 2,582 ათასი ლარის და 1,455 ათასი ლარის ოდენობით შესაბამისად შეტანილი იყო ძირითად საშუალებებში.

ჯგუფმა დააგირავა მისი ძირითადი საშუალებები, როგორც უზრუნველყოფა ქართული კომერციული ბანკიდან მისი ნასესხები სახსრებისთვის (იხილეთ შენიშვნა 17). ჯგუფს არ აქვს უფლება დააგირაოს ეს აქტივები უზრუნველყოფის სახით პროცენტიანი სესხების ან ნასესხები სახსრებისთვის ან გაყიდოს ისინი სხვა საწარმოზე ბანკის ნებართვის გარეშე.

12. ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსები

ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილ ავანსებში მოძრაობა იყო შემდეგი:

ათასი ლარი	**ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსები**
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-
დამატებები საწარმოთა გაერთიანების მეშვეობით	732
დამატებები	236
დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების მიღებისას აღიარებაშეწყვეტილი გადახდილი ავანსები	230
სულ გადახდილი ავანსები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**738**
დამატებები	2,052
დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების მიღებისას აღიარებაშეწყვეტილი გადახდილი ავანსები	1,489
სულ გადახდილი ავანსები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,301**

13. გუდვილი

შვილობილი კომპანიების შეძენისას წარმოქმნილ გუდვილში მოძრაობები შემდეგია:

ათასი ლარი	**2020**	**2019**
საბალანსო ღირებულება 1 იანვრის მდგომარეობით	**42,900**	-
დამატებები საწარმოთა გაერთიანების მეშვეობით	-	42,900
სხვა	-	-
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით	**42,900**	**42,900**

ათასი ლარი	**2020 წლის 31 დეკემბერი**	**2019 წლის 31 დეკემბერი**
წიგნების მთლიანი ღირებულება	42,900	42,900
დაგროვილი გაუფასურების ზარალი	-	-
საბალანსო ღირებულება	**42,900**	**42,900**

13 გუდვილი (გაგრძელება)

თითოეული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება განსაზღვრულია გამოყენების ღირებულების გამოთვლების საფუძველზე. ეს გამოთვლები ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებული ფინანსური ბიუჯეტების საფუძველზე დამყარებულ ფულადი ნაკადების პროგნოზებს იყენებს. ჯგუფმა შემოსავლების მიდგომა გამოიყენა ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდის გამოყენებით. გამოყენების ღირებულების გამოთვლისთვის გამოყენებული დაშვებები, რომლების მიმართაც ანაზღაურებადი ღირებულება ყველაზე მგრძნობიარეა, იყო საპროგნოზო პერიოდის შემდგომი ზრდის ტემპები რვა წლის შემდეგ წლიური 3% (2019-ში 3%) და მოგების გადასახადით დაბეგვრის შემდეგ არსებული WACC-კაპიტალის შეწონილი საშუალო ღირებულება-წლიური 12.5% (2019-ში 14.6%)

ჯგუფი გაყიდვების მოცულობას პროგნოზირებს მოსწავლეთა რეალური რაოდენობისა და სკოლების არსებული შესაძლებლობების საფუძველზე, ბოლო სამი წლის შემოსავლების საშუალო რაოდენობის გათვალისწინებით. გაყიდვების ფასები ემყარება მოსწავლეებთან გაფორმებულ ხელშეკრულებას. საშუალო პროგნოზირებული ფასები გამომდინარეობს ფაქტობრივი საფასურიდან , რასაც ემატება საფასური ახალი მოსწავლეებისთვის.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ნებისმიერი სავარაუდო გონივრული შესაძლო ცვლილება იმ ძირითად დაშვებებში, რომელზედაც დაფუძნებულია ანაზღაურებადი თანხა, არ გამოიწვევს აგრეგირებული საბალანსო ღირებულების გადაჭარბებას ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აგრეგირებულ ანაზღაურებად ოდენობაზე.

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სვაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაშთები იყო შემდეგი:

ათასი ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
მოთხოვნები სწავლებისთვის	1,101	573
სხვა მოთხოვნები (*)	65	217
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	**1,166**	**790**
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(565)	(258)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**601**	**532**

(*) სხვა მოთხოვნების მსხვილი ნაწილი, 2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისაღებია თანამშრომლებისგან, რომლებიც შემდგომში, 2021 და 2020 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში, ამოღებულ იქნა.

მოძრაობა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხებში (შეფასებულია არსებობის მანძილის საფუძველზე გამარტივებული მიდგომით) 2020 და 2019 წლებისთვის შემდეგია:

14 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

ათასი ლარი

	2020	2019
ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის 1 იანვრის მდგომარეობით	**258**	**–**
დამატებები საწარმოთა გაერთიანების მეშვეობით	–	(159)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის ანარიცხის დარიცხვა	(307)	(99)
ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**(565)**	**(258)**

ჯგუფი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისათვის ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას იყენებს, რომელიც გულისხმობს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად ინდივიდუალური შეფასების მიდგომაა გამოყენებული.

გამარტივებული მიდგომის გამოყენების დეტალებისთვის, იხილეთ შენიშვნა 23.

სწავლების სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ხანდაზმულობის ანალიზი შემდეგია:

2020 წლის 31 დეკემბერი	**არა-ვადაგადაცილებული**	**30-90 დღე**	**90-180 დღე**	**181-365 დღე**	**სულ**
მთლიანი საბალანსო ღირებულება	166	316	281	403	**1,166**
მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი	11%	20%	100%	50%	
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	18	63	281	203	**565**

2019 წლის 31 დეკემბერი	**არა-ვადაგადაცილებული**	**30-90 დღე**	**90-180 დღე**	**181-365 დღე**	სულ
მთლიანი საბალანსო ღირებულება	291	228	271	–	**790**
მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი	4%	27%	68%	0%	–
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	12	62	184	–	**258**

2019 წლის 31 დეკემბერი	**არა-ვადაგადაცილებული**	**30-90 დღე**	**90-180 დღე**	**181-365 დღე**	სულ
მთლიანი საბალანსო ღირებულება	–	–	–	–	–
მოსალოდნელი ზარალის განაკვეთი	–	–	–	–	–
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	–	–	–	–	–

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არ შეიცავს პროცენტს.

15. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნაშთები შემდეგი იყო:

ათასი ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ხელზე არსებული ფულადი სახსრები ადგილობრივ ვალუტაში	5	108
ხელზე არსებული ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში	9	8
მოთხოვნამდე საბანკო ნაშთების ვალდებულებები ადგილობრივ ვალუტაში	1,835	2,278
მოთხოვნამდე საბანკო ნაშთების ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში	4,458	121
ვადიანი დეპოზიტები საკრედიტო ინსტიტუტებთან	92	2,618
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**6,399**	**5,133**

მიმდინარე ანგარიშებს ერიცხებათ ყოველწლიური პროცენტი ლარში 8%-8.5% -ის ოდენობით და დოლარში 1.5 %-ის ოდენობით 2020 და 2019 წლების განმავლობაში. ბანკებში განთავსებულ თანხებზე პროცენტმა სულ შეადგინა 191 ათასი და 97 ათასი ლარი 2020 და 2019 წლების განმავლობაში. ჯგუფის ფულადი სახსრები ბანკში განთავსებული იყო ბანკში, რომელსაც Fitch Ratings-ის მიხედვით BB- რეიტინგი აქვს 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

16. საწესდებო კაპიტალი და არამაკონტროლებელი წილი

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალმა შეადგინა 56,882 ათასი და 56,785 ათასი, შესაბამისად.

2020 წლის განმავლობაში ფულადი სახსრების შენატანმა საწესდებო კაპიტალში შეადგინა 97 ათასი ლარი, ხოლო 2019 წლის განმავლობაში ჯგუფის აქციონერებმა 56,785 ათასი ლარი შეიტანეს ჯგუფის საწესდებო კაპიტალში, აქედან 314 ათასი ლარი ნაღდი ანგარიშსწორებით, 14,155 ათასი ლარი მიწის ნაკვეთების სახით და 42,316 ათასი ლარი კომპანიის შემენის სახით (შენიშვნა 3).

2020 და 2019 წლების განმავლობაში ჯგუფს არ გაუნაწილებია რაიმე დივიდენდი.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი შეიცავს ინფორმაციას თითოეული შვილობილი კომპანიის შესახებ, რომელსაც გააჩნია არამაკონტროლებელი ინტერესი, რაც ჯგუფისათვის არსებითია:

ათასი ლარი	საქმიანობის ადგილი (და დაარსების ქვეყანა, თუ ის განსხვავებულია)	არამაკონტროლებელი წილის პროპორცია	არამაკონტროლებელი წილის მიერ ფლობილი ხმის უფლებების პროპორცია	მოგება ან ზარალი, რომელიც მიკუთვნება დია არამაკონტროლებელი წილისადმი	არამაკონტროლებელი წილის მიერ შვილობილ საწარმოში განხორციელებული შენატანი	არამაკონტროლებელი წილისთვის გადახდილი დივიდენდები წლის განმავლობაში	შვილობილ კომპანიაში დაგროვილი არამაკონტროლებელი წილი
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი							
BGA და BIST	საქართველო	30%	30%	2,012	1,580	-	3,592
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი							
BGA და BIST	საქართველო	30%	30%	1,307	(37)	-	1,270

	31 დეკემბრის მდგომარეობით				31 დეკემბერს დასრულებული წელი			
ათასი ლარი	მოკლევადიანი აქტივები	გრძელვადიანი აქტივები	მოკლევადიანი ვალდებულებები	გრძელვადიანი ვალდებულებები	ამონაგები	მოგება/ (ზარალი)	სულ სრული შემოსავალი	ფულადი ნაკადები
2020								
BGA და BIST	5,082	27,767	17,021	9,958	17,348	4,229	4,229	901
2019								
BGA და BIST	4,248	23,976	15,317	11,264	7,361	1,576	1,576	(527)

17. ნასესხები სახსრები

2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნასესხები სახსრების ნაშთები იყო შემდეგი:

ათასი ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
მოკლევადიანი	3,871	2,819
გრძელვადიანი	21,076	16,990
სულ	**24,947**	**19,809**

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნასესხებ სახსრებში შედის ოთხი და სამი სესხი საქართველოს ბანკისგან, რომლებიც დენომინირებულია აშშ დოლარში შეწონილი საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთით 8.0% და 8,4%, შესაბამისად. სესხები უზრუნველყოფილია ჯგუფის ყველა არსებული ძირითადი საშუალებებით (იხ. შენიშვნა 10).

18. სავაჭრო და სხვა ვალდებულება

ათასი ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ვალდებულებები შეძენილი ძირითადი საშუალებებისთვის	1,804	3,646
დარიცხული ვალდებულებები და სხვა კრედიტორები	514	598
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულება	**2,318**	**4,244**

19. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების შეჯერება

ათასი ლარი	იჯარის ვალდებულება	ნასესხები სახსრები	სულ
2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	–	–	–
დამატებები საწარმოთა გაერთიანების მეშვეობით	782	20,839	**21,621**
დარიცხული საფინანსო ხარჯი	45	459	**504**
გადახდილი პროცენტი	(45)	(382)	**(427)**
ნეტომდე დაყვანილი პროცენტი	–	(67)	**(67)**
პროცენტის კაპიტალიზება (b)	–	81	**81**
კაპიტალიზებული პროცენტის დაფარვა (b)	–	(73)	**(73)**
ნასესხები სახსრების დაფარვა	(121)	(918)	**(1,039)**
ნეტომდე დაყვანილი ძირი თანხა		(151)	**(151)**
ნასესხები სახსრებიდან მიღებული შემოსულობები	–	295	**295**
სავალუტო ზარალი	59	(274)	**(215)**
2019 წლის 31 დეკემბერი	**720**	**19,809**	**20,529**
დარიცხული საფინანსო ხარჯი	108	1,297	**1,405**
გადახდილი პროცენტი	(70)	(1,285)	**(1,355)**
პროცენტის კაპიტალიზება (b)	–	83	**83**
კაპიტალიზებული პროცენტის დაფარვა (b)	–	(83)	**(83)**
ნასესხები სახსრების დაფარვა	–	(1,521)	**(1,521)**
ნეტომდე დაყვანილი ძირი თანხა		(116)	**(116)**
ნასესხები სახსრებიდან მიღებული შემოსულობები	–	2,753	**2, 753**
სავალუტო ზარალი	–	4,089	**4,089**
სესხის მოდიფიცირების გამო მიღებული შემოსულობა	–	(66)	**(66)**
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**758**	**24,960**	**25,718**

(a) ჯგუფს ჰქონდა საიჯარო ხელშეკრულება სკოლის ავტობუსებზე 3 წლით, 2016 წლის ნოემბრიდან 2019 წლის ნოემბრამდე. ჯგუფს ასევე აქვს იჯარის ხელშეკრულება დამატებით შენობებსა და გარე სივრცეებზე, რომლებიც გამოიყენება მის საქმიანობაში 50 წლიანი საიჯარო ვადით.

(b) 2020 წლის განმავლობაში საპროცენტო ხარჯები 81 ათასი ლარის ოდენობით (2019 წელს 26 ათასი ლარი) კაპიტალიზირდა როგორც მშენებარე ძირითადი საშუალების ნაწილი. კაპიტალიზაციის მაჩვენებლები იყო 7.4% და 7.9%, შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბერს და 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის.

20. დარიცხვები და სხვა ვალდებულებები

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარიცხვები და სხვა ვალდებულებები მოიცავს მოსწავლეთა საგარანტიო დეპოზიტებს, საგადასახადო ვალდებულებებს და დასაქმებულთა სარგებელს.

ათასი ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
არამაკონტროლებელი წილის ფუთ-ოფციონთან დაკავშირებული ვალდებულება (a)	7,271	4,358
მოსწავლეთა დეპოზიტები (b)	1,707	1,445
დარიცხვები დასაქმებულთა სარგებლისთვის	1,051	810
საგადასახადო ვალდებულებები	1,839	2,461
შპს თბილისის მწვანე სკოლის შეძენისას დარიცხული პირობითი კომპენსაციის ვალდებულება	736	656
სულ დარიცხვები და ვალდებულებები	**12,604**	**9,730**

(a) 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფმა აღიარა ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია შპს თბილისის მწვანე სკოლის და შპს მწვანე სკოლის არამაკონტროლებელი წილების ფუთ- ოფციონთან, რაც მათ აძლევს უფლებას ჯგუფს მიჰყიდონ აქციები. ოფციონის რეალიზაციის ფასი გამოითვლება წინასწარ განსაზღვრული EBITDA კოეფიციენტის და წმინდა ვალის გამოყენებით. ოფციონების გამოყენება შესაძლებელია 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 1 ივლისამდე. ფულადი სახსრების გადინების დისკონტირებული ღირებულება, რომელიც აღიარებულია როგორც ვალდებულება, შეადგენს 2,261 ათას ლარს (2019: 2,003 ათასი ლარი).

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფმა აღიარა ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა-თბილისის არამაკონტროლებელი წილების ფუთ- ოფციონთან, რაც მათ აძლევს უფლებას ჯგუფს მიჰყიდონ აქციები. ოფციონის რეალიზაციის ფასი გამოითვლება წინასწარ განსაზღვრული EBITDA კოეფიციენტის და წმინდა ვალის გამოყენებით. ოფციონების გამოყენება შესაძლებელია 2024 წლის 1 ივლისიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე. ფულადი სახსრების გადინების დისკონტირებული ღირებულება, რომელიც აღიარებულია როგორც ვალდებულება, შეადგენს 4,010 ათას ლარს (2019: 2,355 ათასი ლარი).

(b) საგარანტიო დეპოზიტები წარმოადგენს მოსწავლეთა ჩარიცხვისთანავე განხორციელებულ ერთჯერად გადახდებს და ის სრულად ანაზღაურდება, როდესაც მოსწავლე დატოვებს სკოლას. იმ შემთხვევაში, თუ სკოლებს მიადგებათ რაიმე ზიანი, რომელზედაც პასუხისმგებელია მოსწავლე, ზიანის თანხა დაფინანსდება საგარანტიო დეპოზიტის საშუალებით. დამამთავრებელი კლასების მოსწავლეთათვის შესაბამისი სადეპოზიტო თანხა შესულია მოკლევადიან ვალდებულებებში (13 ათასი 2020 წლის 31 დეკემბერს და 4 ათასი 2019 წლის 31 დეკემბერს).

21. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს ქოლ- ოფციონს, რომელიც წარმოადგენს შპს თბილისის მწვანე სკოლის დარჩენილი 20% სააქციო წილის არამაკონტროლებელი წილის შეძენის ოფციონს შპს თბილისის მწვანე სკოლის წინასწარ განსაზღვრულ EBITDA კოეფიციენტის და წმინდა ვალის საფუძველზე. ჯგუფმა ბინომინალური მოდელი გამოიყენა ოფციონის შესაფასებლად. ოფციონის გამოყენება შესაძლებელია 2025 წლის 1 ივლისიდან 2025 წლის 31 დეკემბრამდე. დასაფარი ოფციონის რეალური ღირებულება აღიარებული იქნა როგორც აქტივი 1,225 ათასი ლარის ოდენობით (2019 წელი: 469 ათასი ლარი). იხილეთ შენიშვნა:

ათასი ლარი	მოთხოვნა და ერთ თვეზე ნაკლები	1-დან 6 თვემდე	6-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	ხუთ წელზე მეტი	სულ
2020 წლის 31 დეკემბერი						
შეძენილი ქოლ-ოფციონები	-	-	-	1,225	-	**1,225**
სულ პოტენციური ფულადი ნაკადების გადინება						
2019 წლის 31 დეკემბერი						
შეძენილი ქოლ-ოფციონები	-	-	-	469	-	**469**
სულ პოტენციური ფულადი ნაკადების გადინება						

22. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, დამატებითი გადასახადების, ჯარიმებისა და საურავების მიმართ არანაირი ვალდებულება არ შეიძლება იყოს დაკისრებული საგადასახადო ორგანოების მიერ მას შემდეგ, რაც გავა სამი წელი იმ წლის ბოლოდან, როდესაც დარღვევას ადგილი ჰქონდა.

ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ მას ადექვატური უზრუნველყოფა აქვს საგადასახადო ვალდებულებებისთვის, ახალი და ოფიციალური დოკუმენტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებებისთვის. თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები, შესაძლოა იყოს განსხვავებული და გავლენა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებზე, თუკი ორგანოები წამატებით მოიყვანენ მოქმედებაში მათ ინტერპრეტაციებს, შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს.

დაზღვევა. საქართველოში სადაზღვევო ინდუსტრია ვითარდება და მსოფლიოს სხვა ნაწილებში გავრცელებული სადაზღვევო დაცვის მრავალი ფორმა ჯერ კიდევ არ არის ხელმისაწვდომი. ჯგუფს არ გააჩნია მისი ქონების ან საქმიანობის შეჩერების სრული სადაზღვევო დაფარვა. სანამ ჯგუფი მიიღებს სათანადო სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი, რომ გარკვეული აქტივების დაკარგვამ ან განადგურებამ შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჯგუფის საქმიანობაზე და ფინანსურ მდგომარეობაზე.

22 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები (გაგრძელება)

საიჯარო გადახდასთან დაკავშირებული სასამართლო დავა. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს სასამართლო დავა აქვს იჯარის გადახდასთან დაკავშირებით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ჯგუფმა გადარიცხა 400 ათასი ლარი გარანტიის სახით, რომელიც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია შეზღუდული ფულადი სახსრების სახით.

საქმე დაიხურა 2020 წელს და ჯგუფს დაუბრუნდა 400 ათასი ლარი, ხოლო ჯგუფმა მოსარჩელეს გადასცა 322 ათასი ლარი.

საგადასახადო ინსპექციის შედეგები. 2016 და 2017 წლებში საქართველოს შემოსავლების სამსახურმა გამოსცა 2012-2016 წლების საგადასახადო შემოწმების აქტი. ამ აქტის თანახმად, საქართველოს შემოსავლების სამსახურმა მიიღო ბრიტანულ ქართული აკადემიის გადასახადები და ჯარიმები 1,816 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც მოიცავს საგადასახადო ძირ თანხას 885 ათასი ლარისა და საგადასახადო ჯარიმას 930 ათასი ლარის ოდენობით. ჯგუფმა გაასაჩივრა საქართველოს შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილება საქართველოს შემოსავლების სამსახურის დავების საბჭოში. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების დღის მდგომარეობით, საქმე გადაეცა სასამართლოს და ამ დონეზე გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის. ჯგუფმა სასამართლო დავებისთვის შექმნა ანარიცხები ფასს -ის შესაბამისად.

23. ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს პროცენტის შემცველ სესხს და ნასესხებს სახსრებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ვალდებულებების მთავარი მიზანია დააფინანსო ჯგუფის საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობები. ჯგუფის ძირითადი ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს, რომლებიც წარმოიქმნება პირდაპირ მისი ოპერაციებიდან.

ჯგუფი ექვემდებარება საკრედიტო რისკს, ლიკვიდურობის რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სავალუტო რისკს.

სავალუტო რისკი.. სავალუტო რისკთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა ადგენს ზღვრებს რისკისადმი დაქვემდებარების დონის მიხედვით თითოეულ ვალუტაზე და სულ, ორივესთვის, ერთი ღამის ფარგლებში და ერთი დღის ფარგლებში პოზიციებისთვის, რომლებიც ყოველდღიურ მონიტორინგს ექვემდებარება.

23 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჯამებს ჯგუფის უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის რისკებისადმი დაქვემდებარებას საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

ათასი ლარი	2020 წლის 31 დეკემბერი აშშ დოლარი აშშ დოლარი 1 = 3.2766 ₾	2020 წლის 31 დეკემბერი ევრო ევრო 1 = 4.0233 ₾	2020 წლის 31 დეკემბერი გირვანქა სტერლინგი გირვანქა სტერლინგი 1 = 4,4811 ₾	2019 წლის 31 დეკემბერი აშშ დოლარი აშშ დოლარი 1 = 2.8677 ₾	2019 წლის 31 დეკემბერი ევრო ევრო 1 = 3.2095 ₾	2019 წლის 31 დეკემბერი გირვანქა სტერლინგი გირვანქა სტერლინგი 1 = 3.3955 ₾
ფინანსური აქტივები						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4,445	32	–	164	82	6
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	350	–	341	291	–	131
სულ ფინანსური აქტივები	**4,795**	**32**	**341**	**455**	**82**	**137**
ფინანსური ვალდებულებები						
ნასესხები სახსრები	12,257	12,679	–	9,356	10,365	–
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	434	2	109	3,448	4	–
მოსწავლეთა დეპოზიტები	1,707	–	–	1,455	–	–
სულ ფინანსური ვალდებულებები	**14,398**	**12,681**	**109**	**14,259**	**10,369**	**–**
სულ წმინდა პოზიცია	**(9,603)**	**(12,649)**	**232**	**(13,804)**	**(10,287)**	**137**

23 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოყვანილი ანალიზი ითვლის სავალუტო კურსის გონივრულად შესაძლო მოძრაობის გავლენას ქართული ლარზე, ხოლო ყველა სხვა ცვლადი რჩება უცვლელი მოგების ან ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ნეგატიური თანხა ცხრილში, ასახავს მოგების ან ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ან საკუთარ კაპიტალში წმინდა შემცირებას, ხოლო დადებითი თანხა ასახავს წმინდა პოტენციურ ზრდას.

.ათასი ლარი	ცვლილება სავალუტო განაკვეთში %	გამყარება	გაუფასურება
2020 წლის 31 დეკემბერი			
აშშ დოლარი	10.00%	(962)	962
ევრო	10.00%	(1,263)	1,263
გირვანქა სტერლინგი	10.00%	23	(23)
2019 წლის 31 დეკემბერი			
აშშ დოლარი	10.00%	(1,380)	1,380
ევრო	10.00%	(1,029)	1,029
გირვანქა სტერლინგი	10.00%	14	(14)

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება იმის ალბათობით, რომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები გავლენას მოახდენს სამომავლო ფულადი სახსრების მოძრაობაზე ან ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებებზე. თუმცა, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები გავლენას არ ახდენს ჯგუფის ფინანსური აქტივების ან ვალდებულებების რომელიმე კომპონენტზე. პროცენტის შემცველ ყველა სესხს და ნასესხებ სახსრებს და ფულადი სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს აქვთ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთები და, შესაბამისად, ჯგუფი არ ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს ამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გამო.

საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი არის რისკი, როდესაც კონტრაჰენტი, ფინანსური ინსტრუმენტის ან კლიენტის ხელშეკრულების ვალდებულებების მეორე მხარისათვის შეუსრულებლობით, გამოიწვევს ფინანსურ ზარალს. ჯგუფი დაქვემდებარება საკრედიტო რისკს ბანკებში განთავსებული სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისა და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების გამო.

მოთხოვნები. მოთხოვნების ნაშთები მოიცავს სწავლების ამონაგების მოთხოვნებს. ჯგუფის დაქვემდებარებაზე საკრედიტო რისკის მიმართ გავლენას ახდენს ძირითადად თითოეული მომხმარებლის კრედიტუნარიანობა.

ჯგუფი ყველა მოთხოვნის საკრედიტო რისკს მართავს მოვალეებთან რეგულარული კომუნიკაციით. მნიშვნელოვანი შეფერხებების შემთხვევაში, ჯგუფი მომხმარებლისათვის აყალიბებს ინდივიდუალური გადახდების გრაფიკს სწავლის საფასურის მოთხოვნებისთვის.

ფულადი სახსრები მიმდინარე ანგარიშზე და მოკლევადიანი დეპოზიტები. ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს ფულადი სახსრების უმეტესი ნაწილის საქართველოში ცნობილ ბანკებში განთავსებით. ჯგუფის ხელმძღვანელობა მუდმივად აკონტროლებს ბანკების სტატუსს, სადაც დეპოზიტები ინახება, აგრეთვე მსხვილი მომხმარებლების სტატუსს და შესაბამისი მოთხოვნების მონიტორინგი ყოველდღიურად ხორციელდება.

2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკრედიტო რისკისადმი დაქვემდებარებამ სულ შეადგინა 1,020 ათასი ლარი, 6,976 ათასი ლარი და 5,436 ათასი ლარი, შესაბამისად.

23 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) შეფასება. ჯგუფი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის იყენებს ინდივიდუალური შეფასების მიდგომას, რადგან სავაჭრო მოთხოვნების პორტფელი შედგება შეზღუდული რაოდენობის მომხმარებლებისგან, რომლებსაც არ აქვთ საერთო საკრედიტო რისკების მახასიათებლები.

მოსალოდნელი ზარალის განაკვეთები ეფუძნება გაყიდვების გადახდების პროფილს 2020 წლის 31 დეკემბრამდე ან 2019 წლის 31 დეკემბრამდე 24 თვით ადრე დაწყებული პერიოდების განმავლობაში და შესაბამისი ისტორიული საკრედიტო ზარალის საფუძველზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ პერიოდის განმავლობაში ინდივიდუალური მომხმარებლებისთვის. ისტორიული ზარალის განაკვეთები კორექტირდება, რათა ასახული იყოს მიმდინარე და საპროგნოზო ინფორმაცია, რომელსაც გავლენა აქვს მომხმარებლის უნარზე, მოახდინოს მოთხოვნების ანგარიშსწორება, როგორიცაა ინდივიდუალური მომხმარებლის, მათი საქმიანობის სექტორის სამომავლო პერსპექტივები და საქართველოს ეროვნული ბანკის პუბლიკაციაზე დაფუძნებული მაკროეკონომიკური ფაქტორები.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს შეასრულოს გადახდის ვალდებულებები, როდესაც მათი დაფარვის დრო მოვა, ნორმალური და სტრესული გარემოებების პირობებში. ჯგუფი მართავს ლიკვიდურობის რისკს სათანადო რეზერვების, ბანკის და ნასესხები სახსრების რეზერვების საშუალებების შენარჩუნებით, პროგნოზირების და ფულადი სახსრების რეალური ნაკადების მუდმივი მონიტორინგით და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადების პროფილების შეთანხმებით.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მოკლევადიანმა აქტივებმა შეადგინა 7,578 ათასი ლარი, აქედან 6,399 ათასი ლარი წარმოადგენდა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს. ჯგუფის მოკლევადიანმა აქტივებმა, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადააჭარბა მის მოკლევადიან ვალდებულებებს გადავადებული შემოსავლის გამოკლებით (რომლის ანგარიშსწორებაც არ ხდება ნაღდი ფულით). შესაბამისად, ხელმძღვანელობა მტკიცედ მიიჩნევს, რომ ჯგუფს არ შეექმნება ლიკვიდურობის პრობლემა და არ არსებობს მნიშვნელოვანი რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ახლო მომავალში საქმიანობის გაგრძელებასთან.

შემდეგ ცხრილებში მოცემულია ჯგუფის დარჩენილი სახელშეკრულებო დაფარვის ვადები მისი არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებებისათვის, დაფარვის შეთანხმებული პერიოდებით. ცხრილები შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე, ჯგუფის მიერ გადახდის ყველაზე ადრეული თარიღის საფუძველზე. ცხრილებში შედის როგორც პროცენტის, ისე ძირითადი ფულადი სახსრების მოძრაობა. თუ საპროცენტო ნაკადებს გააჩნიათ მცოცავი სავალუტო კურსი, არადისკონტირებული თანხა იწარმოება საპროცენტო განაკვეთის მრუდიდან, საანგარიშო პერიოდის ბოლოს. სახელშეკრულებო ვადა ემყარება ყველაზე ადრინდელ თარიღს, რომლის დროსაც ჯგუფს შეიძლება მოეთხოვოს გადახდა.

23 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ათასი ლარი	შეწონილი საშუალო, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი %	მოთხოვნამდე	3 თვეზე ნაკლები	3 თვიდან 1 წლამდე	1-5 წელი	5+ წელი	სულ	საბალანსო ღირებულება
2020 წლის 31 დეკემბერი								
ნასესხები სახსრები	7.4%	195	1,059	3,879	17,375	7,522	30,030	24,947
სავაჭრო და სხვა ვალდებულება		42	335	1,941	–	–	2,318	2,328
იჯარის ვალდებულება		38	–	–	–	720	758	758
სულ		**275**	**1,394**	**5,820**	**17,375**	**8,242**	**33,106**	**28,033**
2019 წლის 31 დეკემბერი								
ნასესხები სახსრები	7.7%	156	727	2,702	14,392	7,206	25,183	19,809
სავაჭრო და სხვა ვალდებულება		31	850	270	4,546	–	5,697	4,244
იჯარის ვალდებულება		–	–	–	–	720	720	720
სულ		**187**	**1,577**	**2,972**	**18,938**	**7,926**	**31,600**	**24,773**

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულების შეფასებები მიზნად ისახავს იმ თანხის მიახლოებით შეფასებას, რომელზედაც ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა შესაძლებელია საკითხში კარგად გათვითცნობიერებულ მხარეებს შორის ნებაყოფლობითი, „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით შესრულებული ოპერაციის დროს. თუმცა გაურკვევლობების და სუბიექტური განსჯის გამოყენების გათვალისწინებით, რეალური ღირებულება არ უნდა იქნეს განმარტებული, როგორც რეალიზებადი, აქტივების დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების დაფარვისას.

ჯგუფის ყველა ფინანსური აქტივი (მოთხოვნები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები) და ფინანსური ვალდებულებები (ვალდებულებები) არის მოკლევადიანი და, შესაბამისად, საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ რეალური ღირებულებას.

ნასესხები სახსრების საბალანსო ღირებულება და იჯარის ვალდებულება უახლოვდება რეალურ ღირებულებას. ფუთ და ქოლ ოფციონებისთვის იხილეთ შენიშვნები 20 და 21.

24. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას, ჯგუფის მიზანი არის მისი უნარის დაცვა, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისათვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ხარჯი. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან შესწორების მიზნით, ჯგუფს შეუძლია შეცვალოს აქციონერებისათვის გადახდილი დივიდენდების ოდენობა, დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერებს ან გაყიდოს აქტივები სესხის შემცირების მიზნით.
კაპიტალის ოდენობა, რომელიც ჯგუფმა მართა 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იყო 53,554 ათასი ლარი და 55,493 ათასი ლარი, შესაბამისად.

25. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

Covid-19 -ის მოვლენები.. 2020 წლის ნოემბრიდან 2021 წლის თებერვლის შუა რიცხვებამდე საქართველოს განათლების სამინისტრომ აკრძალა დასწრებული სწავლება COVID-19 პანდემიის გამო.. 2021 წლის 15 თებერვალს განახლდა დასწრებული სწავლება და ამჟამად ჯგუფი აგრძელებს ჩვეულებრივ საქმიანობას. იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდვები კიდევ ერთხელ დაწესდება, ჯგუფი გეგმავს დისტანციურად მუშაობას და მოსწავლეთათვის გადასახადების შემცირებას, დისტანციური სწავლების გამო ოპერაციული ხარჯების შემცირების პროპორციულად.

26. ინფორმაცია სეგმენტის შესახებ

მართვის მიზნებისთვის, ჯგუფი ორგანიზებულია შემდეგ ოპერაციულ სეგმენტებად: სკოლები, რომლებიც ფუნქციონირებენ პრემიუმ, საშუალო და ხელმისაწვდომი კერძო განათლების ბაზრებზე და კორპორაციულ ცენტრებში. მმართველი საბჭო წარმოადგენს მთავარ საოპერაციო გადაწყვეტილებების მიმღებს და ის მონიტორინგს უწევს მისი სეგმენტების მუშაობას, რესურსების განაწილებისა და შესრულების შეფასების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების მიზნით. სეგმენტის საქმიანობის შედეგები, როგორც ეს ქვემოთ არის განმარტებული, ფასდება ფასს სტანდარტების მიხედვით, ისევე, როგორც მოგება ან ზარალი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა პრემიუმ და საშუალო დონის სეგმენტების ფუნქციონალური მიმდინარეობისა, სადაც მოგება ან ზარალი ფასდება ისე, თითქოს სამუშაო ვალუტა აშშ დოლარი და გირვანქა სტერლინგი ყოფილიყო.

- პრემიუმი: პრემიუმ სეგმენტს წარმოადგენს ბრიტანულ-ქართული აკადემია და თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლა
- საშუალო: წარმოდგენილია ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლით
- ხელმისაწვდომი: წარმოდგენილია მწვანე სკოლით;
- კორპორაციული ცენტრი: კორპორაციული ცენტრი წარმოდგენილია შპს საქართველოს განათლების ჯგუფით, რომელიც არ წარმოადგენს საოპერაციო სეგმენტს

შესრულების შესაფასებლად და გადაწყვეტილების მიღებისათვის ხელმძღვანელობა აკვირდება ამონაგებსა და მოგებას საფინანსო ხარჯებამდე და საფინანსო შემოსავლამდე, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე, ცვეთა და ამორტიზაციამდე, ისე, თითქოს სამუშაო ვალუტა ის ვალუტაა, რომელშიც სწავლის საფასური დენომინირებულია ცალკეული სეგმენტისთვის: აშშ დოლარი პრემიუმ სეგმენტისთვის, ბრიტანული გირვანქა სტერლინგი საშუალო დონის სეგმენტისთვის და ქართული ლარი ხელმისაწვდომი სეგმენტისთვის. აშშ დოლარით და გირვანქა სტერლინგით შესრულებული გარიგებები ლარში გადაიყვანება ეროვნული ბანკის მიერ, გარიგების თარიღისათვის განსაზღვრული ოფიციალური კურსით. ვინაიდან სწავლის საფასური მიიღება წინასწარ და ამონაგები სწავლებიდან აღიარდება დროთა განმავლობაში, სავალუტო კურსის რყევა გავლენას ახდენს ამონაგების მაჩვენებელზე. სეგმენტებს შორის გარიგებები აღირიცხება ფაქტობრივი გარიგების ფასებით.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილები წარმოგიდგენთ შემოსავლების ანგარიშგების ინფორმაციას ჯგუფის საოპერაციო სეგმენტებთან დაკავშირებით:

26. ინფორმაცია სეგმენტის შესახებ (გაგრძელება)

ათასი ლარი	პრემიუმი	საშუალო	ხელმისაწვდომი	კორპორაციული ცენტრი	სულ	შეკვრებული მუხლები **	ფასს ფინანსური ანგარიშგება
2020							
ამონაგები და შემოსავალი	18,589	4,949	3,777	-	27,315	(1,521)	25,794
ხელფასები და დასაქმებულთა სარგებელი	(9,395)	(2,264)	(2,071)	-	(13,730)	(11)	(13,741)
ტრანსპორტირების ხარჯი	(60)	(119)	-	-	(179)	(1)	(180)
საკვები მომსახურებისთვის	(194)	(80)	(106)	-	(380)	-	(380)
საგანმანათლებლო პორტალების გამოწერა	(155)	-	-	-	(155)	-	(155)
საგანმანათლებლო მოგზაურობები	(74)	(42)	-	-	(116)	-	(116)
სასკოლო ფორმები	-	(175)	-	-	(175)	(5)	(180)
იურიდიული და სხვა პროფესიონალური მომსახურება	(150)	(152)	(61)	(78)	(441)	(1)	(442)
საგანმანათლებლო მასალები	(86)	(119)	-	-	(205)	(4)	(209)
ზაფხული სკოლის ხარჯები	-	(40)	-	-	(40)	(1)	(41)
კომუნალურები	(128)	(42)	(50)	-	(220)	(2)	(222)
საოპერაციო გადასახადები	(194)	(38)	(29)	(113)	(374)	(15)	(389)
საკანცელარიო ხარჯები	(131)	(19)	(24)	-	(174)	-	(174)
რემონტი და მოვლა-შენახვა	(176)	(9)	(41)	-	(226)	(1)	(227)
ანარიცხი სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისთვის	(152)	(30)	(135)	-	(317)	-	(317)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(389)	(166)	(111)	(4)	(670)	(3)	(673)
მოგება საფინანსო ხარჯებამდე და საფინანსო შემოსავლამდე, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე, ცვეთა და ამორტიზაციამდე, სავალუტო ზარალამდე, ხელმძღვანელობის ხელშეკრულების შეწყვეტამდე, საპროცენტო ხარჯის აღდგენამდე, სავალუტო ზარალამდე და ქოლ-ოფციონის რეალური ღირებულების ხელახალ შეფასებამდე	**7,305**	**1,654**	**1,149**	**(195)**	**9,913**	**(1,565)**	**8,348**
სავაჭრო ვალდებულებაზე დარიცხული საპროცენტო ხარჯისა და სავალუტო ზარალის აღდგენა	1,109	-	-	-	1,109	-	1,109
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,419)	(347)	(230)	-	(1,996)	-	(1,996)
სავალუტო (ზარალი)/შემოსულობები	1	88	(1,068)	(1)	(980)	-	(980)
საფინანსო ხარჯი	(661)	(492)	(318)	(13)	(1,484)	-	(1,482)
საფინანსო შემოსავალი	192	36	30	-	258	-	258
ქოლ-ოფციონის რეალური ღირებულების ხელახლა შეფასება	-	-	(1)	756	755	-	755
მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე	**6,527**	**939**	**(438)**	**547**	**7,575**	**(1,565)**	**6,012**
მოგების გადასახადი	-	-	-	-	-	-	-
წლის მოგება	**6,527**	**939**	**(438)**	**547**	**7,575**	**(1,565)**	**6,012**

26 ინფორმაცია სეგმენტის შესახებ (გაგრძელება)

ათასი ლარი	პრემიუმი	საშუალო	ელემისაწ ვდომი	კორპო რაციუ ლი ცენტრი	სულ	შეჯერ ებულ ი მუხლ ები **	ფასს ფინანს ური ანგარი შგება
2019							
ამონაგები და შემოსავალი	7,747	2,411	1,769	-	11,927	(457)	11,470
ხელფასები და დასაქმებულთა სარგებელი	(3,869)	(1,002)	(907)	-	(5,778)	10	(5,768)
ტრანსპორტირების ხარჯი	(61)	(155)	-	-	(216)	(2)	(218)
საკვები მომსახურებისთვის	(214)	(169)	(128)	-	(511)	1	(510)
სავაჭრო პორტალების გამოწერა	(108)	-	-	-	(108)	-	(108)
სავაჭრო მოგზაურობები	(65)	(142)	-	-	(207)	(1)	(208)
საკვლო ფორმები	-	(153)	-	-	(153)	(4)	(157)
ოპერაციული და სხვა პროფესიონალური მომსახურება	(44)	(99)	(25)	(191)	(359)	-	(359)
სავაჭრო მასალები	(50)	(117)	-	-	(167)	(2)	(169)
ზაფხული სკოლის ხარჯები	-	(45)	-	-	(45)	-	(45)
კომუნალურები	(65)	(18)	(34)	-	(117)	-	(117)
საოპერაციო გადასახადები	(75)	(23)	(8)	-	(106)	-	(106)
საკანცელარიო ხარჯები	(87)	(49)	(30)	-	(166)	-	(166)
რემონტი და მოვლა-შენახვა	(67)	(24)	(29)	-	(120)	(1)	(121)
ანარიცხი სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისთვის	(59)	(14)	(38)	-	(111)	-	(111)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(304)	(122)	(56)	-	(482)	(4)	(486)
მოგება საფინანსო ხარჯებამდე და საფინანსო შემოსავლამდე, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე, ცვეთა და ამორტიზაციამდე, სავალუტო ზარალამდე, ხელმძღვანელობის ხელშეკრულების შეწყვეტამდე, საპროცენტო ხარჯის აღდგენამდე, სავალუტო ზარალამდე	**2,679**	**279**	**514**	**(191)**	**3,281**	**(460)**	**2,821**
სავაჭრო ვალდებულებაზე დარიცხული საპროცენტო ხარჯისა და სავალუტო ზარალის აღდგენა	-	-	-	-	-	-	-
ცვეთა და ამორტიზაცია	(651)	(150)	(72)	-	(873)	-	(873)
სავალუტო (ზარალი)/შემოსულობები	(61)	48	15	-	2	-	2
საფინანსო ხარჯი	(399)	(151)	(111)	-	(661)	-	(661)
საფინანსო შემოსავალი	23	11	2	-	36	-	36
ქოლ-ოფციონის რეალური ღირებულების ხელახლა შეფასება	-	12	(19)	-	(7)	-	(7)
მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე	**1,591**	**49**	**329**	**(191)**	**1,778**	**(460)**	**1,318**
მოგების გადასახადი	-	-	-	-	-	-	-
წლის მოგება	**1,591**	**49**	**329**	**(191)**	**1,778**	**(460)**	**1,318**

** ფუნქციური ვალუტის მქონე ფინანსურ ინფორმაციას შორის სხვაობა ლარში და აშშ დოლარსა და გირვანქა-სტერლინგში.

26. ინფორმაცია სეგმენტის შესახებ (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია საბალანსო უწყისის ინფორმაცია ჯგუფის საქმიანობის სეგმენტებთან დაკავშირებით:

ათასი ლარი	პრემიუმი	საშუალო	ხელმისაწვდომი	კორპორაციული ცენტრი	სულ	შეჯერებული მუხლები **	ფასს ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერი							
სულ გრძელვადიანი აქტივები	59,287	17,194	11,102	15,380	102,963	-	102,963
სულ მოკლევადიანი აქტივები	5,083	1,239	1,238	(37)	7,523	-	7,523
სულ აქტივები	**64,370**	**18,433**	**12,340**	**15,343**	**110,486**	**-**	**110,486**
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	9,958	8,719	5,166	8,007	31,850	-	31,850
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	17,021	3,106	1,374	(11)	21,490	-	21,490
სულ ვალდებულებები	**26,979**	**11,825**	**6,540**	**7,996**	**53,340**	**-**	**53,340**
2019 წლის 31 დეკემბერი							
სულ გრძელვადიანი აქტივები	55,496	17,142	11,200	14,624	98,462	-	98,462
სულ მოკლევადიანი აქტივები	4,247	1,669	773	6	6,695	-	6,695
სულ აქტივები	**59,743**	**18,811**	**11,973**	**14,630**	**105,157**	**-**	**105,157**
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	11,264	7,596	4,379	5,014	28,253	-	28,253
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	15,317	3,418	1,406	-	20,141	-	20,141
სულ ვალდებულებები	**26,581**	**11,014**	**5,785**	**5,014**	**48,394**	**-**	**48,394**

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N211072988
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	27.09.2021 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	სალომე სალუქვაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, I სართული, კომერციული ფართი #4, 3ა
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	577921111
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	29461646918521

ორიათას ოცდაერთი წლის ოცდაშვიდ სექტემბერს, მე, სალომე სალუქვაძე, ნოტარიუსი ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, 1 სართული, კომერციულ ფართ #4, 3ა-ში, ვამოწმებ თარჯიმნის ქეთევან ბეჟიტაშვილის, დაბ. 09.04.1979წ. პირადი #01018003510, პირადობის მოწმობა #11IB13032 /დიპლომი #AA 0067541, გაცემული ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2001წ./ ხელმოწერის ნამდვილობას, მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის - საქართველოს განათლების ჯგუფი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2020 წლის 31 დეკემბერი. მე ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ იგი პასუხს აგებს თარგმნის სისწორეზე. მან დამიდასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყოფს თარგმნის სიზუსტეს. თარგმანი შესრულებულია ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე.

გადახდილია საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს მიღებული #507-ე დადგენილების 31.3-ე მუხლის თანახმად 116.00 ლარი და 39.1. მუხლის თანახმად ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის 2.00 ლარი. სულ გადახდილია 118 (ასთვრამეტი) ლარი.

ნოტარიუსი სალომე სალუქვაძე

საქართველო NOTARY GEORGIA

54805

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმებას შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18



საქართველოს განათლების ჯგუფის

2020 წლის მმართველობის ანგარიშგება

1. კომპანიის ძირითადი საქმიანობა და განვითარების გეგმები

სს საქართველოს განათლების ჯგუფი

სს საქართველოს განათლების ჯგუფი (შემდგომში, „ჯგუფი“) საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ დაარსდა 2019 წლის 7 ივლისს. ჯგუფის პირდაპირი მფლობელი არის საინვესტიციო კომპანია სს საქართველოს კაპიტალი, რომელმაც 2019 წლიდან გადაწყვიტა განათლების სექტორში შესვლა.

განათლების სეგმენტში ჯგუფს აქვს დივერსიფიცირებული პორტფელი, რომელიც აერთიანებს სკოლებსა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს სამი სხვადასხვა სეგმენტიდან: პრემიუმი, საშუალო და ხელმისაწვდომი.

- პრემიუმ სეგმენტი წარმოდგენილია შპს ბრიტანულ-ქართული აკადემიის სახით, რომლის 70%-ის შეძენა 2019 წლის 23 ივლისს მოხდა;
- საშუალო სეგმენტს წარმოადგენს შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისი, რომლის 80%-ის შესყიდვა მოხდა 2019 წლის 29 ივლისს.
- ხელმისაწვდომი სეგმენტი კი შპს თბილისის მწვანე სკოლის სახით არის წარმოდგენილი, რომლის შესწყიდვაც 2019 წლის 22 აგვისტოს მოხდა.

შესაბამისად, 31 დეკემბრით დასრულებული 2019 და 2020 წლებისთვის, პარტნიორული შეთანხმებების სახით ჯგუფის შემადგენლობაში იყო სამი სკოლა. პარტნიორული შეთანხმებების საფუძველზე, სკოლების ყოფილი მფლობელები გახდნენ უმცირესობის წილის აქციონრები, რომლებიც მართავენ სკოლების ყოველდღიურ ოპერაციებს და კომპანიების განვითარებაზე არიან პასუხისმგებელნი.

ამჟამად სამივე სკოლას ჯამურად შეუძლია დაიტიოს 2,810 მოსწავლე (6% საბაზრო წილი თბილისის კერძო სკოლებში), ჯგუფის მიზანი კი არის 2025 წლისთვის ტევადობის 6,000 მოსწავლემდე გაზრდა არსებულ სკოლებში, ხოლო ახალი შესყიდვების საშუალებით 15,000 მოსწავლემდე.

ქვემოთ მოცემულია დეტალური ინფორმაცია თითეული სკოლის საქმიანობასა და განვითარების გეგმებზე ინდივიდუალურად.

შპს ბრიტანულ ქართული აკადემია

შპს ბრიტანულ ქართული აკადემია წარმოაგენს საქართველოს კანონმდებლობით დაფუძნებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (შემდგომში „ბრიტანულ- ქართული აკადემია“). კოპანია დაარსდა 2006 წელს და მისი სარეგისტრაციო ნომერია 204497829. კომპანიის ფაქტიური და იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ლეო კვაჭაძის ქ., №17. 2019 წელს ბრიტანულ ქართული აკადემიის ერთპიროვნულ მფლობელებს წარმოადგენდნენ ნათია ჯანაშია და სააქციო საზოგადოება საქართველოს კაპიტალი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელიც საშუალო სკოლის განათლებას მოიცავს. მას გააჩნია შესაბამისი საგანმანათლებლო ლიცენზია, რომელიც გასცა ზოგადსაგანმანათელო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ 2017 წელს 6 წლის ვადით დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების

1. კომპანიის ძირითადი საქმიანობა და განვითარების გეგმები (გაგრძელება)

განხორციელების მიზნით, სკოლის მისიაა მოსწავლეებს მისცეს საუკეთესო ხარისხის განათლება, რომელიც მათ 21-ე საუკუნის გამოწვევებისთვის მოამზადებს. ბრიტანულ-ქართული აკადემია ხელმძღვანელობს საქართველოს სახელმწიფოს მიერ დადგენილი ეროვნული სასწავლო გეგმით, ამავდროულად ავტონომიურად განსაზღვრავს სასწავლო გეგმებსა და სწავლების მეთოდოლოგიას.

2015 წელს სკოლამ განახორციელა მნიშვნელოვანი ცვლილება თავის საქმიანობაში და გახსნა სასწავლო კამპუსი ლისის ტბის მიდამოებში. ამგვარი ცვლილების შედეგად სკოლამ შეიძინა 15,000 კვ/მ-ზე განთავსებული თანამედროვე კამპუსი. აკადემიის შენობის პროექტირებისას, გათვალისწინებულ იქნა არქიტექტურული გეგმარების მოდერნული ელემენტები, რაც სწავლისა და სწავლების პროცესის ინოვაციური მეთოდოლოგიით წარმართვის შესაძლებლობას იძლევა.

ამ რეორგანიზაციის შედეგად სკოლამ მიიღო თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი, ფართო საკლასო ოთახები, სამეცნიერო ლაბორატორიები, ტექნოლოგიური მეცნიერებისა და ხელოვნების ოთახები, მრავალფუნქციური სივრცეები, რომლებიც სპეციალურად დაპროექტდა როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური სამუშაოებისთვის. სასწავლო სივრცეების გარდა მოეწყო სპორტული და რეკრეაციული სივრცეები, რომელშიც ერთიანდება საცურაო აუზი, სპორტული დარბაზი, მრავალფუნქციური კალათბურთის, ჩოგბურთის, ხელბურთის, ყველა სეზონზე მორგებული ხელოვნურსაფარიანი ფეხბურთისა და რაგბის ღია მოედნები. თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციის ინფრასტრუქტურა, რომელსაც განეკუთვნება პორტაბელური და სტაციონარული კომპიუტერები, პლანშეტები, ინტერაქტიური ეკრანის მქონე დაფები და პროექტორები, უზრუნველყოფს მოსწავლეების მრავალფეროვან გამოცდილებას ტექნოლოგიური მეცნიერებების განხრით სკოლის ძირითადი სტრატეგიაა საუკეთესო ხარისხის განათლების შეთავაზება ქართული სექტორისათვის. ამ მიზნით სკოლამ გადაახალისა თავისი აკადემიური პერსონალი, როგორც ადგილობრივი კადრებით, ასევე მოწვეული სპეციალისტებით. აკადემიის ყველა თანამშრომელი გამოირჩევა მაღალი ეთიკური სტანდარტით. მუდმივად ხდება სწავლების პროცესის მონიტორინგი და გაუმჯობესება. სკოლის სამომავლო მიზანია ამ განათლების კიდევ უფრო დახვეწა და საქმიანობის გაფართოება.

სკოლას ჰყავს შვილობილი კომპანია - შპს თბილისის ბრიტანული საერთაშორისო სკოლა, რომელიც დაარსდა 2019 წლის სექტემბერში. 2019 წელს კომპანიების 70%-იანი წილი შეისყიდა სს „საქართველოს კაპიტალმა“.

შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისი

ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა საქართველოს კანონმდებლობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა (შემდგომში „ბაქსვუდი“). კომპანია დაარსდა 2005 წელს და მისი სარეგისტრაციო ნომერია 205089526. კომპანიის ფაქტიური მისამართია რუსთაველის ქუჩა #156, წყნეთი, თბილისი, საქართველო.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელიც მოიცავს დაწყებით, საბაზო, საშუალო და სკოლამდელ განათლების საფეხურებს. მას გააჩნია შესაბამისი საგანმანათლებლო ლიცენზია, რომელიც გასცა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების

1. კომპანიის ძირითადი საქმიანობა და განვითარების გეგმები (გაგრძელება)

ავტორიზაციის საბჭომ. სკოლა ფუნქციონირებს წყნეთში განთავსებულ კამპუსში. სასკოლო საგანმანათლებლო საქმიანობასთან ერთად, ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისი უკვე მრავალი წლის განმავლობაში არის სხვადასხვა ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში გამარჯვებული მოსწავლეებისთვის საზაფხულო სკოლის ბაზა. ოლიმპიადაში გამარჯვებული მოსწავლეებისთვის საზაფხულო სკოლა იმართება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით. ამასთანავე, სკოლა აორგანიზებს კერძო საზაფხულო ბანაკებსაც.

სკოლა 2000 წელს შეიქმნა გაეროს ასოციაციის საერთაშორისო სკოლის სახელით თბილისში. 2007 წლიდან სკოლა ზემო წყნეთში გადავიდა, სადაც უკვე 2009 წელს ბაქსვუდის სახელი მიიღო. პირველად საქართველოში შეიქმნა ტრადიციულ ბრიტანულ საგანმანათლებლო მოდელზე აგებული სასწავლო სივრცე. სკოლის დამფუძნებლებს აქვთ გრძელვადიანი პროფესიონალური ხედვა სკოლის ეტაპობრივი განვითარების შესახებ. ეს ხედვა ემყარება უმაღლესი სტანდარტის ბრიტანულ და ქართულ სააღმზრდელო პრინციპებს. ყოველი აკადემიური, ინფრასტრუქტურული თუ შიდა კულტურული ინოვაცია ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი მომავალი თაობების აღზრდას საზოგადოების სრულფასოვან და ღირსეულ წევრებად, შრომისმოყვარე, მიზანდასახულ, პასუხისმგებლიან, სამართლიან და წარმატებულ მოქალაქეებად.

სკოლა გეგმავს წყნეთის ბაზაზე გაფართოებას და არსებული 760 მოსწავლიდან 1,000 მოსწავლისთვის განკუთვნილი სივრცის შექმნას.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სკოლას ჰყავს შვილობილი კომპანია შპს „სახლი წყნეთში“. 2019 წელს შეიცვალა სკოლის აქციონერები: სკოლის 80%-იანი წილი შეისყიდა სააქციო საზოგადოება სს საქართველოს კაპიტალმა.

კომპანიას არ გააჩნია ფილიალები, არ ყოფილა ჩართული კვლევებისა და განვითარების საქმიანობაში საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

შპს თბილისის მწვანე სკოლა

შპს „თბილისის მწვანე სკოლა“ , საიდენტიფიკაციო კოდი: 401959528 (შემდგომში „მწვანე სკოლა“), არის 2011 წლის 30 ივნისს საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს მისამართზე: საქართველო, თბილისი, ევგენი მიქელაძის ქუჩა 3ა.

2011 წელს კომპანიის დირექტორებმა და თანამფლობელებმა, კახა დავითურმა და ბაკურ სულაკაურმა, სახელმწიფოსგან შეიძინეს 134-ე საჯარო სკოლის შენობა და შესაბამისი მიწა. ნასყიდობის ხელშეკრულების მიხედვით სახელმწიფოსგან აქტივების შეძენის ფარგლებში კომპანიას დაეკისრა 2012 წლიდან მომდევნო 8 წლის განმავლობაში სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან პირველკლასელების მიღებისა და მათთვის სკოლის დამთავრებამდე უფასო საგანმანათლებლო მომსახურებების გაწევის ვალდებულება.

1. კომპანიის ძირითადი საქმიანობა და განვითარების გეგმები (გაგრძელება)

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელიც მოიცავს დაწყებით, საბაზო, საშუალო და სკოლამდელ განათლების საფეხურებს. მას გააჩნია შესაბამისი საგანმანათლებლო ლიცენზია, რომელიც გასცა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ.

სკოლა, მიუხედავად ცენტრალური ლოკაციისა, პოზიციონირდება გამორჩეული ეკოლოგიური ინფრასტრუქტურით. მწვანე სკოლა განთავსებულია 15000 მ2 ბუნებრივად გამწვანებულ ტერიტორიზე, რაც ხელს უწყობს ბავშვებმა განათლება და სხვა საგანმანათლებლო სერვისები მიიღონ სუფთა, ჯანსაღ სასკოლო გარემოში. სკოლის ეზოში განთავსებულია სკვერები, ღია სასწავლო და სათამაშო სივრცეები – ფანჩატურები.

„მწვანე სკოლის“ მისიაა შევქმნათ პოზიტიური აკადემიური, სოციალური და ემოციური გარემო, სადაც მოსწავლეები საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენას შეძლებენ. ჩვენ გვწამს, რომ ინდივიდუალური მიდგომისა და სწორად შერჩეული სასწავლო მასალის დახმარებით, ყველა მოსწავლეს შეუძლია სასწავლო პროგრამების დაძლევა. ჩვენ ვცდილობთ, დავეხმაროთ მოსწავლეებს მცოდნე, სწავლის მოყვარულ, მოქალაქეებად ჩამოყალიბდნენ, რომელებიც სხვადასხვა გამოწვევასა თუ ეთიკურ დილემას წარმატებით გაუმკლავდებიან. ჩვენი ხედვაა, გავაძლიეროთ მოსწავლეები შეიძინონ ცოდნა და უნარები, რაც ხელს შეუწყობთ ინტელექტუალური, ემოციური და ფიზიკური განვითარება მთელი ცხოვრების მანძილზე გააგრძელონ. ასევე, მოსწავლეებს მივცეთ აკადემიური ცოდნა, რომელიც დაეხმარებათ ჩაირიცხონ სასურველ უნივერსიტეტებში და მიაღწიონ წარმატებას.

2019 წელს მოხდა სკოლის აქციონერების ცვლილება: კომპანიის 80%-იანი წილი შეისყიდა სააქციო საზოგადოება სს საქართველოს კაპიტალმა. კომპანიას არ გააჩნია ფილიალები, არ ყოფილა ჩართული კვლევებისა და განვითარების საქმიანობაში საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

2019-2020 სასწავლო წლის დასაწყისში მწვანე სკოლასა და საინვესტიციო კომპანია - „საქართველოს კაპიტალთან“ გაფორმდა პარტნიორული შეთანხმება, რომლის მიხედვითაც დაიგეგმა მზარდი ინფრასტრუქტურული ცვლილებები და ხარისხიან განათლებაზე ორიენტირებული დინამიური პროექტები. სკოლის შენობა ამ ეტაპზე იტევს 1250 მოსწავლეს, მაგრამ 21-22 სასწავლო წლისთვის იგეგმება გაფართოება, რათა ახალი შენობის საშუალებით სკოლამ 1700 მოსწავლე დაიტიოს.

2. განათლების ბაზრის შესახებ

ზოგადი განათლების სექტორის შემოსავლები 343 მლნ ლარიდან 939 მლნ ლარამდე გაიზარდა 2009-19 წლებში, გალტ ენდ თაგარტის შეფასებით. აქედან, საჯარო სკოლებმა 2019 წელს მთლიანი შემოსავლის 75.7% მიიღო. აღსანიშნავია, რომ კერძო სექტორის წილი მზარდია (+8.6 პროცენტული პუნქტი 2009-19 პერიოდში) და 24.3%-ს აღწევს. საჯარო სკოლები სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, ხოლო კერძო სკოლების შემოსავლები გენერირდება როგორც შინამეურნეობების ჯიბიდან გადახდებით ისე, მთავრობის დაფინანსებით (ყოველწლიურად 300 ლარი ერთ მოსწავლეზე, 8.1% წილი მთლიან შემოსავლებში).

2. განათლების ბაზრის შესახებ (გაგრძელება)

ამჟამად, ზოგადსაგანმანათლებლო სფეროში 2,313 სკოლა საქმიანობს, აქედან 2,086 საჯარო და 227 კერძო დაწესებულება. აღსანიშნავია, რომ 149 სკოლა გამოაკლდა სკოლების საერთო რაოდენობას 2009-

19 წლებში. აღნიშნული გამოიწვია საჯარო სკოლების ოპტიმიზაციამ (ძირითადად სოფლად) და კერძო სკოლებისთვის ავტორიზაციის მოთხოვნის შემოღებამ, რაც ზოგიერთი კერძო სკოლის დახურვის მიზეზი გახდა. საქართველოში საჯარო სექტორი კვლავ რჩება ზოგადი განათლების მთავარ მიმწოდებლად, თუმცა კერძო სკოლებში მოსწავლეების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება (2.8% CAGR 62.8 ათასამდე 2009-19 წლებში). კერძო სკოლების პოპულარობის მთავარი მიზეზი მომხმარებლის აღქმით მათ მიერ შეთავაზებული განათლების უფრო მაღალი ხარისხია. საქართველოში მოსწავლეების 10.6% სწავლობს კერძო სკოლებში 2019/20 სასწავლო წლის მდგომარეობით, როცა იგივე მაჩვენებელი 2009/10 წელს იყო 7.6%. ზოგად განათლების სექტორში კერძო სექტორის წილით საქართველო მნიშვნელოვნად უსწრებს შესადარის ქვეყნებს რეგიონში (2.5%).

3. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

შპს ბრიტანულ ქართული აკადემია

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ემსახურებოდა 741 რაოდენობის მოსწავლეს, რომელთა 95% სწავლობდა სკოლის პროგრამას, ხოლო დანარჩენი კი სკოლამდელსაგანმანათლებლო პროგრამაში იყო ჩართული). ბრიტანულ-ქართული აკადემიის მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენდა 429-ს, ხოლო თბილისის ბრიტანულ საერთაშორისო სკოლაში 312 მოსწავლე ირიცხებოდა. (2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ემსახურებოდა 762 რაოდენობის მოსწავლეს, რომელთა 94% სწავლობდა სკოლის პროგრამას, ხოლო დანარჩენი კი სკოლამდელ საგანმანათლებლო პროგრამაში იყო ჩართული. ბრიტანულ-ქართულ აკადემიაში სულ 447, ხოლო თბილისის ბრიტანულ საერთაშორისო სკოლაში 315 მოსწავლე ირიცხებოდა).

კაპიტალური დაბანდებებმა რომელიც განახორციელა სკოლამ 2017-2018 წლების განმვლობაში და რომელიც მიმართული იყო სასკოლო აქტივების გასაზდელად, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მოსწავლეთა რაოდენობის ზდას და შესაბამისად შემოსავლების გაზრდასაც.

სკოლის შემოსავალი და წმინდა მოგება 2020 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენდა 17,348 ათას ლარსა და 4,179 ათას ლარს შესაბამისად. (2019 წლის 31 დეკემბრისთვის 15,461 ათას ლარი და 1,632 ათას ლარის მოგებას შესაბამისად).

შპს ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისი

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით სკოლას ჰყავდა 684 და 684 მოსწავლე, რომელთაგან 97% და 94% სწავლობდა სკოლის პროგრამას, ხოლო დანარჩენი კი სკოლამდელ საგანმანათლებლო პროგრამაში იყო ჩართული. გასული პერიოდების განმავლობაში სკოლას ჰქონდა შემდგომი ტიპის მომსახურების დინამიკა:

3. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

სასწავლო წელი	2020-2021	2019-2020
მოსწავლეთა რაოდენობა	684	684

შემოსავლებისა და წმინდა მოგების დინამიკა კი გამოიყურებოდა შემდეგნაირად:

თანხები ათას ლარში	2020	2019
შემოსავალი სწავლის ღირებულებიდან	4,360	4,152
შემოსავალი საზაფხულო ბანაკიდან	80	833
წმინდა მოგება	(1,190)	575

შემოსავლების მზარდი დინამიკა უკავშირდება როგორც მოსწავლეების, აგრეთვე სწავლის საშუალო ღირებულების ზრდას წლიდან წლამდე.

შპს თბილისის მწვანე სკოლა

2020 და 2019 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით სკოლას ჰყავდა 1091 და 1136 მოსწავლე, რომელთაგან 97.8% და 90.5% სწავლობდა სკოლის პროგრამას, ხოლო დანარჩენი კი სკოლამდელ საგანმანათლებლო პროგრამაში იყო ჩართული. 2020 წლის ბოლოს მოსწავლეების რაოდენობის კლება 2019 წელთან შედარებით უმთავრესად უკავშირდება პანდემიით გამოწვეული ვითარებიდან გამომდინარე ბაღის მოსწავლეების შემცირებას 108-იდან 25-მდე. რაც შეეხება მოსწავლეების საშუალო რაოდენობებს აკადემიური წლების მიხედვით, გასული პერიოდების განმავლობაში მოსწავლეების დინამიკა ქვემოთ არის მოცემული:

სასწავლო წელი	2020-2021	2019-2020
მოსწავლეთა რაოდენობა	1,125	1,108

3. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

შემოსავლებისა და წმინდა მოგების დინამიკა კი გამოიყურებოდა შემდეგნაირად:

თანხები ათას ლარში	2020	2019
შემოსავალი სწავლის ღირებულებიდან	3,787	3,858
წმინდა მოგება	(190)	355

შემოსავლების მზარდი დინამიკა უკავშირდება როგორც მოსწავლეების, აგრეთვე სწავლის საშუალო ღირებულების ზრდას წლიდან წლამდე. შემოსავლების ზრდა მინიმუმ 10%-ით მეტი იქნებოდა 2019 და 2020 წლებში, კოვიდ-19-ის პანდემიასთან დაკავშირებული ფასდაკლებები რომ არ ყოფილიყო.

4. სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები

სამივე სკოლა საქმიანობს საქართველოში და მათი აქტივები მდებარეობს საქართველოში. კომპანიის საქმიანობის მომგებიანობასა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს შემდეგი რისკ ფაქტორები:

- რთული გლობალური ეკონომიკური პირობები
- მეზობელ ქვეყნებში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობა
- ქვეყნის შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა
- რეგიონალური პოლიტიკური არასტაბილურობა
- სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნეს რისკები
- სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები

მოთხოვნა კომპანიების მომსახურებაზე, ისევე როგორც კომპანიების ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება უარყოფით გავლენას მოახდენს მოსახლეობაზე, რაც თავის მხრივ, გავლენას იქონიებს მოსახლეობის უნარზე გადაიხადონ მიღებული მომსახურების საფასური.

რეგიონალური პოლიტიკური სტაბილურობა ასევე გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ სტაბილურობაზე. მნიშვნელოვანი პოლიტიკური რყვების შემთხვევაში როგორც ქვეყანაში ასევე ქვეყნის გარეთ, სკოლების ფინანსური სტაბილურობა შესაძლოა საფრთხის წინაშე დადგეს, რადგან ამ პროცესებს პოტენციურად მოყვება ეკონომიური არასტაბილურობა და მოსახლეობის მიგრაცია.

სკოლებს არ გააჩნია მნიშვნელოვანი, საკრედიტო, ლიკვიდურობის ან ფულადი ნაკადების რისკები. სკოლები ახდენენ თავიანთი წლიური მოსაკრებელის უმეტესი ნაწილის წინასწარ მიღებას, რაც უზრუნველყოფს ზემოთხსენებული რისკებისაგან დაზღვევას. ყველაზე არსებითი საქმიანობის რისკი რომელიც ახასიათებს სკოლის ოპერაციებს არის უცხოური ვალიტის გადაფასებასთან

4. სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები (გაგრძელება)

დაკავშირებული რისკები. იმდენად რამდენადაც სკოლებს საბანკო ვალდებულებები აქვთ დოლარში / ევროში, უცხოური ვალუტის კურსის მნიშვნელოვანი რყევა შესაძლოა ფინანსურად დამაზარალებელი იყოს სკოლებისათვის. უპირველესი მექანიზმი რომელიც სკოლას აქვს ამ რისკის დასაზღვევად არის სკოლის საფასურის (ბრიტანულ-ქართულ სკოლასა და ბაქსვუდში - სრულად, ხოლო მწვანე სკოლაში - ნაწილობრივ) უცხოურ ვალუტაში დენომინირება, რაც აგენერირებს უცხოურ ვალუტაში დენომირირებულ აქტივებს და ამსუბუქებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხის გადაფასებიდან წარმოქმნილ ზარალს.

საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკები (ასევე სხვა ფინანსური რისკები) და ამ რისკების მართვის მექანიზმები ასევე აღწერილია კომპანიის შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში.

სკოლებს არ გააჩნია ბიზნეს რისკები რომელიც დაკავშირებული სამუშაო პროცესთან ან ეკოლოგიური გარემოს დაბუნძურებასთან.

2020 წლის ნოემბრიდან 2021 წლის თებერვლის შუა რიცხვებამდე საქართველოს განათლების სამინისტრომ კოვიდ-19-ის პანდემიის გამო სკოლებში შეზღუდა ფიზიკური სწავლება. პანდემიის დაწყების შემდეგ, სამივე სკოლა სწრაფად ადაპტირდა შეცვლილ გარემოში და წარმატებით გადავიდა დისტანციურ სწავლებაზე. სკოლებმა მოსწავლეებს შესთავაზეს ფასდაკლებები დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით, რისი საშუალებაც კომპანიებს შემცირებულმა საოპერაციო ხარჯებმა მისცა. 2021 წლის 15 თებერვალს სკოლებში ფიზიკური სწავლება განახლდა. კოვიდ-პანდემიის პირობებში, სკოლებმა უზრუნველყვეს შესაბამისი უსაფრთხო სამუშაო და სასწავლო გარემოს შექმნა თანამშრომლებისა და მოსწავლეებისათვის. სამივე სკოლამ 2020-2021 სასწავლო წელი კამპუსებში ფიზიკური სწავლებით დაასრულა.

_____

გიორგი კეთილაძე
დირექტორი

27 სექტემბერი 2021 წელი

4. სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები (გაგრძელება)

დაკავშირებული რისკები. იმდენად რამდენადაც სკოლებს საბანკო ვალდებულებები აქვთ დოლარში / ევროში, უცხოური ვალუტის კურსის მნიშვნელოვანი რყევა შესაძლოა ფინანსურად დამაზარალებელი იყოს სკოლებისათვის. უპირველესი მექანიზმი რომელიც სკოლას აქვს ამ რისკის დასაზღვევად არის სკოლის საფასურის (ბრიტანულ-ქართულ სკოლასა და ბაქსვუდში - სრულად, ხოლო მწვანე სკოლაში - ნაწილობრივ) უცხოურ ვალუტაში დენომინირება, რაც აგენერირებს უცხოურ ვალუტაში დენომირირებულ აქტივებს და ამსუბუქებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხის გადაფასებიდან წარმოქმნილ ზარალს.

საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკები (ასევე სხვა ფინანსური რისკები) და ამ რისკების მართვის მექანიზმები ასევე აღწერილია კომპანიის შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში.

სკოლებს არ გააჩნია ბიზნეს რისკები რომელიც დაკავშირებული სამუშაო პროცესთან ან ეკოლოგიური გარემოს დაბუნძურებასთან.

2020 წლის ნოემბრიდან 2021 წლის თებერვლის შუა რიცხვებამდე საქართველოს განათლების სამინისტრომ კოვიდ-19-ის პანდემიის გამო სკოლებში შეზღუდა ფიზიკური სწავლება. პანდემიის დაწყების შემდეგ, სამივე სკოლა სწრაფად ადაპტირდა შეცვლილ გარემოში და წარმატებით გადავიდა დისტანციურ სწავლებაზე. სკოლებმა მოსწავლეებს შესთავაზეს ფასდაკლებები დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით, რისი საშუალებაც კომპანიებს შემცირებულმა საოპერაციო ხარჯებმა მისცა. 2021 წლის 15 თებერვალს სკოლებში ფიზიკური სწავლება განახლდა. კოვიდ-პანდემიის პირობებში, სკოლებმა უზრუნველყვეს შესაბამისი უსაფრთხო სამუშაო და სასწავლო გარემოს შექმნა თანამშრომლებისა და მოსწავლეებისათვის. სამივე სკოლამ 2020-2021 სასწავლო წელი კამპუსებში ფიზიკური სწავლებით დაასრულა.

გიორგი კეთილაძე დირექტორი

27 სექტემბერი 2021 წელი